აჭარის პრობლემა მხოლოდ საქართველოს პრეროგატივაა A3
საქართველოსკენ დაძრული ევროკავშირი A8
ავტომობილი B6

www.24hours.ge
24 საათი
ყოველდღიური
© გაზეთი 24 საათი
სამშაბათი, 27 აპრილი, 2004 წელი. №98 (647)
ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### ლტოლვილების დაბრუნების პროცესი მოსკოვიდან იწყება

აფხაზეთში ლტოლვილთა ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებაზე მოსკოვში მხარეთა მოლაპარაკებების მესამე რაუნდი გაიმართა. მოლაპარაკებებში პირველად მონაწილეობს აფხაზური მხარე, სერგეი შამბას სახით. მოსკოვურ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა სოჭისა და ჟენევის შეხვედრები, სადაც გოგა ხაინდრავა და სერგეი შამბა ერთმანეთით კმაყოფილნი დარჩნენ.

A3

## ეკონომიკა

### "დიდი შვიდეული" სიღარიბის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს

"დიდი შვიდეულის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მსოფლიოში სიღარიბესთან ბრძოლას აპირებენ და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გეგმავენ.

A4

## უცხოეთი

### ამერიკელები სასკოლო ფიცის ერთგულები რჩებიან

ყოველდღე შეერთებულ შტატებში მყოფი, დაახლოებით, 60 მილიონი მასწავლებელი და მოსწავლე ერთად წარმოთქვამს შეერთებული შტატების ერთგულების ფიცს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ფიცის ტექსტი შეიცვალოს. ამის მიზეზი კი ერთი ათეისტი მოქალაქე გახდება.

A5

## საზოგადოება

### "ლეიბორისტებს" არ ჩამორჩნენ

"თბილწყალკანალის" ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზოსთვის" გადაცემას საკრებულოს წარმომადგენლების საფრანგეთში სტუმრობის შემდეგაც არ დაუკარგავს აქტუალობა. გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციები "ლეიბორისტებს" არ ჩამორჩნენ და ამ საკითხზე დიდი აურზაური ატეხეს.

A6

## სამართალი

### თემურ ხაჩიშვილს დღეს სამთვიან პატიმრობას მიუსჯიან

რუსთავში დაკავებულ ყოფილ "მხედრიონელს", პოლიტიკური გაერთიანება "დათვის" თავმჯდომარეს თემურ ხაჩიშვილს წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანენ.

A7

## ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 21 | ☼ |
| ქუთაისი | 23 | ☼ |
| ბათუმი | 18 | ☁ |
| სოხუმი | 23 | ☼ |
| ფოთი | 22 | ☼ |
| თელავი | 18 | ☁ |
| ზუგდიდი | 25 | ☼ |
| გორი | 19 | ☼ |
| ახმეტა | 19 | ☁ |
| ჭიათურა | 21 | ☼ |
| გაგრა | 22 | ☼ |
| სამტრედია | 23 | ☼ |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.9750 |
| ევრო | 2.3287 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5044 |
| რუბლი | 0.0681 |

# პროკურორის "ჭვარედინი დაკითხვა"

## პარლამენტის ახალი ბიუროს პირველი სხდომა

გიორგი ასანიშვილი

*პარლამენტი თავის მიერ დადგენილ წესს თავადვე არღვევს: რეგლამენტის ახალი რედაქციის თანახმად, "პარლამენტის ბიუროს სხდომები სასესიო პერიოდში იმართება ყოველ ორშაბათს, 15 საათზე", გუშინ კი ბიურო მუშაობას 19 საათიდან შეუდგა. ერთი შეხედვით, ეს თითქოს წვრილმანი, უმნიშვნელო დარღვევაა, მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი კანონდარღვევის სიმძიმე კი არა, არამედ ის არის, რომ პარლამენტი თავის დაწერილ კანონს იგნორირებას უკეთებს. მით უმეტეს, საკანონმდებლო ორგანომ სულ ცოტა ხნის წინათ რეგლამენტის სტატუსი აამაღლა და იგი კანონის ტოლფასი გახადა.*

ბიუროს სხდომის დაგვიანებით დაწყებას პარლამენტის თავმჯდომარე იმით ხსნის, რომ სამ საათზე შეკ-

გაგრძელება A3 გვერდზე



*ბიუროს ახალი შემადგენლობა მუშაობას შეუდგა.*

# მსოფლიოს ბედს ელიტები წყვეტენ

მაია ჭალაბანიძე

*ყოველთვის საინტერესოა ადამიანი, რომელიც თავის ცხოვრებას მსოფლიოსთვის გახდის მნიშვნელოვანს. ასეთი ადამიანები ცოტანი არიან და იშვიათად ჩამოდიან საქართველოში. დღევანდელი ჩვენი სტუმარი თავისუფლად შეიძლება, მსოფლიო ინტელექტუალთა მცირე რიცხვს მივაკუთვნოთ - ისინი სასარგებლონი არიან ყველგან, საკუთარ სამშობლოში, ძლიერ და მით უფრო, სუსტ ქვეყნებში. და საინტერესონი არიან არამხოლოდ იმიტომ, რომ უდიდესი პროფესიონალები არიან. ძანუსი ე.წ. ინტელექტუალურ კინოს იღებდა. არც სსრკ-სა და მით უფრო, არც საბჭოთა საქართველოში პოლონური კინო და ისიც ინტელექტუალური ბევრს არავის ესმოდა. გაიხსნა ევროპა და პან ძანუსიც მრავალი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატი გახდა.*

გაგრძელება B1 გვერდზე



*კშიშტოფ ძანუსი.*

# ქართული ჩოგბურთიდან დიდ ჩოგბურთამდე




*ლეილა მესხი სტუმრად "24 საათის" რედაქციაში.*

## აქვს და იხდის

სოფიკო ჩხაიძე

*არც ისე დიდი ხნის წინანდელი სოციალისტური წარსულიდან ერთი ასეთი ლოზუნგისმაგვარი გამონათქვამი მახსოვს, მგონი, ფრიდრიხ ენგელსის პერიფრაზია: "ოჯახი სახელმწიფოს დაპატარავებული მოდელიაო" (დაახლოებით ასე ჟღერდა). ჰოდა, იმავე სოციალიზმის პირობებში ფეხადგმული პოლიტიკოსისგან, რომელსაც საკუთარ ოჯახში ვერ მოუგვარებია საქმე და ოჯახის წევრებს შორის თანხმობისა და ურთიერთპატივისცემისთვის ვერ მიუღწევია, რატომ გაგვიკვირდა ქვეყანა რომ თავზე დაგვაქცია.*

გაგრძელება A7 გვერდზე

## სად წავა ჯოხთაბერიძის ფული?

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ის თანხა, რომელიც "მაგთიკომის" ერთ-ერთმა დამფუძნებელმა გია ჯოხთაბერიძემ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხადა, უკვე სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზეა.

**"ეს თანხა გადმოირიცხა მანანა შევარდნაძის პირადი ამერიკული ანგარიშიდან და ის უკვე სახელმწიფო ბიუჯეტშია. მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ შევარდნაძის ოჯახის მიერ დაბრუნებული თანხა გამოყენებულ იქნას მთელი საქართველოს მასშტაბით პენსიონერთა ერთი თვის დავალიანების გასასტუმრებლად და მასწავლებელთა ერთი თვის სახელფასო დავალიანების გასასტუმრებლად. ეს ფული ამისთვის საკმარისია, თითქმის 16 მილიონ დოლარზეა საუბარი. ხოლო რაც დარჩება - 2-3 მილიონი დოლარი - გადაეცემა ქართულ არმიას. ეს არის ის ფული, რომელიც შევარდნაძის ოჯახმა ქართველ ხალხს წაართვა. ამ თანხას ჩვენ ქართველ ხალხს მოვახმართ,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აეროპორტში გამართულ ბრიფინგზე. კიევში გამგზავრებამდე ათი წუთით ადრე, აეროპორტშივე სააკაშვილმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც გია ჯოხთაბერიძის გასათავისუფლებლად გაღებული 15 მილიონ ხუთასი ათასი დოლარი სწორედ ერთი თვის საპენსიო და სახელფასო დავალიანებების გასტუმრებას მოხმარდება.

## რატომ იცვალა გეზი საქართველოზე გამავალმა ნავთობმა?!

*უკვე წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს გავლით ტრანსპორტირებადმა კასპიის ნავთობმა მარშრუტი იცვალა და ირანისაკენ დაიძრა. ამ ფაქტს ბევრი წინაპირობა ჰქონდა, რასაც ახლა უკვე აჭარაში შექმნილი გართულებული სიტუაციაც დაემატა. თუმცა აზერბაიჯანული მხარე პრობლემის საფუძველს საქართველოს მიერ წარმოებულ სატარიფო პოლიტიკაში ეძებს.*

სააგენტო "რეგნუმის" ინფორმაციით, ნავთობმფლობელები კასპიის ნავთობის დასავლეთში გადატანისას უფრო ხშირად მარშრუტს ირანზე გავლით ირჩევენ, რადგან ეს ბევრად იაფია, ვიდრე ბაქო-ბათუმის მარშრუტი. ამის შესახებ განცხადება გააკეთა კასპიის ზღვის აზერბაიჯანის საზღვაო-სანაოსნოს "კასპარის" მეთაურმა აიდინ ბაშიროვმა. მისი სიტყვებით, კომპანიების უმრავლესობა მომავალში აპირებს კასპიის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების გაზრდას ირანზე გავლით. ირანი ასევე აპირებს ნეკას პორტის გაფართოების, რაც ქვეყანას დიდი გემებისა და ტანკერების მიღების საშუალებას მისცემს. ამ დროისათვის პორტში 27 გემი, მათ შორის 7 აზრებაიჯანური, ელოდება ტვირთის დაცლას.

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ამბები A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 ევროპა
B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 ავტომობილი B6 კვირა B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

## უჩვეულო სხდომა საკრებულოში



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*პარლამენტარები საკრებულოს ემშვიდობებიან.*

თბილისის საკრებულოს გუშინდელი სხდომა უჩვეულოდ სწრაფად დასრულდა. **"რა კარგი იქნებოდა, ყველა სხდომა ასეთი რომ იყოს",** - ხუმრობდნენ საკრებულოს წევრები. ეს სხდომა მათ პარლამენტში გადაბარგებულ 11 კოლეგას მიუძღვნეს. საკრებულოს წარმომადგენლები ერთმანეთის მიმართ ასეთი ენაწყლიანნი და კეთილგანწყობილნი არასოდეს ყოფილან.

საკრებულოს თავმჯდომარემ ზაზა ბეგაშვილმა საზეიმოდ გამოაცხადა იმ კოლეგების გვარები, ვინც ამიერიდან ქალაქის საკანონმდებლო ორგანოდან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იმოღვაწებს: **"ყოველთვის პრინციპული დავით ბერძენიშვილი; ყველაზე დაუდგრომელი კობა ბექაური; გია ნაცვლიშვილი, ზვიად ძიძიგური, რომან გოცირიძე, ლევან მეტრეველი, ბეჟან კალანდაძე, ირაკლი კენჭოშვილი; ბესო ჯუღელი, რომელიც თავისი გამოსვლებით საკრებულოს სხდომებს სხვა ელფერს აძლევდა; მამუკა კაციტაძე, რომელსაც როცა შევურიგდი, მაშინ წავიდა; და საკრებულოს დამამშვენებელი მზია თორთლაძე".** ეს ადამიანები ამიერიდან დედაქალაქს პარლამენტიდან უპატრონებენ.

კოლეგებმა ყოფილი კოლეგები ისეთი სათუთი სიტყვებით გააცილეს, ვისაც სხდომებზე მათი კამათი არ უნახავს, თვალზე ცრემლიც კი მოადგებოდა. **"მართალია, ბევრჯერ გვიკამათია, მაგრამ საქმისთვის იყო საჭირო. დედაქალაქის საკრებულოს ასე ნაყოფიერად არასოდეს უმუშავია. ჩვენი საქმე იმდენად საერთოა, რომ თანამშრომლობას მუდმივად გავაგრძელებთ. თქვენნაირებისგან შემდგარი პარლამენტისგან უფრო მეტს მოველით",** - გზა დაულოცეს და მოვალეობა შეახსენეს კოლეგებს საკრებულოს წევრებმა: ჯუმბერ შენგელიამ, დავით ხუციშვილმა, გია მურღულიამ. ლევან მეტრეველს გული ისე აუჩუყდა, - კვირაში ერთხელ მოგაკითხავთო, - შეჰპირდა ყოფილ კოლეგებს.

*ნანა ქადაგიშვილი*

## "ჭიათურმანგანუმის" სამომავლო გეგმები

*"ჩემი მიზანია, "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის პროცესი გავხადო გამჭვირვალე, რათა ჩვენი მუშაობის კონტროლი ხელმისაწვდომი იყოს ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის", - ამ სიტყვებით გახსნა თავისი პირველი პრესკონფერენცია ს.ს "ჭიათურმანგანუმის" რეაბილიტაციის ახალმა მმართველმა გოგი ნიკოლაძემ და საწარმოს თანამშრომლებს თუ, საერთოდ, ჭიათურლებს თავისი ათდღიანი მუშაობის შედეგები და სამომავლო გეგმები გააცნო.*

**"უკვე დავიწყეთ მუშაობა იმისათვის, რომ მადნეულის ხელოვნურად დაწეული ფასები გაიზრდოს, რაც წარმოების განვითარების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, ჩვენი მიზანია, გავისტუმროთ ქარხანაში დაგროვილი ვალები, შევქმნათ, რაც შეიძლება, მეტი სამუშაო ადგილი და გავზარდოთ ხელფასები",** - ასეთია რეაბილიტაციის ახალი მმართველის სურვილები. თუმცა, თავისი ათდღიანი მუშაობის პერიოდში გოგი ნიკოლაძემ უკვე მოახერხა გარკვეული დადებითი ნაბიჯების გადადგმა და პრესკონფერენციაზე ჭიათურლებს ანგარიშიც ჩააბარა.

ნიკოლაძის განცხადებით, ქარხანამ გააფორმა ხელშეკრულება ერთ-ერთ ქართულ ფირმასთან, რომელიც მანგანუმის ყოველ ერთ პროცენტში 1,50 დოლარს გადაიხდის. არადა, მადანის ერთადერთი შემსყიდველი ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხანა იმავე რაოდენობის მანგანუმში მხოლოდ 1,32 დოლარს იხდის.

როგორც ნიკოლაძის განცხადებიდან ჩანს, ფეროშენადნობ ქარხანას კონკურენტები გამოუჩნდა, თუმცა, ახალი მმართველის თქმით, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზესტაფონის "ფეროს" მანგანუმის მიწოდება შეუწყდება.

**"ჩვენ კვლავ გავაგრძელებთ ფეროშენადნობ ქარხანასთან თანამშრომლობას, თუმცა "ჭიათურმანგანუმსა" და "ფეროს" ურთიერთობაში არსებობს მთელი რიგი ასპექტები, რომლებიც შესწავლასა და გადახედვას საჭიროებს",** - განაცხადა პრესკონფერენციაზე გოგი ნიკოლაძემ, რომელიც საეჭვოს უწოდებს იმ ვალებს, ქარხანას ერთი თვის განმავლობაში რომ დაუგროვდა.

**"საუბარია მილიონ-ნახევარ დოლარზე, რომელიც, "ჭიათურმანგანუმის" თხოვნით, "ფერომ" სხვადასხვა ადრესატს ჩაურიცხა",** - ამბობს ნიკოლაძე და დასძენს: **"შესასწავლია, რატომ გადაიხადა ქარხანამ ეს თანხა და რამდენად აუცილებელი იყო ამ ხარჯების გაღება".**

გარდა "ფეროსთან" ურთიერთობისა, რეაბილიტაციის მმართველი აპირებს, დაინტერესდეს ქარხანაში არსებული განუკითხაობით და ამისათვის "ჭიათურმანგანუმში" აუდიტის მიწვევას გეგმავს. თუმცა, როგორც პერსკონფერენციიდან გაირკვა, ქარხანაში არსებული სიტუაციით, ხელმძღვანელობის გარდა, დაინტერესებულია ფინანსური პოლიციაც, რომელიც ქარხნის შემოწმებას უახლოეს მომავალში დაიწყებს და არ არის გამორიცხული, რომ "ჭიათურმანგანუმში" არსებულ ბევრ დანაშაულს აეხადოს ფარდა.

*24 საათი*

## სამინისტროს ნაცვლად, უშიშროების მთავარი სამმართველო

სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს გადაწყვეტილებით, აჭარის უშიშროების სამინისტროს ნაცვლად, აჭარის უშიშროების მთავარი სამმართველო შეიქმნება.

როგორც ჟურნალისტებს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილემ გიგი უგულავამ განუცხადა, აღნიშნულთან დაკავშირებით, შესაბამისი კანონპროექტი უკვე წარდგენილია პარლამენტში განსახილველად. მისივე განცხადებით, აჭარის უშიშროების სამმართველოში სამსახური შეუნარჩუნდება ყველა იმ ადამიანს, რომელიც რეგიონის უშიშროების სამინისტროში მსახურობდა, "არ არის შემჩნეული ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში და ხელები არ აქვს სისხლში გასვრილი".

ყველა ასეთ ადამიანს გაუგრძელდება სამუშაო სტაჟი უშიშროების მინისტრის შესაბამისი დანიშვნის შემდეგ, - თქვა უგულავამ.

ამასთან, როგორც უშიშროების მინისტრის მოადგილე აცხადებს, სამინისტრო არ სცნობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის, ასლან აბაშიძის მიერ გაუქმებული უშიშროების სამინისტროს ბაზაზე შექმნილ ანტიტერორისტულ და ანტინარკოტიკულ ცენტრებს. მისი თქმით, ანტიტერორისტულ ცენტრში აბაშიძეს იმ ხალხის დანიშვნა სურს, ვისაც ენდობა და მიაჩნია, რომ საჭიროების შემთხვევაში, მათ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ იარაღის აღებას აიძულებს.

*პრაიმ-ნიუსი*

## საფინანსო დეკლარაციების წარდგენის ვადა მთავრდება

ქონებრივი და საფინანსო მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროში ერთთვიანი სადეკლარაციო პერიოდი ოთხ დღეში დასრულდება. საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შესახებ დეკლარაციები ბიუროში უკვე წარადგინეს ქვეყნის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა. როგორც "ინტერ-პრესს" საინფორმაციო ბიუროში განუცხადეს, წელს ქონების დეკლარირებას 4000-მდე თანამდებობის პირი მოახდენს, მათგან ბიუროში დეკლარაცია 2100-მა ჩინოვნიკმა უკვე წარადგინა.

საკუთარი ქონებრივი დეკლარაციები შეავსეს სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ, თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა, კულტურის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა, ფინანსთა მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ეთერ ასტემიროვამ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ ლადო ჭანტურიამ, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ჯონი ხეცურიანმა. პარლამენტის წევრებიდან დეკლარაცია საინფორმაციო ბიუროს 97-მა პარლამენტარმა ჩააბარა.

თუ თანამდებობის პირი 30 აპრილამდე საკუთარ დეკლარაციას საინფორმაციო ბიუროს არ წარუდგენს, იგი 150 ლარით დაჯარიმდება.

1 ივნისიდან სადეკლარაციო პერიოდში წარმოდგენილი დეკლარაციები საჯარო გახდება და საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მათი ნახვის შესაძლებლობა მიეცემა.

*ინტერ-პრესი*

## ზურაბ ჟვანიას ვიზიტი აშშ-ში

ოფიციალური ვიზიტით ვაშინგტონში მყოფი საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია უკვე შეხვდა პრეზიდენტის მრჩეველ მეთიუ ბრაიზერს. დაგეგმილია შეხვედრები სახელმწიფო მდივან კოლინ პაუელთან და პრეზიდენტ ბუშის მრჩეველთან ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში კონდოლიზა რაისთან.

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია თეთრ სახლში აშშ-სთან ეკონომიკური ურთიერთობებისა და უსაფრთხოების საკითხებს განიხილავს. ვიზიტისას განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა აჭარის საკითხი იქნება.

დაგეგმილია პრემიერ-მინისტრის შეხვედრები საერთაშორისო სტრატეგიული კვლევების ცენტრსა და ამერიკის დემოკრატიული განვითარების ინსტიტუტში.

ვიზიტის პირველ დღეს ზურაბ ჟვანია ამერიკის კონგრესში ნატო-სთან ინტეგრაციის კომიტეტის თავჯდომარეს ბრიუს ჯექსონს შეხვდა. შეხვედრისას ჯექსონმა დაადასტურა, რომ ნატო-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობა "პარტნიორობა - მშვიდობისათვის" პროგრამის სახით მყარ საფუძველს ეყრდნობა და ამ თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების პერსპექტივა არსებობს. ვაშინგტონში ჩასვლისთანავე პრემიერ-მინისტრს სასტუმროში აშშ-ს ეროვნული უშიშროების საბჭოს დირექტორი მეთ ბრაიზა ეწვია. დახურულ კარს მიღმა გამართულ შეხვედრაზე განიხილეს საქართველოს ეროვნულ უშიშროებასთან და რეგიონში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებული საკითხები.

ზურაბ ჟვანიამ ინტერვიუ მისცა დოკუმენტური ფილმის "ვარდების რევოლუციას" ავტორებს და განაცხადა, რომ რევოლუციის შედეგად ქართველმა ხალხმა თავად შექმნა საკუთარი მომავალი. პრემიერი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხსაც შეეხო და "ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ანტიკორუფციული ღონისძიება" უწოდა სპეციალური ფონდის შექმნას, საიდანაც 500-ზე მეტი პოლიციელი, საგადასახადო უწყების თანამშრომელი და სხვადასხვა თანამდებობის პირი მაღალ ხელფასს მიიღებს.

ამერიკაში, პრემიერ-მინისტრთან ერთად, თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრები, დეპუტატი დავით ტყეშელაშვილი და საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის მრჩეველი დენიელ ქუნინი იმყოფებიან.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამთავრობო დაცვის სამსახური დაცვის ორი წევრის თბილისში გადმოსვლასთან დაკავშირებით განცხადებას აკეთებს. "ძმები მახარაძეების მიერ ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიმართ დაუმორჩილებლობის განცხადება ბლეფია,"- აცხადებენ ბათუმში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ჩოლოქის ადმინისტრაციულ საზღვარზე 200-მდე ადამიანია შეკრებილი. ძირითადად, იქ საბიუჯეტო ორგანიზაციის წარმომადგენლები არიან. ისინი საპროტესტო აქციების გაგრძელებას ჩოლოქის გამშვებ პუნქტთან უვადოდ აპირებენ. არაოფიციალური ვერსიით კი, ჩოლოქის საზღვრის გადმოლახვას უახლოეს პერიოდში სხვადასხვა რეგიონებში აჭარიდან ჩასახლებული 500-მდე ადამიანი აპირებს, რომლებიც აჭარის მეთაურის რეზიდენციის წინ ასლან აბაშიძის გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციას გეგმავენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ჩოლოქზე მოსახლეობა სწორედ ამ პროცესის ჩასაშლელად იქნა მობილიზებული **ინტერ-პრესი**

### ოფიციოზი

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №142

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

ზ. ჟვანიასათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას უფლებამოსილება, რომ ხელი მოაწეროს ხელშეკრულების "საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის პროგრამას "სურსათი პროგრესისათვის" აქტის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო საქონლის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ".

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №143

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

კ. ზალდასტანიშვილისათვის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

მიენიჭოს საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბენილუქსის ქვეყნებში და მუდმივ წარმომადგენელს ევროკავშირთან კონსტანტინე ზალდასტანიშვილს უფლებამოსილება, რომ ხელი მოაწეროს ევროგაერთიანებებსა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის "პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ოქმს".

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №144

*2004 23 აპრილი ქ. თბილისი*

"საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე" 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულებისა და "საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 2002 წლის 10 დეკემბრის შეთანხმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

"საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე" 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულებით და "საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 2002 წლის 10 დეკემბრის შეთანხმებით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით:

1. საქართველოს მთავრობამ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებანი (მათ შორის, შესაბამისი ნორმატიული ბაზის სრულყოფა) "საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის ჰუმანიტარული და ტექნიკური ეკონომიკური დახმარების ხელშეწყობისათვის თანამშრომლობის თაობაზე" 1992 წლის 31 ივლისის ხელშეკრულებით და "საქართველოს მთავრობისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ" 2002 წლის 10 დეკემბრის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების პროცესის განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

2. საქართველოს ფინანსთა მინისტრმა ზ. ნოღაიდელმა კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს შესაბამისი ბრძანების გამოცემა ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების აღსრულების პროცედურების შესახებ.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №340

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისათვის იტალიის რესპუბლიკაში რუსუდან ლორთქიფანიძისათვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იტალიის რესპუბლიკაში რუსუდან ლორთქიფანიძეს გამოეცხადოს მადლობა საქართველოს მეგობარ ქვეყნებთან ეფექტიანი თანამშრომლობისა და გაწეული საქმიანობისათვის.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №341

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

გ. გეწაძისათვის იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის საბჭოს მდივანს გია გეწაძეს მიენიჭოს იუსტიციის უფროსი მრჩევლის სპეციალური წოდება.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №342

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

გენერალ-მაიორ რ. დუმბაძის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

"სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტის თანახმად გენერალ-მაიორი რომან დუმბაძე დათხოვნილ იქნეს სამხედრო სამსახურიდან.

*მიხეილ სააკაშვილი*

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №343

*2004 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი*

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების შესახებ.

სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისა და სამხედრო ფიცისადმი ერთგულებისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 25-ე მოტომსროლელი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს გამოეცხადოთ მადლობა:

იური აბაშიძეს - კაპიტანს, 251-ე კადრირებული ბატალიონის ქვეითი ასეულის მეთაურს
ავთანდილ ბათაძეს - კაპიტანს, კავშირგაბმულობის ასეულის მეთაურს
ავთანდილ ბერიძეს - ზემდეგს, სასურსათო საწყობის უფროსს
მარადი ბერიძეს - ლეიტენანტს, ლაზარეთის ექიმ-თერაპევტს (რეზერვისტს)
ჯემალ ბერიძეს - უფროს ლეიტენანტს, ბრიგადის კომენდატის თანაშემწეს
იაგო გათენაძეს - მაიორს, ბათუმის გარნიზონის კომენდანტის თანაშემწეს
ზურაბ გათენაძეს - ზემდეგს, სამეურნეო ოცეულის ათეულის მეთაურს
თამაზ გელაძეს - ლეიტენანტს, ბათუმის გარნიზონის კომენდატურის მომკვლევს
რესან გორაძეს - კაპიტანს, G-3-ის ოფიცერს
ნუგზარ დიასამიძეს - ზემდეგს, კავშირგაბმულობის ასეულის რადიოკვანძის უფროსს
სოსო დიასამიძეს - ზემდეგს, პურის მცხობელს
ჯემალ დიასამიძეს - კაპიტანს, ბათუმის გარნიზონის კომენდანტის თანაშემწეს
ალექსი დავითაძეს - მაიორს, კადრირებული ბატალიონის შტაბის უფროსს
მერაბ დავითაძეს - მაიორს, კადრირებული ბატალიონის S-1 (პერსონალი) ოფიცერს
ბეგლდარ დეკანაძეს - ზემდეგს, შეიარაღების საწყობის უფროსს
ავთანდილ დუმბაძეს - ლეიტენანტს, კავშირგაბმულობის ოცეულის მეთაურს
რობერტ დუმბაძეს - უფროს ლეიტენანტს, საშტაბო ასეულის მეთაურს
რომან დლუმბაძეს - ზემდეგს, კავშირგაბმულობის რადიო ათეულის მეთაურს
ზაზა ვადაჭკორიას - მაიორს, სამედიცინო სამსახურის უფროსს
კახაბერ ვაშაკაშვილს - ზემდეგს, ბრიგადის იურისტს
მერაბ ზოიძეს - უფროს ლეიტენანტს, საშტაბო ასეულის ოცეულის მეთაურს
ქაზიმ ზოიძეს - ზემდეგს, საშტაბო ასეულის ზემდეგს
მერაბ იაკობიძეს - ვიცე-პოლკოვნიკს, G-4-ის უფროსს
ევგენი კასრაძეს - ვიცე-პოლკოვნიკს, სარეზერვო ჯარების ქვეგანყოფილების უფროსს
თენგო კახაძეს - ზემდეგს, საბინაო-საექსპლუატაციო საწყობის უფროსს
გურამ მამუჭაძეს - მაიორს, ქიმიური სამსახურის უფროსს
ამირან მახარაძეს - ზემდეგს, ლაზარეთის ფერშალს
გიორგი მახარაძეს - კაპიტანს, ბრიგადის კომენდანტს
შოთა მახარაძეს - უფროს ლეიტენანტს, ბათუმის გარნიზონის სამხედრო ავტოინსპექციის უფროსს
ხვიჩა მახაჭაძეს - უფროს ლეიტენანტს, რეზერვისტს
სოსლან მიქელაძეს - ზემდეგს, კავშირგაბმულობის ასეულის ტექნიკოსს
არჩილ მესხიძეს - რიგითს
ვიქტორ მიქელაძეს - ვიცე-პოლკოვნიკს, ბრიგადის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელს
გიზო ნაკაშიძეს - ზემდეგს, რეზერვისტს
ზურაბ ნაჭყებიას - ზემდეგს, სასადილოს უფროსს
ზაზა რუხაძეს - ლეიტენანტს, რეზერვისტს
მერაბ სარჯველაძეს - კაპიტანს, უზრუნველყოფის ასეულის მეთაურს
მერაბ სირაბიძეს - კაპიტანს, რეზერვისტს
თემურ სიხარულიძეს - უფროს ლეიტენანტს, სადაზვერვო ოცეულის მეთაურს
ლევან სურმანიძეს - მაიორს, ოფიცერთა ჯგუფის უფროს ოფიცერს
გიორგი ტყემალაძეს - უფროს ლეიტენანტს, დაზვერვის ასეულის მეთაურს
ბადრი ფუტკარაძეს - მაიორს, G-4-ის ოფიცერს
მერაბ ფუტკარაძეს - მაიორს, სამწყობრო ნაწილის უფროსს
რამინ ფუტკარაძეს - ზემდეგს, საიდუმლო ნაწილის უფროსს
ლევან ქამადაძეს - ზემდეგს, სადაზვერვო ასეულის ზემდეგს
რომან ქარცივაძეს - ლეიტენანტს, მატერიალური უზრუნველყოფის ოცეულის მეთაურს
მერაბ შაინიძეს - კაპიტანს, კადრირებული ბატალიონის ასეულის მეთაურს
ბადრი შანიძეს - უფროს ლეიტენანტს, რეზერვისტს
ჯემალ შანიძეს - მაიორს, ბათუმის გარნიზონის კომენდანტის თანაშემწეს
ბესარიონ ჩახვაძეს - კაპიტანს, ლაზარეთის ექიმ-ქირურგს
სოსო ცეცხლაძეს - მაიორს, G-1-ის ოფიცერს
უშანგი ცინცაძეს - ზემდეგს, მატერიალური უზრუნველყოფის ასეულის ზემდეგს
მამული ჯიმშერაძეს - უფროს ლეიტენანტს, საშტაბო ასეულის უმცროს ოფიცერს
ნოდარ ჯორბენაძეს - ლეიტენანტს, დაზვერვის ასეულის უმცროს ოფიცერს
ბაადურ ძირკვაძეს - ვიცე-პოლკოვნიკს.

*მიხეილ სააკაშვილი*

### დამტკიცებულია

*საქართველოს პრეზიდენტის*
*2004 წლის 24 აპრილის №346 ბრძანებულებით*

"სტუდენტური დღეები - 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა

ზურაბ ჟვანია - საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

გიორგი გაბაშვილი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

კახა ლომაია - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ანზორ ბენიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უმაღლესი და საშუალო პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი

მერაბ ბერიძე - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის დირექტორი

ბიძინა ბრეგვაძე - ქ. თბილისის პრემიერი

გია ბუღაძე - თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი

გიორგი გოგაშვილი - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემიის რექტორი

ომარ გოგიაშვილი - საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის რექტორი

ელგუჯა გუგუშვილი - საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის რექტორი

ალექსანდრე დიდებულიძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე

მანანა დოიჯაშვილი - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ვლადიმერ ვარძელაშვილი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე

ნური ვერძაძე - ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გურამ თავართქილაძე - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი

გურამ თევზაძე - საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

თამაზ თევზაძე - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე

ლევან იზორია - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის რექტორი

ვახტანგ კვარაცხელია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის დირექტორი

მერაბ ლაფანაშვილი - საქართველოს სახელმწიფო უშიშროების აკადემიის რექტორი

გიგა ლორთქიფანიძე - საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ირაკლი მაჩაბელი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერებათა განყოფილების უფროსი

ზურაბ მელიქიშვილი - საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეგიონალური პოლიტიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის საკითხებში

როინ მეტრეველი - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

იური მოსიძე - თბილისის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის რექტორი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ზურაბ ნოღაიდელი - საქართველოს ფინანსთა მინისტრი

ოთარ ჟორდანია - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორი

თემურ ჟღენტი - თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

ვახტანგ სართანია - თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის რექტორი

ნაპოლეონ ქარქაშაძე - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორი

ზაზა შენგელია - საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის თავმჯდომარე

ზურაბ ჭიაბერაშვილი - ქ. თბილისის მერი

როინ ჭიკაძე - თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

გედეონ ხელაია - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

რამაზ ხეცურიანი - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ამირან ხვადაგიანი - ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი

რამაზ ხუროძე - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №346

*2004 წლის 24 აპრილი ქ. თბილისი*

"სტუდენტური დღეები-2004"-ის მოწყობის შესახებ.

სტუდენტი ახალგაზრდობის ზნეობრივი, ინტელექტუალური, კულტურული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენისა და განვითარების მიზნით:

1. მოეწყოს "სტუდენტური დღეები - 2003\4" მიმდინარე წლის 28 აპრილიდან 26 მაისამდე.
2. დამტკიცდეს "სტუდენტური დღეები - 2004"-ის საორგანიზაციო კომიტეტის თანდართული შემადგენლობა.
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ზ. ნოღაიდელი) უზრუნველყოს "სტუდენტური დღეები - 2004" პროგრამის დაფინანსება კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისათვის 2004 წელს გამოსაყოფი ასიგნებების ფარგლებში.
4. ქ. თბილისის მერიამ მონაწილეობა მიიღოს "სტუდენტური დღეები - 2004"-ის მოწყობაში და დააფინანსოს მიმდინარე ღონისძიებები.
5. საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორებმა, რექტორთა საბჭომ (რ. მეტრეველი), კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრომ (გ. გაბაშვილი), განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ (კ. ლომაია) სტუდენტურ ორგანიზაციებთან ერთად უზრუნველყონ "სტუდენტური დღეები - 2004"-ის ორგანიზება და მოწყობა.
6. სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციის გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ საქართველოს პრეზიდენტის პრემიით, რომლის რაოდენობასაც განსაზღვრავს საორგანიზაციო კომიტეტი.
7. საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა (ზ. მელიქიშვილი), საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებმა და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ "სტუდენტური დღეები - 2004"-ის მოწყობაში, ხელი შეუწყონ ადგილებზე პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა გამართვას.
8. ეთხოვოთ საქტელერადიომაუწყებლობას (ზ. შენგელია) და მასმედიას უზრუნველყონ "სტუდენტური დღეები - 2004"-ის ღონისძიებათა გაშუქება საქართველოს ტელევიზიითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით.

*მიხეილ სააკაშვილი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# მომჭირნე პრეზიდენტი კიევში გაფრინდა

სოფო ბუკია

თბილისი-კიევი-ვარშავა-თბილისი - საქართველოს პრეზიდენტის უახლოესი სამი დღის გრაფიკი ასეა გაწერილი. უკრაინის დედაქალაქში საქართველოს პრეზიდენტი გუშინ ჩვეულებრივი, რეგულარული რეისით გაფრინდა. ორშაბათობით თბილისის აეროპორტიდან კიევის მიმართულებით ავიარეისებს უკრაინული ავიაკომპანია "უკრაინის ავიახაზები" ახორციელებს. ასე რომ, საქართველოს მომჭირნე პრეზიდენტს გუშინ უცხო ქვეყნის დროშის ქვეშ მოუწია ფრენა.

ორდღიანი ოფიციალური ვიზიტის მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტი უკრაინელ კოლეგას პირისპირ შეხვდება. კუჩმასთან საუბრის შემდეგ ქართულ-უკრაინულ დელეგაციათა მოლაპარაკებაა დაგეგმილი.

მოგვიანებით, საქართველოს პრეზიდენტი სამუშაო ლანჩს გამართავს უკრაინის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ იანუკოვიჩთან. დაგეგმილია სააკაშვილის ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში ვიზიტიც, სადაც იგი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდება.



მიხეილ სააკაშვილს ამჯერად უკრაინულმა ავიაკომპანიამ უმასპინძლა.

28 აპრილს საქართველოს პრეზიდენტი პოლიტიკურ ბლოკ "ნაშა უკრაინას" ლიდერთან ოპოზიციონერ ვიქტორ იუშჩენკოსთან ისაუბრებს. **"დსთ-ს ქვეყნების ლიდერები, შეიძლება, არ ხვდებიან ოპოზიციის წარმომადგენლებს, მაგრამ ამას აკეთებენ ევროპელი ლიდერები. ეს არავითარ შემთხვევაში არ არის უპატივცემულობის გამოხატვა უკრაინის პრეზიდენტისა და მისი ხელისუფლების მიმართ. ეს დემოკრატიული ქვეყნის პრეზიდენტის ჩვეულებრივი ნაბიჯია,"** - "თავი იმართლა" სააკაშვილმა კიევში გამგზავრების წინ. კიევიდან პრეზიდენტი პოლონეთის დედაქალაქ ვარშავას ეწვევა, სადაც ევროპის ეკონომიკურ სამიტს დაესწრება. ვარშავაში სააკაშვილი პოლონეთის პრეზიდენტს შეხვდება და, ასევე, სომხეთის პრეზიდენტთან რობერტ კოჩარიანთანაც ექნება საუბარი. პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოში 29 აპრილს დაბრუნდება.

# ლტოლვილების დაბრუნების პროცესი მოსკოვიდან იწყება

რუსუდან ნიკურაძე
საქ.კორ.მოსკოვში

აფხაზეთში ლტოლვილთა ღირსეულ და უსაფრთხო დაბრუნებაზე მოსკოვში მხარეთა მოლაპარაკებების მესამე რაუნდი გაიმართა. მოლაპარაკებებში პირველად მონაწილეობს აფხაზური მხარე, სერგეი შამბას სახით. მოსკოვურ მოლაპარაკებებს წინ უძღოდა სოჭისა და ჟენევის შეხვედრები, სადაც გოგა ხაინდრავა და სერგეი შამბა ერთმანეთით კმაყოფილნი დარჩნენ. მხარეებმა ერთობლივად გადაწყვიტეს მოსკოვურ რაუნდში სოხუმის ჩართვაც.

მოლაპარაკებებში გაჩენილ კონსტრუქტივიზმს სერგეი შამბა საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებად მიიჩნევს და კმაყოფილებას გამოთქვამს, რომ გაერო-სა და უმაღლესი კომისარიატის ოფისმაც დიდი ძალისხმევა გასწია, რათა ათწლიანი ჩიხიდან გამოსვლა დაიწყოს. მოსკოვში ჩამოსული სერგეი შამბა სინანულით აღნიშნავს, რომ ამ ნანატრ პროცესში პოლიტიკა დომინირებს და ქართველები ლტოლვილთა დაბრუნების წინ გალში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენას ითხოვენ.

მოლაპარაკებების მესამე რაუნდის პირველი ეტაპის შემდეგ, ქართული მხარის კომენტარით, მოსკოვური ფორმატი ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებაზე სპეციალური ოქმის შემუშავებს ითვალისწინებს. დოკუმენტს "უზრუნველყოფის ოქმი" ეწოდება და კონფლიქტის მონაწილეთა მხრიდან გარკვეულ გარანტიებს გულისხმობს. მოსკოვური მოლაპარაკების დროს განიხილავენ იძულებით გადაადგილებულთა დაბრუნებისთვის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საკითხებს. ქართული დელეგაცია ამტკიცებს, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტას მხარეები სახელმწიფოებრივად მიუდგნენ.

გიორგი ხაინდრავას კომენტარით, საუბარია კონკრეტულ ადამიანებზე და მათ ბედზე, ანუ მოსკოვურ მოლაპარაკებებზე წინა პლანზე ადამიანური ფაქტორი გამოდის. ხაინდრავას თქმით, მოსკოვში დაწყებული პროცესით გადაწყდება ორი მნიშვნელოვანი საკითხი: პირველი - რეგისტრაცია საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩარევითა და მონაწილეობით და მეორე - გალში დაბრუნებული ლტოლვილების უშიშროება.

"24 საათი" გთავაზობთ სერგეი შამბას მოსაზრებას მოლაპარაკებების მთავარ პრობლემებზე: **"ქართული მხარე ლტოლვილთა დაბრუნების საკითხის ზედმეტ პოლიტიზირებას ეწევა. იგივე პრობლემა გვქონდა ათი წლის წინათაც. დღესაც ქართული მხარე იგივე პრობლემას აყენებს: სად, რა პირობებში, რომელი ქვეყნის იურისდიქციის ქვეშ დაბრუნდებიან ლტოლვილები. ჩვენ მზადყოფნას ვაცხადებთ, რომ კონკრეტულად განვიხილოთ გალში დაბრუნებულთა უსაფრთხოების პრობლემა, გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური კონტროლით. ადრე ამ პროცესს აფხაზეთში მოთარეშე "თეთრი ლეგიონი" და "ტყის ძმები" აფერხებდნენ და ამას გაერო-ს მონიტორინგის ჯგუფიც აღნიშნავდა. ამჟამად სიტუაცია გამოსწორებულია, მაგრამ ჩვენ მაინც მოვითხოვთ დაბრუნების პროცესში შერეული ჯგუფის მონაწილეობას, ვინც ამ პროცესსს გააკონტროლებს. ჩვენ მზად ვართ, შევუდგეთ ლტოლვილთა რეგისტრაციას. მთავარია, ახლა პოლიტიკურმა ასპექტებმა არ შეგვიშალოს ხელი. ჟენევაში ხაინდრავასთან შეხვედრით მეტად კმაყოფილი ვარ."**

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მერაბ ანთაძე არ ეთანხმება სერგეი შამბას პოზიციას, განსახილველი საკითხის, ვითომდა, ზედმეტად პოლიტიზების თაობაზე.

გალში ლტოლვილთა დაბრუნების კონკრეტული თარიღი ჯერ არ სახელდება. ყველაფერი, ალბათ, ზემოხსენებული ოქმის გაფორმების შემდეგ გაირკვევა.

"პროცესი დაიწყო," - აცხადებს შამბა. "პროცესი დაიწყო," - გახარებულია ხაინდრავა. პროცესი ათი წლის წინათაც დაიწყო და მაშინაც ლტოლვილთა ღირსეულ დაბრუნებაზე იყო საუბარი. ძველ და ახალ სიტუაციებს ის განასხვავებს, რომ პირველად მოლაპარაკებების ამ გაუთავებელ პროცესში, ბატონი შამბა გარკვეული სიმპათიებით მოიხსენიებს საქართველოს ახალი ხელისუფლების მზადყოფნას კონსტრუქციული საუბრისათვის.

რაც შეეხება რუს დიპლომატებს, მოსკოვურ მოლაპარაკებებში მონაწილე რუსული მხარე კვლავ მთავარი მედიატორ-გამშველებლის ფუნქციას ინარჩუნებს და მკვეთრი განცხადებებისაგან თავს იკავებს.

# აჭარის პრობლემა მხოლოდ საქართველოს პრეროგატივაა

მოსკოვში 26-27 აპრილს საქართველო-რუსეთს შორის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი გაიმართება. ქართველი დიპლომატების კომენტარით, საუბარი შეეხება სოჭის შეთანხმებების რეალიზებისა და ორი ქვეყნის ურთიერთობების მიმდინარე საკითხებს.

გასული კვირის ბოლოს საქართველოს ელჩის კოტე კემულარიასა და საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვალერი ლოშჩინინის შეხვედრაზე, რუსულმა მხარემ დადებითად შეაფასა საქართველოში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის დირექტორის მოადგილის პრონიჩევის თბილისში ვიზიტი. ამ ვიზიტით, როგორც ვალერი ლოშჩინინი აცხადებს, **"თავად რუსეთის პრეზიდენტია კმაყოფილი."** რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კმაყოფილია - ანტიტერორისტულ ღონისძიებებში მხარეთა თანამშრომლობის დონე და ხარისხი სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ოფიციალურ თბილისთან მომავალი მოლაპარაკებები წარმატებით წარიმართოს. ჯერჯერობით დიპლომატები მორიგი რაუნდის დეტალებზე დაწვრილებით არ საუბრობენ, მაგრამ, როგორც საქართველოს ელჩმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, იგი კმაყოფილია სავიზო რეჟიმის გამარტივების თემაზე რუსულ მხარესთან საუბრით. კემულარია ამბობს, რომ **"დღეს, პირველად, რუსეთის მხარემ ხაზი გაუსვა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში გაჩენილ პოზიტივებს."**

მაგრამ, არ არის გამორიცხული, ორი ქვეყნის დიპლომატთა საუბარს ხელი შეუშალოს ერთმა ორგანიზაციულმა დისონანსმა: რუსულ მხარეს, როგორც ირკვევა, ჯერაც არ დაუნიშნავს სამხედრო საკითხებზე მოლაპარაკებებში საკუთარი წარმომადგენელი. ადრე მისი გვარი დასახელდა, მაგრამ, როგორც ჩანს, კრემლი ყოყმანობს. რუსი დიპლომატები კემულარიას დაჰპირდნენ, რომ მაისის დასაწყისში ეს საკითხი აუცილებლად გაირკვევა.

კოტე კემულარია კმაყოფილია იმითაც, რომ **"აჭარის საკითხში რუსულმა მხარემ კიდევ ერთხელ დაადასტურა საკუთარი ნეიტრალიტეტი, სრული ჩაურევლობა და კონფლიქტის კონსტიტუციური გზით გადაჭრის სურვილი."** პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საქართველოს პრეროგატივაა, - უთქვამს ლოშჩინინს. და რადგანაც ბატონი კემულარია განათლებით იურისტია, ამიტომ რუსი დიპლომატები მასთან ყარსის ხელშეკრულებაზე საუბრისას, თურმე, განსაკუთრებით ფრთხილობენ.

**"ბათუმში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზა არ გახდება პოლიტიკური ფაქტორი. ამაზე ჩვენ მყარი დაპირება მივიღეთ,"** - ამბობს ბატონი ელჩი.

# საზღვაო-საბრძოლო კატარღამ ბათუმი დატოვა

საზღვაო-საბრძოლო კატარღა პ-103-მა ღამით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების თანხმობის გარეშე შეიცვალა დისლოკაციის ადგილი და ბათუმის პორტიდან ფოთის პორტში გადაადგილდა. უშიშროების მინისტრის მოადგილის გიგი უგულავას განცხადებით, ბათუმის პორტის აკვატორიიდან გამოსვლისას აჭარის მეთაურის ასლან აბაშიძის მხარდამჭერმა ძალებმა წინააღმდეგობა გაუწიეს გემის ეკიპაჟს. მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ "ეს მცდელობები შეიარაღებულ შეტაკებაში არ გადაზრდილა".

საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის ფოთის დივიზიონის უფროსის კობა ბოჭორიშვილის თქმით, ბათუმის პორტის დანარჩენი სასაზღვრო კატარღები ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებასა და ნებისმიერ დროს ფოთში გადაადგილებისთვის მზადყოფნაშია.

აჭარის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე როსტომ ჯაფარიძეც ადასტურებს ინფორმაციას ბათუმის საზღვაო აკვატორიის დატოვების შესახებ. სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის აჭარის რეგიონული სამმართველოს უფროსი თენგიზ კონცელიძე აცხადებს, რომ ფოთში მიმდინარე სანაპირო დაცვის სასაზღვრო შემადგენელი ნაწილების წვრთნაზე კატარღის წასვლასთან დაკავშირებული აჟიოტაჟი "უსაფუძვლოა." მისი თქმით, სიმართლეს არ შეეფერება ინფორმაცია,



კატარღის დახვედრა ფოთის პორტში

რომ თითქოს კატარღას წინააღმდეგობა შეხვდა აჭარის ხელისუფლების მხრიდან. კონცელიძის თქმით, ფოთში ანალოგიური წვრთნები ყოველწლიურად ტარდება და მასში ბათუმის სანაპირო დაცვის კატარღები ყოველთვის იღებენ მონაწილეობას.

*პრაიმ-ნიუსი*

# პროკურორის "ჭვარედინი დაკითხვა"

პირველი გვერდიდან

რების შესაძლებლობა არ არსებობდა.

**"ისე, ვეცდებით, ამიერიდან ზუსტად მივყვეთ რეგლამენტის მოთხოვნებს,"** - სამართლებრივ რეჟიმში ჩადგომის სურვილს გამოთქვამს ნინო ბურჯანაძე.

თავად ბიუროს შემადგენლობა, წინასთან შედარებით, ძირფესვიანად არის შეცვლილი: "ძველი გვარდიიდან" შემორჩნენ მხოლოდ პარლამენტის სპიკერი და ფრაქციის თავმჯდომარეობიდან ვიცე-სპიკერის რანგში აღზევებული მიხეილ მაჭავარიანი. ამიტომ, "დებიუტანტებისთვის" ნინო ბურჯანაძეს ბიუროს მუშაობის სპეციფიკის შესახებ პატარა ლექციის წაკითხვაც კი დასჭირდა.

ოთახების განაწილება, სხდომათა დარბაზში ფრაქციებისთვის ადგილების გამოყოფა, კომიტეტებში კვოტების გადახედვა - გუშინდელი სხდომის უდიდესი ნაწილი ამ და მსგავს საორგანიზაციო საკითხებზე მსჯელობას დაეთმო. "მძიმე სამუშაო პირობებით" შეწუხებულმა ბიუროს წევრებმა, გამოსავლის ძიებისას, უშიშროების სამინისტროს უზარმაზარი შენობაც კი გაიხსენეს და იქ გადაბარგების სურვილი გამოთქვეს...

სავარაუდო იყო, რომ ყოფითი საკითხების განსჯის შემდეგ, სხდომა "გამოცოცხლდებოდა". მით უმეტეს, მის დღის წესრიგში ისეთი დამაინტრიგებელი საკითხი იყო შეტანილი, როგორიცაა თბილისის პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის ინფორმაციის მოსმენა კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის დაკავების ფაქტთან დაკავშირებით. მაგრამ სენსაცია არც აქედან "გამოდნა": დავით

# რატომ იცვალა გეზი საქართველოზე გამავალმა ნავთობმა?!

პირველი გვერდიდან

საინფორმაციო სააგენტო IRNA, კასპიის საზღვაო-სანაოსნოზე დაყრდნობით იტყობინება, რომ ბევრი ნავთობკომპანია უბრალოდ არ ენდობა საქართველოს, რაც არის კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც ისინი უპირატესობას ირანის მარშრუტს ანიჭებენ. **"ძალიან ბევრ დაბრკოლებას საქართველო თვითონ ქმნის. კომპანიებს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო არა აქვთ ნდობა ამ მარშრუტის. ჩვენი მარშრუტით ტვირთების გადაზიდვის 70 პროცენტი დამოკიდებულია საქართველოზე, რომელიც არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას ტარიფების შემცირების თაობაზე. ამიტომაც აუცილებელია, რომ ქართულმა მხარემ შეამციროს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ტარიფები"**, - განაცხადა აიდინ ბაშიროვმა.

"24 საათის" ინფორმაციით, საქართველოს ხელისუფლება სატარიფო პოლიტიკის გადახედვას მართლაც გეგმავს; თუმცა ექსპერტები აღნიშნავენ იმ ფაქტორს, რომ ყველაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესების შემთხვევაშიც კი ირანისთვის კონკურენციის გაწევა წარმოუდგენელია. თავად აიდინ ბაშიროვის განცხადებითვე: **"კომპანიები საკუთარი ნავთობის ტრანსპორტირებას ირანის ჩრდილოეთამდე ახდენენ, ცვლიან მას სამხრეთში თავად ირანში წარმოებული ნავთობის ანალოგიურ მოცულობაზე. ნავთობის ტრანსპორტირება აღარ ხდება მთელი ქვეყნის ტერიტორიის გავლით, რაც რკინიგზაზე 7-8 დოლარის ეკონომიის საშუალებას იძლევა".**

*24 საათი*

# "დიდი შვიდეული" სიღარიბის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლას იწყებს

*"დიდი შვიდეულის" ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ მსოფლიოში სიღარიბესთან ბრძოლას აპირებენ და მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას გეგმავენ.*

დიანა ჩაჩუა

ამ განცხადებით ისინი სამიტის შედეგებთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ. მასში მონაწილეობდნენ საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკიც.

მონაწილე ქვეყნების ფინანსთა მინისტრებმა გადაწყვიტეს, განვითარებადი ქვეყნებისთვის დახმარების მოცულობა ისეთ სფეროებში გაზარდონ, როგორიც არის განათლება, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლა და შეამცირონ ამ ქვეყნების ვალის რაოდენობა. ამას გარდა, მსოფლიოს უდიდესმა ქვეყნებმა გადაწყვიტეს, ხელი შეუწყონ ახლო აღმოსავლეთის - პალესტინის, ერაყისა და ავღანეთის ეკონომიკურ განვითარებას.

მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელმა ჯეიმს ვულფენსონმა ყველას მოუწოდა, რომ განვითარებადი ქვეყნების დახმარებებზე უფრო მეტი ფული ხარჯონ, ვიდრე ომის ხარჯებზე. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, შეხვედრების პერიოდში გაჟღერებულმა განცხადებებმა ვერანაირი ფინანსური მხარდაჭერა ვერ მიიღო.

უნდა აღინიშნოს, რომ ერაყის აღმშენებლობისათვის უკვე გამოყოფილი თანხების ერთი მეოთხედი უშიშროების უზრუნველყოფაზე იხარჯება. რამდენიმე ხნის წინ ერაყისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევის სურვილი საფრანგეთმა გამოთქვა. ამის შესახებ განაცხადა საფრანგეთის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელმა მიშელ ალიომარიმ. მისი სიტყვებით, ქვეყანა ერაყის აღმშენებლობაში მონაწილეობას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ ერაყის პრობლემების დარეგულირებაში მთავარ როლს გაერო შეასრულებს.

# ერაყში ახალი ნავთობტერმინალი შენდება

ერაყის ტექნიკოსები და ინჟინრები იმედოვნებენ, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება უმთავრესი საექსპორტო ნავთობტერმინალის მშენებლობა ბასრაში, რომელიც გასულ კვირას დაიბომბა.

ექსპერტების შეფასებით, ტერმინალის დაზიანების დროს რამდენიმე მილიონი ბარელი საექსპორტო ნავთობი დაიღვარა, თუმცა, ერაყის ნავთობის მრეწველობის მინისტრის განცხადებით, მცირე ტერმინალ "ხორ ალ-ამაიაზე" მუშაობა დღეისათვის აღდგენილია. მისივე ინფორმაციით, გასულ კვირას, თავდასხმის დროს, ტერმინალზე გაითიშა ელექტროენერგია, რის გამოც იქიდან ნავთობის ექსპორტი ორშაბათზე ადრე ვერ დაიწყება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** აჭარის რეგიონის მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსგან საჩუქრად მინერალურ სასუქს მიიღებს. ხელშეკრულება 2 ტონა სასუქის შეძენის თაობაზე სს "აზოტსა" და სამინისტროს შორის უკვე გაფორმდება. ამით სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრომ პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ მთავრობის სხდომაზე მიცემული დავალება შეასრულა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის საავიაციო ქარხნის თანამშრომლები პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებას ელოდებიან და მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ფართომასშტაბიანი გაფიცვებით იმუქრებიან. საწარმოს კოლექტივი დირექციას ქარხნის კანონდარღვევებით პრივატიზებასა და მისი ქონების ფარულად გაყიდვაში ადანაშაულებს, რაც, თანამშრომელთა აზრით, ქარხნის დახურვის და 200-დე მუშაკის უმუშევრად დარჩენის რეალურ საშიშროებას ქმნის. ქუთაისის საავიაციო ქარხანა ოთხკაციანი თვითმფრინავების - "მერკურის" აწყობაზე მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის თანამშრომლები ბათუმში გაემგზავრნენ. ისინი აჭარის რეგიონულ ხაზინას კომპიუტერებსა და სხვა ტექნიკას გადასცემენ. ასევე აჭარის ხაზინის თანამშრომლებს რეკომენდაციებს გაუწევენ საქმიანობის ეფექტიანად და ოპერატიულად განხორციელების თვალსაზრისით. დაგეგმილია საკონსულტაციო შეხვედრები, რომელზეც შემოსავლების ერთიან სახაზინო ანგარიშზე აღრიცხვის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები განიხილება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად, საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1.9750 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა. **ინტერ-პრესი**

"ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**28 აპრილს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ბარნოვის, კეკელიძის, ლარსის, პეტრიაშვილის, რჩეულიშვილის, თერგის, უმიკაშვილის, ხორავას, ზემო ვაკის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**28 აპრილს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
წერეთლის გამზირის (ნაწილობრივ), დიდუბის I, II შესახვევის, გუდაუთის, აგლაძის, სამტრედიის, ხოშარაულის, გოგოლაურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**28 აპრილს, 10.00-დან 15.00-სთ-მდე:**
ზემო ვეძისის დასახლების, ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას I და II კვარტლების, ბუაჩიძის, ბუდაპეშტის(ნაწილობრივ), ვახტანგ ჩიქოვანის, დელისის, მეგრელაძის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ჰეიდარ აბაშიძის, ამბროლაურის, არდაზიანის, ასათიანის, ჩერქეზიშვილის, გაგარინის, გელოვანის, იმედაშვილის, კანდელაკის, ლევანდოვსკის, ლომონოსოვის, მგალობლიშვილის, ოდესის, ონიაშვილის, ოსეთის, საირმის, სახოკიას, ტაშკენტის, ვაზისუბნის, ყუშიტაშვილის, ზაქარიაძის, ზემო ვეძისის, ზოვრეთის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**28 აპრილს, 11.00-დან 18.00-სთ-მდე:**
ქეთევან წამებულის (ნაწილობრივ), სახალხოს, სამგორის, მეველეს, ჩოლოყაშვილის, ლერწმის, მალხაზის, მანავის, გრომოვის, აბუსერიძე-ტბელის, გუდარეხის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**28 აპრილს, 10.00-დან 18.00 სთ-მდე:**
გლდანულას(გლდანის ხევის დასახლების), გლდანის ა, II, IV, VII მიკრორაიონების, თიანეთის გზატკეცილის(ნაწილობრივ), შამპანურის ქარხნის საბაღე მეურნეობის ვართაგავას, მორეტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საბაჟო დეპარტამენტი, ჯერჯერობით, სამოქმედო გეგმის პრეზენტაციას აწყობს

სოფო თბილელი

*ფინანსთა სამინისტროში გუშინ საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ გამართული პრეზენტაცია მომავალში განსახორციელებლი ღონისძიებების პრეზენტაცია უფრო იყო, ვიდრე ერთთვიანი მუშაობის შედეგების. ამ ეტაპზე, როგორც გაირკვა, მთავარი შედეგი ის არის, რომ ერთთვიანი მუშაობის შედეგად საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ მხოლოდ განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა შეიმუშავა.*



*გოდაბრელიძე საბაჟოში სტრუქტურულ ცვლილებებს გეგმავს.*

მორიტა ბაზაიძის ფოტო

საბაჟო დეპარტამენტის სტრუქტურული გარდაქმნა, საბაჟო პროცედურების გამარტივება, უფუნქციო სამმართველოების გაუქმება, მოხელეების კონკურსით შერჩევა, ხელფასების გაზრდა, რამდენიმე საბაჟო პუნქტის გაუქმება, რკინიგზასა და საბაჟო დეპარტამენტს შორის ხელშეკრულების გაფორმება და ა.შ - ეს იმ ღონისძიებების მცირე ჩამონათვალია, რომელიც, საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის გიორგი გოდაბრელიძის განმარტებით, უახლოეს მომავალში უნდა განხორციელდეს.

ცხადია, რომ გოდაბრელიძე ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს პრემიერ-მინისტრის მიერ მისთვის მიცემული ორთვიანი ვადა და საბაჟო დეპარტამენტში მართვის ახალი სისტემა დანერგოს. მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა გოდაბრელიძეს, უპირველეს ყოვლისა, დეპარტამენტის სტრუქტურული გარდაქმნით წარმოუდგენია, რაც, პირველ რიგში, დეპარტამენტში ამჟამად არსებული უფუნქციო სამმართველოების გაუქმებასა და რამდენიმე ახალი სამსახურის შექმნას გულისხმობს. გოდაბრელიძის თქმითვე, დაგეგმილია დეპარტამენტის მოხელეთა კონკურსიც. საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარე ეფექტური მუშაობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიიჩნევს მოხელეთა შრომის ნორმალურ ანაზღაურებას. მისი თქმით, მოხელე, რომელსაც ხშირად უწევს ქარში, წვიმაში, ყინვაში და ზოგჯერ აუტანელ სიცხეში საზღვარზე მუშაობა, თავის მოვალეობას 40 ან 100-ლარიანი ხელფასით არ უნდა ასრულებდეს. გოდაბრეძილის ვარაუდით, მოხელის საშუალო ხელფასი ამ ეტაპზე 600-700 ლარი მაინც უნდა იყოს.

კიდევ ერთი ცვლილება, რომელიც საბაჟო დეპარტამენტში უახლოეს მომავალში განხორციელდება, გამშვები პუნქტების რაოდენობის შემცირებას უკავშირდება. გოდაბრელიძის განცხადებით, საქართველოში საბაჟო-გამშვები პუნქტების რაოდენობა 21-დან 16-მდე შემცირდება. მისი თქმით, უკვე მიღწეულია შეთანხმება აზერბაიჯანთან ვაშლოვანის, უდაბნოსა და საბათლოს საბაჟო-გამშვები პუნქტების გაუქმების თაობაზე. გოდაბრელიძის განმარტებით, ამჟამად რუსეთთან მიმდინარეობს მოლაპარაკებები "მამისონის" გამშვები პუნქტის გაუქმებასთან დაკავშირებით.

გოდაბრელიძის ინფომაციით, გასაუქმებელ პუნქტებს შორის აღმოჩნდება სენაკისა და ქუთაისის აეროპორტებში არსებული გამშვები პუნქტები. გასაუქმებელი საგუშაგოების შერჩევის კრიტერიუმი მარტივია. **"გაუქმდება ის პუნქტები, რომელზე დახარჯული თანხა ასჯერ მეტია, ვიდრე ამ საგუშაგოებიდან ამოღებული თანხა,"** - განაცხადა საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარემ.

გოდაბრელიძემ განსახორციელებელ სხვა ღონისძიებებზეც ისაუბრა; მათ შორის - საბაჟოზე გაფორმების პროცედურების გამარტივებაზე, დეპარტამენტის ერთიან საინფორმაციო სისტემაში ჩართვასა და ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე ახალი საბაჟო კოდექსის ვარიანტის გამოქვეყნებაზეც.

საბაჟო დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში საქართველოს რკინიგზასა და საბაჟო დეპარტამენტს შორის სამოქმედო არეალის მკაცრად გამიჯვნისა და თანამშრომლობის მიზნით ამ ორ უწყებას შორის უახლოეს მომავალში ხელშეკრულების გაფორმებაც მოიაზრება. საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა დეპარტამენტის სტრუქტურული რეფორმის ფარგლებში "რკინიგზის" საბაჟოს გაუქმებასაც გეგმავს.

ხელშეკრულების პროექტის თანახმად, რკინიგზის თანამშრომლებს მებაჟის თანდასწრების გარეშე ეკრძალებათ ჩიხებში შემადგენლობების შეყვანა, შემადგენლობებიდან ვაგონების ჩახსნა, ერთი ვაგონიდან მეორეში ტვირთის გადატანა.

მეორე მხრივ, საბაჟო რკინიგზის ადმინისტრაციის ნებართვის გარეშე თვითნებურად ველარ შეაჩერებს შემადგენლობას, ვერ აიღებს ვაგონიდან სინჯს და ვერ შეუცვლის საქონელს მიმართულებას.

გოდაბრელიძის განცხადებით, დეპარტამენტში ახლა უკვე შექმნილია შვიდკაციანი საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც საბაჟო დეპარტამენტში არსებულ პრობლემებს კვირაში ერთხელ განიხილავს; უკვე ფუნქციონირებს სახელწიფო მინისტრის ჯამბულ ბაკურაძესთან შექმნილი საქონლის ფასების მონიტორინგის კომისიაც, რომლის მიერ გაკეთებულ დასკვნებზე გოდაბრელიძე დიდ იმედებს ამყარებს და მიიჩნევს, რომ კომისიის დასკვნები საბაჟო დეპარტამენტში მუშაობას საგრძნობლად გააადვილებს.

ჯერჯერობით არსებობს მხოლოდ სამოქმედო გეგმა. თუ ორთვიანი ვადის გასვლის შემდეგ საბაჟო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა უკვე განხორციელებული ღონისძიებების შედეგების პრეზენტაციას არ მოაწყობს, სავარაუდოდ, მას პრობლემები შეექმნება.

ბანკი ქართუ CARTU BANK
VISA

სიახლე!

ბანკი ქართუ გთავაზობთ ვიზა ბარათების მომსახურებას განახლებული

ყველაზე დაბალი ტარიფებით :

შეიძინეთ ელექტრონი 10 ლარად




კლასიკი 25 დოლარად

გოლდი კი 60 დოლარად!

✔ წლიური მომსახურების საფასური 0%

✔ საკომისიო სავაჭრო ობიექტებში 0%

გახდით ცივილიზებული სამყაროს წევრი და რაც მთავარია - დაზოგეთ ფული!

VISA
ბანკი ქართუ - ლიდერი პლასტიკური ბარათების ბიზნესში

# ბერძნული კვიპროსი - ევროკავშირში, თურქული კი - ევროპის იმედად

გაერო-ს გენერალური მდივნის კოფი ანანის მიერ შემუშავებული გეგმა კვიპროსის გაერთიანების შესახებ, ბერძნული მოსახლეობის უარყოფითი დამოკიდებულობის გამო ჩავარდა. შედეგად, 1 მაისს, დანარჩენ ცხრა ქვეყანასთან ერთად, ევროკავშირს კუნძულის მხოლოდ ბერძნული ნაწილი შეუერთდება.

კვიპროსის თურქულ და ბერძნულ ნაწილებში ორი რეფერენდუმი პარალელურად მიმდინარეობდა. რეფერენდუმის შედეგების თანახმად, თურქთა 65 პროცენტი ანანის გეგმის მომხრეა, მაშინ, როცა ბერძნების, დაახლოებით, 75 პროცენტს კუნძულის გაერთიანება არ სურს. ამგვარად, ანანის გეგმა უარყოფილია კუნძულის მოსახლეობის მიერ, ვინაიდან მისი ამოქმედების მთავარი პირობა კვიპროსის ორივე თემის თანხმობას ითვალისწინებდა.

რეფერენდუმის წინ კვიპროსის ორივე ნაწილის ლიდერები - ტასოს პაპადოპულოსი და რაუფ დენქთაში კუნძულის მოსახლეობას გაერო-ს გეგმის წინააღმდეგ ხმის მიცემისაკენ მოუწოდებდნენ. შედეგებმა უჩვენა, რომ ბერძენ ლიდერს მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერა აქვს, მაშინ, როცა თურქთა უმეტესობა თავიანთი მეთაურის საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას. თურქული მოსახლეობის წინასწარვე ცნობილი განწყობიდან გამომდინარე, ბევრი უკვე რაუფ დენქთაშის გადადგომის აუცილებლობაზე საუბრობდა. თუმცა, თავად დენქთაში რეფერენდუმის საერთო შედეგების მის სასარგებლოდ დასრულებაზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს: **"მე ვთვლი, რომ ჩემი გადადგომისათვის მიზეზი არ არსებობს, რადგანაც ჩემი მთავარი მიზანი მიღწეულია: ანანის გეგმა ჩავარდა... ჩვენ გადავარჩინეთ ჩვენი რესპუბლიკა."** თურქი ლიდერის სიტყვებით, ახლა საერთაშორისო თანამეგობრობამ თავისი დაპირებები საქმით უნდა დაამტკიცოს და თურქული ანკლავის საერთაშორისო იზოლაციიდან გამოსვლას ხელი უნდა შეუწყოს.

რეფერენდუმის შედეგები პროგნოზირებადი იყო, თუმცა მან მთელ მსოფლიოში გააქარწყლა ტრადიციული წარმოდგენა იმის შესახებ, რომ თურქი კვიპროსელები კუნძულის გაერთიანების წინააღმდეგნი არიან. ამერიკელებსა და ევროპელებს ახლა ნამდვილად მოუწევთ დაფიქრება - ღირს თუ არა თურქულ ანკლავზე აქამდე არსებული სანქციების შენარჩუნება?


რაუფ დენქთაშმა კოფი ანანის გეგმა თავიდანვე უარყო.

გუშინ ლუქსემბურგში ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების ორდღიანი შეხვედრა დაიწყო. მათ მიზანს იმ ფორმის გამოძებნა წარმოადგენს, რითაც ევროკავშირმა კვიპროსელ თურქებს რეფერენდუმზე დასმულ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა უნდა დაუფასოს. თურქული ნაწილის უმრავლესობამ ხომ მხარი კუნძულის გაერთიანების გაერო-სეულ ვარიანტს დაუჭირა. დამკვირვებლები დარწმუნებულნი რიან, რომ ევროკავშირი კუნძულის თურქულ ნაწილს სერიოზულ ფინანსურ დახმარებას გაუწევს. გარდა ამისა, კვიპროსელ თურქებს სხვა მოთხოვნებიც აქვთ. მათ პირდაპირი საერთაშორისო ავიარეისების აღდგენა და ევროპაში თავიანთი პროდუქციის პირდაპირი ექსპორტირება სურთ. ამჟამად თურქულ კვიპროსს კანონიერად ვაჭრობის უფლება მხოლოდ თურქეთთან აქვს. თურქეთი ერთადერთი სახელმწიფოა, რომელმაც კვიპროსის თურქული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ 1974 წელს კუნძულის გაყოფისთანავე აღიარა.

ევროკავშირი კვიპროსელი თურქების მიერ გაერთიანების გეგმის მხარდაჭერით აშკარად კმაყოფილია.

ევროკავშირის წარმომადგენლებმა ბრიუსელში განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, კვიპროსელი თურქების დახმარების ნებისმიერი ღონისძიება განიხილონ, მათი პოლიტიკური აღიარების გარდა.

ასევე საეჭვოა, რომ ევროკავშირმა მთლიანად გააუქმოს კუნძულის თურქულ ნაწილზე დაწესებული ეკონომიკური ემბარგო. მიუხედავად ამისა, აქტიურად განიხილება სასოფლო სამეურნეო პროდუქციაზე გადასახადების დაწევის და აგროსამრეწველო ინფრასტრუქტურის ასაღორძინებლად სერიოზული დაფინანსების გამოყოფის საკითხები.

ბერძნული კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ტასოს პაპადოპულოსმა კი ამ საკითხს სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა, სადაც განაცხადა, რომ მისი მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა კვიპროსელმა თურქებმა ბერძნული კვიპროსის ევროკავშირში გაერთიანებით იხეირონ. **"კვიპროსელი ბერძნები ზურგს არ შეაქცევენ თავიანთ თურქ თანამემამულეებს. პირიქით, ჩვენ შევეცდებით ვიპოვოთ გზები და საშუალებები, რათა ორივე თემის მშვიდობიანი თანაცხოვრება რეალურად განვახორციელოთ,"** - აღნიშნა კვიპროსის პრეზიდენტმა. თუმცა, მან ასევე დასძინა, რომ კუნძულზე მეორე სახელმწიფოს არსებობას და თურქული კვიპროსისათვის დაწესებული სანქციების ამ ეტაპზე გაუქმებას არ დაუშვებს.

# ფრანგი ნაციონალისტი ბრიტანელ თანამოაზრეებს დაეხმარება

საფრანგეთის ულტრამემარჯვენე ლიდერი ჟან-მარი ლე პენი ბრიტანეთის ნაციონალური პარტიის მხარდასაჭერად ინგლისში ჩავიდა. მას, სრულიად მოულოდნელად, ასამდე განრისხებული ბრიტანელი დაესხა თავს და ლე პენის ავტომანქანას კვერცხები დაუშინა. **"ფაშისტო, ფაშისტო,"** - სკანდირებდნენ ბრიტანელები, რომლებიც ლე პენის ნაციონალისტურ პოლიტიკას გმობდნენ. ფრანგი ნაციონალისტის საშველად ადგილობრივი პოლიცია ამოქმედდა, რის შემდეგაც ლე პენის ავტომანქანა შემთხვევის ადგილს სასწრაფოდ გაეცალა. **"ვერ გამიგია, ინგლისში ყოფნის დროს თავისუფლად გადაადგილება რატომ არ შემიძლია,"** - განაცხადა ჟან მარი ლე პენმა.

ახლოვდება ევროპარლამენტის არჩევნები, სადაც ბრიტანეთის ნაციონალური პარტია მონაწილეობის მიღებას და ხმების საკმაო რაოდენობის მოპოვებას იმედოვნებს.

პარტიის ლიდერი ნიკ გრიფინი ამბობს, რომ ნაციონალისტების ყოფნა ევროპარლამენტში ევროკავშირის საიმიგრაციო პოლიტიკაზე გავლენას მოახდენს. ულტრამემარჯვენეები მთელ ევროპაში საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას უჭერენ მხარს.

2002 წელს მსოფლიო შოკირებული იყო, რომ ლე პენმა საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ლე პენისა და მისი ბრიტანელი თანამოაზრეების შეხვედრის ადგილი საიდუმლოა. ამ საიდუმლო შეხვედრას "წლის პატრიოტული სადილი უწოდეს".

ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა დევიდ ბლანკეტმა განაცხადა, რომ **"თუ ლე პენი ზიზღს გააღვივებს, თუ საზოგადოებრივ წესრიგს დაარღვევს, მაშინ პოლიცია შესაბამის ზომებს მიიღებს." "ბედის ირონიაა, რომ მემარჯვენე ფაშისტურმა პარტიამ მხარდასაჭერად უცხოელი მოიწვია, მაგრამ ბრიტანეთის ნაციონალური პარტიისათვის წინააღმდეგობები დამახასიათებელია,"** - დასძინა მან.

პროფკავშირები და ანტიფაშისტური ჯგუფები ბრიტანეთში საპროტესტო აქციების მოწყობას აპირებენ. მათი მტკიცებით, ლე პენის ჩამოსვლა სხვადასხვა რასის წარმომადგენლებს შორის დაძაბულობას გაზრდის და ყველას საფრთხეს შეუქმნის.


ჟან-მარი ლე პენი

# ამერიკელები სასკოლო ფიცის ერთგულები რჩებიან

*ყოველდღე შეერთებულ შტატებში მყოფი, დაახლოებით, 60 მილიონი მასწავლებელი და მოსწავლე ერთად წარმოთქვამს შეერთებული შტატების ერთგულების ფიცს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ უახლოეს მომავალში ფიცის ტექსტი შეიცვალოს. ამის მიზეზი კი ერთი ათეისტი მოქალაქე გახდება.*

ფიცის სიტყვები ამგვარია: "ვფიცავ, რომ შეერთებული შტატების დროშისა და იმ რესპუბლიკის ერთგული ვიქნები, რომელსაც იგი განასახიერებს, ღვთის მფარველობის ქვეშ გაერთიანებულ ერს, განუყოფელს, სადაც თავისუფლება და სამართლიანობა ყველასთვის ხელმისაწვდომია". ეს ფიცი ყველა ამერიკელმა ზეპირად იცის. მას ყოველდღიურად იმეორებენ, ეს სიტყვები ოფიციალურ ღონისძიებებზე და ამერიკის მოქალაქეობის მინიჭებისას ისმის.

თუმცა, კალიფორნიაში მცხოვრებმა მაიკლ ნიუდოუმ სარჩელი შეიტანა ფედერალური ხელისუფლების, შტატის ხელმძღვანელობისა და სკოლის წინააღმდეგ, სადაც მისი ქალიშვილი სწავლობს. ნიუდოუს თქმით, ფიცის ტექსტში არსებული ფრაზა - "ღვთის მფარველობის ქვეშ" მისი ოჯახის წევრებს შეურაცხყოფს, რომლებიც ათეისტები არიან. მისი თქმით, ეს ფრაზა შეერთებული შტატების პირველ შესწორებასაც ეწინააღმდეგება, რომელიც რელიგიას და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან მიჯნავს. კალიფორნიის სასამართლომ ნიუდოუს სარჩელი უკვე დააკმაყოფილა. ვერდიქტში აღნიშნულია, რომ აღნიშნული ფრაზა არაკონსტიტუციურია. 26 მარტს ეს საქმე აშშ-ს უზენაეს სასამართლოში გადაიგზავნა, რომელიც საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს.

99 სენატორმა ერთხმად განაცხადა, რომ ფიცის ტექსტიდან ამ ფრაზის ამოღება ამერიკულ ტრადიციას გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

საინტერესოა, რომ ფრაზა "ღვთის მფარველობის ქვეშ" ფიცის ტექსტს შეერთებული შტატების კონგრესმა მხოლოდ 1954 წელს დაამატა. ამ დროს ცივი ომი მიმდინარეობდა და, ამერიკული ხელისუფლების თქმით, განსხვავება ამერიკასა და "ულმერთო კომუნისტებს" შორის ამ სახით უნდა დაფიქსირებულიყო. ცვლილებები პრეზიდენტმა დუაით ეიზენჰაუერმა მოიწონა, რომელმაც განაცხადა, რომ "ჩვენ კვლავ ვადასტურებთ ამერიკაში რელიგიისა და ტრადიციის უპირატესობას. ამ სახით ჩვენ მუდმივად განვამტკიცებთ ჩვენს სულიერ იარაღს, რომელიც საბოლოოდ აშშ-ს ყველაზე ძლიერი საშუალება გახდება ომისა და მშვიდობიანობის დროს".

ფიცის ტექსტის თავდაპირველი ვარიანტი მეთოდისტმა პასტორმა ფრანსის ბელამიმ 1892 წელს დაწერა, სადაც ღმერთი ნახსენები არ იყო. უფრო მეტიც, იმის მიუხედავად, რომ ბელამის სურდა, ტექსტში სიტყვა "თანასწორობა" გამოეყენებინა, მან ამაზე უარი თქვა, რადგან იმდროინდელი ამერიკული საზოგადოება ქალებისა და აფროამერიკელებისათვის თანასწორი უფლებების მინიჭების წინააღმდეგი იყო.

როდესაც ფრაზა "ღვთის მფარველობის ქვეშ" ფიცის ტექსტს დაემატა, ბელამის შვილიშვილმა განაცხადა: მისი ბაბუა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ამას შეეწინააღმდეგებოდა, რადგან ეს ფიცს რელიგიურ ელფერს მატებს. თავად ბელამის სიტყვებით, რომელიც ისტორიკოს მორტიმერ ადლერის წიგნში - "ექვსი დიდი იდეა" არის მოყვანილი, "ერთგულება უნდა შევფიცოთ რესპუბლიკას, რომელსაც დროშა განასახიერებს".

ცოტა ხნის წინ, "იფსოს ფაბლიკ ეფეარსის" მიერ ჩატარებული გამოკვლევის თანახმად, რომელიც "ასოშეიტედ პრესისთვის" ჩატარდა, გამოკითხულ ამერიკელთა 87 პროცენტი თვლის, რომ ფრაზა "ღვთის საფარველ ქვეშ" ფიცის ტექსტში უნდა დარჩეს. ამ ფრაზას გამოკითხულთა 12 პროცენტი უარყოფითად აფასებს, ხოლო ერთ პროცენტს პასუხის გაცემა გაუჭირდა. აღსანიშნავია, რომ იმ ამერიკელთა უმრავლესობის აზრით, რომელიც ამ ფრაზის დატოვებას ითხოვს, მნიშვნელოვანია არა იმდენად რელიგიური მომენტი, რამდენადაც ის, რომ ფრაზის ამოღება ამერიკელთა პატრიოტულ შემართებას შეასუსტებს. ამავე შეხედულებას ამერიკის იუსტიციის სამინისტროც იზიარებს, რომელიც შეერთებული შტატების უზენაეს სასამართლოში სწორედ ამ პოზიციას დაიცავს.

*ვაშინგტონ პროფაილი*

# ჩინეთში სარსი კვლავ გამოჩნდა

პეკინში ოთხ ადამიანს ატიპური პნევმონიის - სარსის სიმპტომები აღმოაჩნდა. ორი დღის წინ ამის შესახებ ჩინეთის ჯანდაცვის სამინისტრომ განცხადება გააკეთა. ჩინეთის ხელისუფლება სერიოზულად შიშობს, რომ, შესაძლოა, ეპიდემიამ ხელახლა იფეთქოს.

განგაში ჯერ კიდევ გასულ კვირას ატყდა, როდესაც სარსის ვირუსისაგან გარდაიცვალა ერთი ჩინელი ქალი, რომლის ქალიშვილი სარსის შემსწავლელ ერთ-ერთ ლაბორატორიაში მუშაობდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თავად ამ ლაბორატორიაში მომუშავე ეს მეცნიერიც ატიპური პნევმონიით იყო დაავადებული.

ხელისუფლება ფიქრობს, რომ ვითარება მაისში გამწვავდება, რადგან ამ დროს ჩინეთში ოფიციალური არდადეგები იწყება. მოსახლეობა მთელ ქვეყანაში მოგზაურობს ხოლმე. შესაბამისად, ვირუსის გავრცელების ალბათობა მატულობს.

შარშან, გაზაფხულზე ჩინეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რამდენიმე ქვეყანაში სარსის ვირუსი პირველად გამოჩნდა. მაშინ ეპიდემიამ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მოგვიანებით, აზიიდან ეს ვირუსი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა. ვირუსისგან თავის დასაცავად, ფაქტობრივად, მთელი აზია აირწინაღებით დადიოდა.

ერთი წლის წინ, როდესაც ვირუსი პირველად გამოჩნდა, ჩინეთის ხელისუფლებამ დაავადების შესახებ ინფორმაციის დამალვა სცადა, რათა ტურიზმისა და ეკონომიკური აქტივობისათვის პრობლემები არ შეექმნა. თუმცა, ჩინელი ბიუროკრატებისთვის მოულოდნელად ეპიდემია ძალიან სწრაფად დაიწყო. ამის გამო ოფიციალურმა პეკინმა საკუთარი მოქალაქეებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის რისხვა დაიმსახურა. სარსის ეპიდემიის გამო, თანამდებობიდან გადადგა ჯანდაცვის ახლადდანიშნული მინისტრი. როგორც ჩანს, ჩინეთის ხელისუფლებამ მწარე გაკვეთილი გაითვალისწინა - სარსის ერთეული შემთხვევების გამოჩენისთანავე განგაში ატეხა და ახლა პრევენციული ზომების მიღებას ცდილობს.


2003 წელი: ქორწილი ჩინეთში სარსის ეპიდემიის დროს.

საჩუქრის ახალი ფორმა!
გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?
ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



# დღე სტაბილური ინვალიდებისთვის



110 ადამიანი დღეს ცოცხალი აღარ არის.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის გიგი წერეთლის ბრძანებით, გუშინ, 26 აპრილს, ჩერნობილის ავარიის მე-18 წლისთავთან დაკავშირებით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციაში მონაწილეთა და მათი შვილებისთვის, ქვეყნის მასშტაბით, უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩატარდა. 110 ადამიანი 2000-დან, ვინც 1986 წელს ჩერნობილში საქართველოდან გაგზავნეს, დღეს ცოცხალი აღარ არის, დანარჩენი, როგორც თავად "ჩერნობილელები" ამბობენ, სტაბილური ინვალიდია. ავრიის ლიკვიდატორთა 400-ზე მეტი ბავშვი, რომელიც აფეთქების შემდეგ დაიბადა, მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას საჭიროებს. გიგი წერეთლის განცხადებით, უფასო სამედიცინო კონსულტაციები ჩერნობილის ავარიის ლიკვიდატორებსა და მათ შვილებს ყოველ წელს ჩაუტარდებათ. მათთან მიმართებაში ყურადღების გამახვილებას მინისტრი პირველადი ჯანდაცვის კუთხითაც აპირებს. "ჩერნობილელები" ხელისუფლების წინაშე კიდევ რამდენიმე საკითხს აყენებენ; მათ შორის, მთავარი იმ 200 ადამიანის საკითხია, რომლებიც ჩერნობილში სამოქალაქო ხაზით იმყოფებოდნენ. დანარჩენებისგან განსხვავებით, მათ არც 40-ლარიანი პენსია შეხვდათ და არც - რაიმე სახის დახმარება. "ჩერნობილელებს" იმედი აქვთ, რომ 2006 წლისთვის, როცა ავარიის ოცი წლისთავის აღნიშვნას საერთაშორისო საზოგადოება აპირებს, და თბილისში ამასთან დაკავშირებით მემორიალიც გაკეთდება, ახალ მერთან შუამდგომლობას მათ გიგი წერეთელი გაუწევს.

*24 საათი*

# უვნებელი პეტარდები

ნონა ყანჩაველი

### ჭაში ჩავარდნილი ქალი

დღევანდელ საქართველოში პრობლემებს რა გამოლევს, განსაკუთრებით - "ქუჩურ პრობლემებს". მათ შორის, ერთ-ერთია თავახდილი ორმოები და უსარქველოდ დარჩენილი ჭები. ისინი ქალაქის ქუჩებში მრავლად გვხვდება. ჭების ნაწილი თავდახურულია: თუჯის მძიმე სარქველი ზუსტად მორგებია ჭის წრიულს; ნაწილიც - გაბზარული, ოღონდ ჯერ კიდევ უძლებს მანქანების გახურებულ საბურავებსა და ქვეითად მოსიარულეთა ფეხსაცმლის გადამდნარ ლანჩებს. საკითხავია, რა მოვუხერხოთ დანარჩენებს, რომელთაგან ზოგს სარქველი სულაც არ აქვს. კეთილ გამვლელს ზოგ მათგანში ხის ტოტი ჩაუმაგრებია - გაფრთხილდით და ფეხი ან მანქანის საბურავი შიგ არ ჩაგრჩეთო! ზოგან ამგვარი ფარჩხის წვეროკინაზე წითელი ლენტებიც შეუბნევიათ - უკეთ დაინახავენო; სხვაგან ფიცარი ჩაუჩრიათ ჭაბურღილში.

აგერ საინტერესო და სამწუხარო ფაქტიც: სამარშუტო მიკროავტობუსით რუსთავში ჩავედი. მძღოლს თავლია ჭა მხედველობიდან გამოეპარა და მანქანა სწორედ ამგვარ ორმოსთან გააჩერა. წინ ქალი იდგა, ხელში ფუთები ეკავა. კარი გააღო, ჩავიდა და... გაქრა. ჭაში ჩავარდნილიყო, ფუთები კი ზევით აშვერილ ხელებში შერჩენოდა. ორმოს თავზე მხოლოდ ფუთებიღა ჩანდა. კლავ მარჯვე ჯეელი ბიჭები ძირს ჩაცვივდნენ და მიეშველნენ, რის ვაი-ვაგლახით ამოათრიეს ორმოდან. უბედურ ქალს გულისპირი სისხლით ჰქონდა მოთხვრილი, კაბა - შემოხეული. ერთი სიტყვით, ისეთი ვითარება შეიქმნა, ზოგი სიცილით იჭაჭებოდა (ძირითადად, ახალგაზრდები), სხვები შუბლს იჭმუხნიდნენ და ვიღაცას აგინებდნენ (ძირითადად, მხცოვნები).

შესაბამისმა სამსახურებმა როგორმე ამ საქმისთვისაც უნდა მოიცალონ - მიხედონ თავახდილ ჭებს სავალ გზებსა და ტროტუარებზე.

### დასახიჩრებული პლაკატები

არჩევნები ჩათავდა. პარტიებმა მოსავალი დააბინავეს: ვინც რა სთესა, ის მოიმკო, მაგრამ ჩვენი სათქმელი ეს არ არის, უფრო მოკრძალებულია:

საარჩევნო-სააგიტაციო პლაკატები ისევ-ისე გვილიმიან ელექტრობოძებიდან, შენობების ფასადებიდან... ახლა ისინი უკვე ალიზიანებენ ჩვენს თვალებს და ისე გამოიყურებიან, როგორც ფუმფულა და ფაფუკი თოვლის დროს მზე და, ძალაუნებურად, შექსპირის აფორიზმს გახსენებენ: "ზრიყვი, როგორც ზამთრის მზე."

ქალაქის ესთეტიურ იერსახეს ეს პლაკატები, საჭირო როცა იყო, მაშინაც აფუჭებდნენ და დღეს რაღა იქნება, როცა ზოგი მათგანი ნახევრად წაშლილ-ჩამოხეულია, ზოგიც - ჩამოძენძილი, ზოგს გაყვითლებაც მოუსწრია. ერთგან ყვითელ მზეს (№18) ჟანგისფერი ცრემლი ჩამოსდის, მეორეგან შალვა ნათელაშვილს ცხვირი წახევია; სხვაგან ჯონდი ბაღათურიასთვის სათვალე დაუკოსებია ვიღაცას და სალვადორ დალისეული ულვაშები მიუხატავს; აგერ კიდევ რომელიღაც დემოკრატი ძირს ჩამოვარდნილა და წუმპეში ფართხალებს... ერთი სიტყვით, ჭრელი სურათია!

საჭიროა კედლების, სვეტების, ბოძების დასუფთავება.

ვინ უნდა იკისროს ეს საქმე?

### სმოგი

სმოგი ოცდამეერთე საუკუნის პრობლემაა. განსაკუთრებით საშიშია იგი დიდ ქალაქებში. საშუალო სიდიდის დასახლებაში მანქანების, ფაბრიკა-ქარხნების, სხვა საწარმოების წელიწდეული გამონაბოლქვი ტონობით იზომება. რაღა იქნება ისე დიდ ქალაქში, როგორიც თბილისია?!

არსებულ მძიმე ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ამ ბოლო დროს მოდად ქცეული ე.წ. "სამარშუტო ხაზების" მომრავლება. ახლა ნებისმიერი უბნის ნებისმიერი ადგილიდან მეორე უბნის ნებისმიერ ქუჩამდე სამარშუტო მიკროავტობუსები მოძრაობენ. ეს, ძირითადად, ძველი, ან, უკეთეს შემთხვევაში, მოძველებული მანქანებია. აქვთ გაცვეთილ -გაფუჭებული, მოშლილი აგრეგატები და დიდძალ გამონაბოლქვს, კვამლს ტოვებენ. როგორც ამბობენ, თბილისში, დაახლოებით, ხუთი ათასამდე ასეთი მანქანა მოძრაობს. ამას დაუმატეთ მოძველებული ავტობუსები ("იკარუსის", "ლაზისა" და "პაზის" ტიპისა). არც ისინი აკლებენ ხელს ატმოსფეროს დაჭუჭყიანებას. შეუძლებელია, ამ ვითარებაში თბილისელის სიგარეტისაგან ისედაც შეჭმულ-შემურული ფილტვები მთლად არ გაიმჭვარტლოს. რა ბაკურიანი და ბორჯომ-ბახმარო უშველის ამგვარად დაბინძურებულ სასუნთქ ორგანოებს?

ამგვარ ტრანსპორტს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობაშიც დიდი არეულობა შეაქვს: მისი მძღოლები აჩერებენ ყველგან, სადაც მოესურვებათ. ეს საკმაოდ სახიფათოა და არა მარტო სხვა მძღოლებისთვის.

ძნელია, სასწრაფოდ ძველი ტრანსპორტის ახლით შეცვლა, მაგრამ, არ მგონია, ასევე რთული იყოს მძღოლების მხრიდან ელემენტარული წესის დაცვა - გააჩერონ მხოლოდ გაჩერებაზე.

# "ლეიბორისტებს" არ ჩამორჩნენ

*"თბილწყალკანალის" ფრანგული კომპანია "ჯენერალ დეზოსთვის" გადაცემას საკრებულოს წარმომადგენლების საფრანგეთში სტუმრობის შემდეგაც არ დაუკარგავს აქტუალობა. გუშინ საკრებულოს სხდომათა დარბაზში შეკრებილი არასამთავრობო ორგანიზაციები "ლეიბორისტებს" არ ჩამორჩნენ და ამ საკითხზე დიდი აურზაური ატეხეს.*

ნანა ქადაგიშვილი

კამათის მთავარ თემად თბილისის წყალმომარაგებისა და სანიტარიის პროექტი იქცა. **"საზოგადოება არ იცნობს ამ პროექტს; თბლისის წყალმომარაგების ქსელი მთლიანად აღსადგენია, პროექტში კი მხოლოდ 25 კილომეტრის რეაბილიტაციაა გათვალისწინებული. ინვესტიციების დიდი ნაწილი კი კომპანიის თანამშრომელთა ხელფასებს მოხმარდება; როგორც ვიცით, "ჯენერალ დეზოს" უცხოელი სპეციალისტები ჩამოჰყავს და 25-ათასდოლარიან ხელფასებს უნიშნავს; გვპირდებიან, რომ სასმელი წყლის ტარიფს 3 წლის განმავლობაში არ გაზრდიან, მაგრამ რა იქნება 3 წლის შემდეგ? "წყალკანალსაც" იმას უზამენ, რაც "თელასსა" და "თბილგაზს" დამართეს"**, - "თბილწყალკანალის" მიმართ პრეტენზიებს არასამთავრობო ორგანიზაციები რიგ-რიგობით გამოთქვამდნენ; განსაკუთრებით, "ვაკის გონივრული განვითარების" წარმომადგენელი ქალბატონები აქტიურობდნენ. **"ნება იბოძოს მთავრობამ და სასმელი წყლის საფასური მოსახლეობის ნაცვლად გადაიხადოს. წყალიც ხომ სხვა ქვეყნიდან არ შემოგვაქვს"**, - მათ შენიშვნის გარეშე ქალაქის მთავრობაც არ დაუტოვებიათ.

ბრალმდებელ არასამთავრობოებს არც მოპასუხე მხარე ჩამორჩენია. წყალმომარაგებისა და სანიტარიის პროექტის ერთ-ერთი ავტორი, მსოფლიო ბანკის წარმომადგენელი ზურაბ ღონღაძე და საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიის თავმჯდომარე (სხვათა შორის, მან მოღვაწეობა სწორედ არასამთავრობო ორგანიზაცია "ვაკის გონივრული განვითარებიდან" დაიწყო) ცდილობდნენ, მათი კითხვები და პრეტენზიები უპასუხოდ არ დაეტოვებინათ. **"წყლის რესურსებით მდიდარი ქვეყანა კი ვართ, მაგრამ ამ წყალს მოსახლეობამდე მიტანა ხომ უნდა. სასმელი წყლის ტარიფი, "თბილწყალკანალის" დანახარჯებთან შედარებით, ბევრად დაბალია. თუმცა, თბილისის მთავრობის გადაწყვეტილების გარეშე, ტარიფის შეცვლის უფლება არავის აქვს"**, - განუმარტა არასამთავრობოებს ღონღაძემ. ქაჩიბაიამ კი თავის თანაორგანიზაციელებს სიმშვიდისაკენ მოუწოდა. **"ადრე შენც გვეთანხმებოდი, მაგრამ ახლა ჩუმად ხარ"**, - შეუტიეს მას "ვაკის გონივრული განვითარების" წევრმა ქალბატონებმა.

ორსაათიანი კამათი იმით დასრულდა, რომ მსოფლიო ბანკისა და "თბილწყალკანალის" წარმომადგენლებმა არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები დამატებითი განმარტებების მისაცემად საკუთარ სამსახურებში დაიბარეს. **"დავნიშნოთ ერთი დღე, მობრძანდით ჩვენთან და კითხვებიც აღარ გაგიჩნდებათ"**, - ურჩია ღონღაძემ არასამთავრობოთა წარმომადგენლებს. თუმცა, მის წინადადებას დიდი მოწონებით არ შეხვედრიან. **"ტყუილად გვალაპარაკებენ, ისედაც ყველაფერი გადაწყვეტილია"**, - საკრებულოს სხდომათა დარბაზი უიმედოდ დატოვეს არასამთავრობოებმა.

ჩინოვნიკის საქაღალდე

# "ბინა და სამსახური ჩემთვის დიდი ბედნიერებაა"

ქ. თბილისის მერს, ბატონ ვანო ზოდელავას
ქ.თბილისის გლდანი-ნაძალადევის რ-ნი
ლიბანის I ჩიხი, XIII კორპუსი,
ბინა N3-ში მცხოვრები
რაჟდენ არსენის ძე ამირანაშვილის

**განცხადება**

ვარ ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის ავარიის ლიკვიდაციის სამხედრო მონაწილე, II ჯგუფის ინვალიდი; მიღებული მაქვს სხივური ტრამვა; ვარ პენსიონერი, უმუშევარი. მყავს ცოლი და სამი შვილი - ორი ბიჭი და ერთი გოგო. მათ შორის, ერთი ინვალიდია. ვცხოვრობ ზემოთ აღნიშნულ მისამართზე, მშობლების ბინაში. ვართ 12 სული. 4 ოჯახი ვიმყოფებით გაუსაძლის მდგომარეობაში. განვიცდით საშინელ სივიწროვეს. იძულებული ვარ, ქუჩაში გავიდე საცხოვრებლად ჩემს მცირეწლოვან შვილებთან ერთად, მაგრამ ჩემი პენსია არც პურის ფულად მყოფნის და არც ქირის გადასახდელად. გთხოვთ, დამეხმაროთ საცხოვრებელი ფართით, ბინით.

ბატონო მერო, უმორჩილესად გთხოვთ, გამოიჩინოთ ჰუმანურობა, გაითვალისწინოთ ჩემი გაჭირვება და იქნებ ერთ ქართულ ოჯახს აღმოუჩინოთ დახმარება და მხარადჭერა; ნუ გაგვწირავთ.

პატივისცემით,
ომისა და შეიარაღებული ჯარების ვეტერანი რ. ამირანაშვილი.

16. 02. 04.



*რაჟდენ ამირანაშვილი*

*ქალაქის ყოფილმა მერმა რაჟდენ ამირანაშვილის განცხადება განსახილველად გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებელს გადაუგზავნა. გამგეობიდან პასუხს არ დაუგვიანია, მაგრამ იგი უარყოფითი იყო - რაიონის გამგეობას თავისუფალი კომუნალური საცხოვრებელი ფართი არ აღმოაჩნდა.*
*ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიიდან 18 წელი გავიდა. ამ კატასტროფამ ბევრი ადამიანი იმსხვერპლა, ბევრი ტრამვირებული დარჩა. ინციდენტის დროს ჩერნობილში, სხვადასხვა მიზეზით, საქართველოს მოქალაქენიც იმყოფებოდნენ. ჩერნობილელთა კავშირის მონაცემებით, მათი რაოდენობა 2000-ს აღწევს. უმეტესობა დასხივების შედეგად დაინვალიდდა. რაჟდენ ამირანაშვილი მათ შორის ერთ-ერთია.*

ნინო ბერელიძე

**"1986 წლის გაზაფხულზე, როცა ჩერნობილის ატომური ელექტრო-სადგურის ავარია მოხდა, სამხედრო სამსახურში ვიყავი და უკრაინაში იქიდან წამიყვანეს,** - ჰყვება რაჟდენ ამირანაშვილი, **- 11 თვე გავატარე ჩერნობილის აეს ავარიის სალიკვიდაციო 30-კილომეტრიან ზონაში. სახიფათო ადგილზე ვიმყოფებოდი და, როგორც სხვებმა, მეც მივიღე ძლიერი დასხივება. ამდენი წელია, II ჯგუფის ინვალიდი ვარ; როგორც ინვალიდი, 33 ლარს ვიღებ პენსიას, დახმარება კი არასდროს არავისგან მიმიღია. ერთია, გასულ წელს მომცეს ცოტა სურსათი."**

ამგვარ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს პირადული პრობლემები უფრო ამძიმებს: **"ჯარიდან 1987 წელს დავბრუნდი და ოჯახი მალევე შევქმენი; მალევე დამენგრა. პირველი ქორწინებიდან მყავს 14 წლის ბიჭი, რომელიც, სამი წელია, ჩემთან ცხოვრობს. ჩემი მეორე ოჯახიც დაინგრა, ვერც ის შევინარჩუნე. ექვსი წლის ბავშვი მყავს და ალიმენტს - 13 ლარსა და 25 თეთრს, ყოველ თვე ვიხდი. ბინასთან დაკავშირებული სირთულეებიც აქ წარმოიქმნა. ჩემი მეუღლე თამილა ხულოდაური გლდანი-ნაძალადევის რაიონის IV პოლიციის განყოფილებაში მუშაობს მდივნის თანამდებობაზე. მას დიდი ნაცნობობა აქვს და ძალით შემოიჭრნენ დედ-მამის ბინაში, სადაც 11 სული ვართ ჩაწერილი. სამოთახიანი ჩეხური პროექტის ბინის ერთი ოთახი ჩამოგვაჭრეს. ჩვენ ვერაფერს გავხდით, რადგან, რაიონის მოსამართლიდან დაწყებული, უბნის ინსპექტორით დამთავრებული, ყველა მისი მხარდამჭერია. ასე ავღმოჩნდით გაუსაძლის პირობებში. არაფერს ვჩივი, მიწის ნაკვეთი მაინც რომ მქონდეს, პატარა ბინის აშენებას მოვახერხებდი."**

რაჟდენ ამირანაშვილმა ოჯახი ისევ შექმნა - მისი მეუღლე ხათუნა პაატაშვილი ექთნად მუშაობს ფილტვისა და ტუბეკულიოზის დაავადებათა ცენტრში. მისი ხელფასი 70 ლარს შეადგენს; მასთან ორი ბავშვი ჰყავს, მათ შორის - ერთი ინვალიდი. **"37 წლის ვარ, მაგრამ სამ ხელისუფლებას მოვესწარი,** - ამბობს რაჟდენ ამირანაშვილი, **- ამ სამიდან არავის არაფერი გაუკეთებია ჩემთვის. თქვენმა მოსვლამ გამახარა, მაფიქრებინა, რომ სულ უპატრონოდ არ ვყოფილვარ დატოვებული. იქნებ ჩვენთვისაც მოიცალოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. მინდა, ახალ მერს მივმართო, მძღოლის სამუშაო მაინც გამომიყოს სადმე. ჩემთვის ხომ სამსახური და ბინა დიდი ბედნიერებაა."**

გამოხმაურება

# ღია წერილი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და ურბანიზაციის მინისტრს

გაზეთს "24 საათი" და ყველა დაინტერესებულ პირს

გაზეთში "24 საათი" (№93, 21.04.04) გამოქვეყნდა წერილი "სულუხია მოსკოველი მილიარდერის წინააღმდეგ", რომელში გადმოცემული "ფაქტებიდან", პრაქტიკულად, არც ერთი არ შეესაბამება სინამდვილეს.

ჩვენს გაკვირვებას იწვევს ის, რომ გაზეთმა, რომელიც, ჩვეულებრივ, საქმეს უდგება პროფესიული კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით, ამჯერად, ზემოხსენებული წერილი გამოაქვეყნა მასში მოყვანილი ფაქტების შემოწმების გარეშე. არადა, ჩვენთვის რომ მოემართა, სრულიად მარტივად შემოწმდებოდა ყველა დეტალი.

ჩვენ თავად ვართ დაინტერესებული, რომ თბილისელებმა რაც შეიძლება მეტი იცოდნენ იმ კონცეფციის შესახებ, რომლის განხორციელებაც დავიწყეთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ქალაქისათვის აუცილებელ და სასარგებლო საქმეს ვაკეთებთ. ამიტომ, სიამოვნებით მივიღებთ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს და მივაწვდით სრულ ინფორმაციას პროექტის შესახებ.

ახლა უშუალოდ ზემოხსენებულ წერილში მოყვანილი ფაქტების შესახებ:

1. საცხოვრებელი სახლი, რომლის აშენებაზეც წერილშია საუბარი და საცურაო აუზი, ისევე როგორც სპორტსმენთა სარეაბილიტაციო ცენტრი, შვილობილი კომპანიის "დელფის" მეშვეობით ეკუთვნის შპს "ბაგები-2002"-ს, რომლის ერთ-ერთი პარტნიორი და არაერთპიროვნული მესაკუთრე არის ქალბატონი ნუნუ ბენდუქიძე;

2. სახლის მშენებლობა არ დაწყებულა და არც დაიწყება, სანამ პროექტი არ გაივლის სახელმწიფო ექსპერტიზას და არქმშენინსპექცია არ გასცემს მშენებლობის დაწყების ნებართვას, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული;

3. არც "ბაგები-2002" და არც ქ-ნი ნუნუ ბენდუქიძე არასოდეს გეგმავდა სახლის აშენებას აუზის შენობის წინ, სკვერში (შესაძლოა, ამას სხვა ვინმე აპირებდა). აქვე აღვნიშნავთ, რომ აუზი და მისი კუთვნილი ტერიტორია, რომელზეც იგეგმება სახლის აშენება, "ბაგები-2002"-ის საკუთრებაში 2003 წლის აპრილში გადავიდა;

4. ხეების მოჭრასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ დაგეგმილი გვქონდა მათი გადარგვა და სათანადო ნებართვაც მივიღეთ, მაგრამ გადარგვის მოსამზადებელი სამუშაო შემსრულებელმა აგროწესების დარღვევით შეასრულა, რის გამოც დაზიანდა ხეების ქერქი და ფესვთა სისტემა და იძულებული გავხდით, მოგვეჭრა ისინი, რისთვისაც დაგვეკისრა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც მთლიანად გადავიხადეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ მოიჭრა 5 ხე, მაგრამ სათანადო სამსახურთან უკვე დადებულია ხელშეკრულება რამდენიმე ათეული ხით შესაბამისი ტერიტორიის განაშენიანების შესახებ;

5. ბატონი პრეზიდენტი თუ სტუმრობდა აუზსა და მის მიმდებარე ტერიტორიას, საქმის კურსში არ ვართ, მით უმეტეს, თუ ეს მოხდა ვაკის მაჟორიტარ დეპუტატად მისი ყოფნის დროს, რადგან "ბაგები-2002" სს "დელფინის" მეპატრონე გახდა 2003 წლის აპრილში.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის, ბატონი ზურაბ ჟვანიას სტუმრობას, მან მართლაც დაათვალიერა საცურაო აუზი და გაეცნო მისი რეკონსტრუქციის პროექტს, გამოთქვა დიდი მოწონება და მხარდაჭერა. ვიზიტის დროს მან მოისმინა აუზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთა პრეტენზიები და შეპირდა, რომ ყველაფერი გაკეთდებოდა კანონის შესაბამისად.

სამწუხაროა, რომ არც ქალბატონი მინისტრი და არც ჟურნალისტი არ შეეცადნენ, გარკვეულიყვნენ ზემოაღნიშნული კომპლექსის პროექტის კონცეფციაში, უფრო მეტიც, არ შეეცადნენ, რომ შეემოწმებინათ მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და, შედეგად, შეცდომაში შეიყვანეს საზოგადოება.

საქმე ის გახლავთ, რომ საცურაო აუზი, სპორტსმენთა სარეაბილიტაციო ცენტრი და საცხოვრებელი სახლი ერთი კონცეფციის შემადგენელი ნაწილებია. ვფიქრობთ, სადავო არაა, რომ ვაკის დახურული საცურაო აუზის და სარეაბილიტაციო ცენტრის რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მივიღებთ უახლესი ტექნოლოგიით აღჭურვილ ევროპული სტანდარტების შესაბამის სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსს, საშვილიშვილო და ქვეყნისთვის მეტად სასიკეთო საქმეა და ასეთი პროექტი საქართველოში ჯერ არ განხორციელებულა. ეს კომპლექსი მთელი წლის განმავლობაში მოემსახურება ათასობით ადამიანს და ხელს შეუწყობს მათ გაჯანსაღებას. გარდა ამისა, ამ კომპლექსში ივარჯიშებენ საწყლოსნო სახეობათა სპორტსმენები, რომლებსაც სავარჯიშო ბაზა მხოლოდ სეზონურად აქვთ.

აუცილებლად მიგვაჩნია ეკონომიკური ფაქტორის აღნიშვნაც. სპორტული კომპლექსით სარგებლობის საფასური ხელმისაწვდომი უნდა იყოს მომხმარებლისათვის, საცხოვრებელი სახლის აშენება და მისი ექსპლუატაცია კი ამ საფასურს თითქმის ანახევრებს. გარდა ამისა, კომპლექსის ამოქმედება 100-მდე სამუშაო ადგილს შექმნის.

ასეთია ფაქტები. კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ მხოლოდ კანონის შესაბამისად და ყოველთვის მზად ვართ, სრული ინფორმაცია მივაწოდოთ არა მხოლოდ კანონით უფლებამოსილ ორგანოს, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს.

*პატივისცემით,*
**ჯუმბერ ხატიაშვილი**
*შპს "ბაგები-2002"-ის დირექტორი და სს "დელფის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე*

**P.S. სრულიად გაუგებარი და პოლიტიკურად გაუმართლებელია წერილის სათაური. ბატონ კახა ბენდუქიძეს არა აქვს წილი აღნიშნულ კომპლექსში, და რომც ჰქონდეს...?! ჩვენი აზრით, საჭიროა ბრძოლა საზღვარგარეთ მოქმედი ქართველი ბიზნესმენების ინვესტიციების მოსაზიდად, და არა მათთან. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, სწორედ ასეთია დღევანდელი სახელმწიფო პოლიტიკა, რაც არაერთხელ განუცხადებია საქართველოს პრეზიდენტს და რასაც ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ.**

## საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს

## ასლი: პრემიერ მინისტრს ბატონ ზურაბ ჟვანიას

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ მინისტრო,

ბორჯომის რაიონის სოფელ დგვარის 120 კომლისაგან შემდგარი მოსახლეობა გულწრფელად მოგესალმებით და გისურვებთ წარმატებებს თქვენს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო მოღვაწეობაში.

გვაქვს პატივი, მოგახსენოთ ჩვენს გარშემო არსებულ, წლების განმავლობაში დაგროვილ საჭირბოროტო, დაუძლეველ პრობლემებზე.

საქმე იმაში გახლავთ, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, სოფელი დგვარის ტერიტორია იმყოფება გააქტიურებულ მეწყერიანობაში, რაც დღითიდღე უფრო უარესდება და უმართავი ხდება პროცესები. საცხოვრებელი სახლების და ნაგებობების ოთხმოცი პროცენტი დაშლილი და საცხოვრებლად უვარგისია, ცხოვრება კატასტროფის ტოლფასს უტოლდება. დღის წესრიგში იდგა და ამჟამადაც დგას გასახლების გარდუვალობა. მდგომარეობა უკიდურესად დაძაბულია გაზაფხულის სეზონის დადგომისთანავე, ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მაგისტრალი გადის სოფლიდან ერთ კილომეტრში და კვეთს იმ სათავეს საიდანაც იწყება სოფლის ტერიტორიის დამეწყერიანობა და რათქმაუნდა კიდევ უფრო უარყოფით ზეგავლენას მოახდენს მეწყერიანობაზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გასული წლის 8 მაისს, საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება N525 სოფელ დგვარის პრობლემების შემსწავლელი სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ. პრეზიდენტის აღნიშნული განკარგულების თანახმად, საქართველოს გეოლოგიის სახელწიფო დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ განხორციელდა სოფლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის წინასწარი გეოლოგიური დათვალიერება, რის შედეგადაც შემუშავდა პროგრამული დასკვნა და შეფასდა განვითარებული მეწყერული პროცესების აქტიურობა. აღნიშნულმა ექსპედიციამ ამომწურავად ვერ შეასრულა სამუშაოები ტერიტორიის მეწყერიანობაზე, კერძოდ იმ მონაკვეთზე საიდანაც იწყება მეწყერის სათავე, სადაც გადის ნავთობმაგისტრალი, ფინანსების უქონლობის გამო.

ყურადსაღებია ის ფაქტიც, რომ „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია საქართველო" გვაცნობებს, რომ თითქოს მეწყერის სისტემის საზღვარი მდებარეობს ბთჯ მილსადენის მარშრუტიდან დაახლოებით კილომეტრის დაშორებით და არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს სოფელ დგვარის მეწყერების სისტემაზე და შესაბამისად არანაირ ზეგავლენას არ მოახდენს მიწის შემდგომ გადაადგილებასა და შენობების დაზიანებაზე, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. თვალს გვიხვევენ, სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა, მონაკვეთის შეფასება არ განხორციელებულა.

ბატონო პრეზიდენტო, ბატონო პრემიერ მონისტრო, უმორჩილესად გთხოვთ სოფლის მოსახლეობა ერთსულოვნად, რომ გადაგვიჭრათ ჩვენს თავზე არსებული პრობლემები დროულად, სანამ დავიღუპებით, გაგვასახლოთ საიმედო ტერიტორიაზე. მოსახლეობას გვჯერა თქვენი გულისხმიერებისა, იმედი გვაქვს თქვენი. წინასწარ გიხდით მადლობას.

სოფელ დგვარის მოსახლეობის სახელით ხელს აწერს საინიციატივო ჯგუფის წევრები.

# აქვს და იხდის

პირველი გვერდიდან

მოკლედ, ჩვენი სახელმწიფოს ერთმა ძალზე ცნობილმა "დაპატარავებულმა მოდელმა" გუშინ ბოლო ხანებში სხვადასხვა სახის სანახაობით განებივრებული ქართული საზოგადოებაც კი გააკვირვა.

საქართველოს გენერალური პროკურორის მიერ შავი იუმორის თანხლებით გაკეთებული თავისთავად სენსაციური განცხადება, ედუარდ შევარდნაძის ქალიშვილის მანანა შევარდნაძის მიერ მეუღლის, "მაგთიკომის" დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის პატიმრობიდან გათავისუფლების საფასურად 15-მილიონ-ნახევრის პირადი საბანკო ანგარიშიდან გაღების შესახებ, მხოლოდ შესავალი გახლდათ.

**"ცნობილი ხდება ის საიდუმლო რეცეპტი, რომელიც ერთ დროს შევარდნაძის ოჯახის წევრებმა შესთავაზეს ქართველ დიასახლისებს"**, - აღნიშნა ირაკლი ოქრუაშვილმა და, ნანული შევარდნაძის მიერ რვალარიანი პენსიის მქონე ქალბატონებისთვის სუფრის გაშლის შესახებ შეთავაზებული რჩევების გახსენებასთან ერთად, ჟურნალისტებს თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთიც წარუდგინა. 700-ათასლარიანი ბრალდების მქონე პატიმრის ოჯახის მიერ 26-ჯერ მეტი თანხის გადახდა კი თავმდაბლად ახსნა - ნებაყოფლობით ბიუჯეტში თანხის ჩარიცხვაზე უარს ვერ ვეტყოდითო. არც უთხრეს და, გია ჯოხთაბერიძე, უკვე პატიმრობიდან და ყოველგვარი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფალი, კვლავაც რჩება "მაგთიკომის" უმსხვილესი წილის მფლობელად. ასე რომ, კიდევ დააშავებს რამეს? ისევ მოახერხებს გადახდას და ასე უსასრულოდ. როგორი მაგალითია სხვა ბიზნესმენებისთვის?

ასეა თუ ისე, მანანა შევარდნაძისგან კეთილი ნების გამოვლინება საკმარისი გახდა, რომ გენერალურ პროკურატურას ჯოხთაბერიძის ციხიდან გამოშვებისა და მის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის გადაწყვეტილება მიეღო. მათი ამ გადაწყვეტილების აღსრულებას ვერც თავად პატიმრის გაჯიუტებამ შეუშალა ხელი, მეუღლის სურვილი არად რომ ჩააგდო და ციხიდან გამოსვლაზე უარს ამბობდა. მის გადასარწმუნებლად განსაკუთრებული ზომების მიღება არ გამხდარა საჭირო, ერთი პატარა სპეცრაზმი და ყველაფერი წესრიგშია - "ურჩი" მეუღლეც ოჯახს დაუბრუნდა, მთელი საქართველოს პენსიონერებიც ერთი თვის პენსიას მიიღებენ და ქართული ჯარიც 2-3 მილიონით გამდიდრდება. შედეგი ეს გახლავთ, თორემ კითხვას - საიდან ჰქონდა მანანა შევარდნაძეს პირად ანგარიშზე ამდენი ფული? - პასუხი ათასნაირად შეიძლება გაეცეს; მაგალითად, ჯოხთაბერიძის უცხოელმა ადვოკატმა თქვა, ეს თანხა "მაგთიკომის" უცხოელი აქციონერების ნებაყოფლობითი შენატანიაო. პრინციპში, ეს მის პრესკონფერენციაზე თქმული ერთადერთი - შესაძლოა, დაუჯერებელი, მაგრამ გასაგები ფრაზა იყო. კიდევ უფრო ნათელი გახლდათ საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაცხადებული ამ თანხის წარმომავლობა: **"ეს ის ფულია, რომელიც შევარდნაძეების ოჯახმა ქართველ ხალხს მოჰპარა და ახლა უკან დაუბრუნეს."**

რომელი უფრო დამაჯერებელია, თავად განსაჯეთ.

აი, კითხვზე - რატომ? პასუხი არ არის და, შესაბამისად, არის ეჭვი. ვისაც არ უნდა ჰკითხოთ, თუ იციან კიდეც, არავინ გეტყვით, რატომ გადაიხადა მანანა შევარდნაძემ მეუღლის გათავისუფლებაში სადავო თანხაზე ბევრად მეტი. თავად ჯოხთაბერიძე, რომელიც ირწმუნებოდა, ბრალდების ანგარიშში ერთი თეთრიც არ გადამიხდიაო, ამას თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს. მის განცხადებას, რომელიც ფინანსთა სამინისტროს მისწერა და ამ უწყების პასუხს აქვე შემოგთავაზებთ. მე კი უფრო სხვა რამ მაფიქრებს: თუ შევარდნაძეების ოჯახთან მიმართებაში "აქვს და იხდის" პრინციპი "გულის მოოხების" საშუალებას იძლევა, კანონიერების თვალსაზრისით ბევრ ეჭვსა და მითქმა-მოთქმას ბადებს. არც არის გასაკვირი: გარდა იმისა, რომ ბრალდებულის მიერ სადავო თანხის გადახდას არავითარი პროცესუალური საფუძველი არ გააჩნია, იქმნება კორუფციული გარიგებების დადების საშიშროებაც. პროკურორსა და ბრალდებულს, ან თუნდაც ბრალდებულის გულშემატკივარს შორის თანხის გადახდა-არგადახდის შესახებ წარმოებული საუბრები ბოლომდე საიდუმლოდ ინახება და მათი "უმწიკვლოების" ერთადერთ გარანტად გენერალური პროკურორის შეულახავ რეპუტაციას გვთავაზობენ. ეს კი, დამერწმუნებით, აბსტრაქტული რამ გახლავთ.

დაბოლოს, ეს ჩვენი ექსპრეზიდენტი ადამიანურად შემეცოდა - ახლახან არ იყო, პრეზიდენტის ოჯახის სოციალური უზრუნველყოფის შესახებ პარლამენტი რომ მსჯელობდა, ედუარდ შევარდნაძემ ამის საჭიროება საკუთარი მაგალითის მოყვანით დაასაბუთა - ჩემი მეუღლე ავად არის და მის მკურნალობას საკმაოდ დიდი თანხები სჭირდებაო. კი, მართალია, დღევანდელი ხელისუფლების პირველ პირებს საკუთარ აღზრდილებად მიიჩნევს, მაგრამ მთლად მათ იმედზე როგორ დატოვა შვილმა, რომელმაც გუშინ (რა მიმართულებით და მიზნით - მნიშვნელობა არ აქვს) პირადი საბანკო ანგარიშიდან 15 მილიონზე მეტი "მოხსნა"? რამდენი დატოვა - ვინ იცის; ვიცი ის, რომ, მგონი, სულელებად გვთვლიან.



გია ჭოხთაბერიძემ თავისუფლება იყიდა.

### გადაიხადე? არ დაგიბრუნდება

რატომ, რის საფუძველზე, რა შეთანხმებით და რა პირობით, ვერ გეტყვით, მაგრამ გია ჯოხთაბერიძემ ფინანსთა სამინისტროს ასეთი განცხადებით მიმართა:

**"მე გახლავართ შპს "მაგთიკომის" უმსხვილესი წილის მფლობელი. აღნიშნული კომპანიის დაფუძნების შემდგომ მისი ღირებულება საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, ამ კომპანიაში ჩემი წილიც მნიშვნელოვანი თანხა ღირს. გაცნობებთ, რომ გადაწყვეტილი მაქვს, ჩემი წილი აღნიშნულ საწარმოში გადავიტანო შპს "მაგთიკომის" დამფუძნებელ უცხოურ კომპანიებში. ამის გაკეთებამდე სურვილი მაქვს, განვახორციელო გამოუწვევადი შენატანი საქართველოს ბიუჯეტში სახელმწიფოსა და ხალხის სასარგებლოდ. ჩემთვის ცნობილია, რომ ასეთ შენატანს გადასახადის სახით არ ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა, მაგრამ ჩემი სურვილია, საქართველოს გადავცე ჩემ მიერ დაგროვილი ქონების ნაწილი, რომელიც ტრანზაქციის მომენტისათვის წარმოადგენს შპს "მაგთიკომში" ჩემი ქონების შეფასებითი ღირებულების 20 პროცენტს. გაცნობებთ, რომ აღნიშნული შენატანის განხორციელება მსურს გამოუწვევადად და, ბუნებრივია, არ ვიტოვებ უფლებას, რაიმე სახით უკან მოვითხოვო ეს შენატანი მისი განხორციელების შემდგომ".**

ამის შემდეგ მითითებულია თანხა 15 476 577 დოლარი და თხოვნა, აცნობონ ანგარიშის ნომერი და საჭირო რეკვიზიტი შენატანის განსახორციელებლად.

ფინანსთა სამინისტრომ ამ განცხადებას სასწრაფოდ უპასუხა, მიუთითა ანგარიშის ნომერი და შესაბამისი რეკვიზიტები, მიუთითა დანიშნულება - "შემოწირულობა" და აცნობა: "... რომ ზემოაღნიშნულ თანხის გადახდის შემთხვევაში, იგი მომავალში არ შეიძლება იქნეს დაბრუნებული ან განხილული სახელმწიფოს მიმართ გადასახადების ან სხვა ვალდებულებების გადახდის ანგარიშში".

# "იაპონჩიკს" ამერიკული ციხიდან ცუდი ყოფაქცევის გამო არ უშვებენ

ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტს, რუსეთის ყველაზე ავტორიტეტულ "კანონიერ ქურდს" ვიაჩესლავ ივანკოვს, მეტსახელად - "იაპონჩიკს", რომელიც 19 აპრილს უნდა გაეთავისუფლებინათ პენსილვანიის შტატის ციხიდან, კიდევ ერთი წელი მოუწევს გისოსებს მიღმა დარჩენა. საქმე ის გახლავთ, რომ ივანკოვმა ციხეში ჩხუბი ატეხა, რის გამოც მისი ვადამდე გათავისუფლება გადაიდო. ივანკოვი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1995 წელს დააკავეს და 115 თვით ანუ 9 ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ამერიკულმა სასამართლომ "იაპონჩიკი" დამნაშავედ ცნო ერთ-ერთი ამერიკული ფირმისთვის 3,5 მილიონი დოლარის გამოძალვაში, ფიქტიური ქორწინების გაფორმებასა და ამერიკის შეერთებული შტატების საზღვრის უკანონოდ გადალახვაში. რუსული მხარის ინფორმაციით, ივანკოვი და მისი თანამზრახველები ფულს სძალავდნენ იმ პირებს, რომლებმაც რუსეთიდან ამერიკაში გადაგზავნეს ბანკ "ჩარას" მეანაბრეების მილიონობით დოლარი.

ივანკოვს სასჯელის ვადის ამოწურვამდე ერთი წელიც კი არ ჰქონდა დარჩენილი, როდესაც ციხის ადმინისტრაციამ სანიმუშო ყოფაქცევისთვის მისი ერთი წლით ადრე გათავისუფლება გადაწყვიტა, თუმცა "იაპონჩიკმა" ბოლომდე ვერ გაძლო და ციხეში ერთ-ერთ შავკანიან პატიმარს ეჩხუბა; შესაბამისად, მისი ადვოკატის თქმით, მას სასჯელის ვადის ბოლომდე მოხდა მოუწევს.

ამერიკული ციხის პირობებში ცხოვრება საბჭოთა საპატიმროში გატარებული ხანგრძლივი პატიმრობის შემდეგ ივანკოვს არაფრად უღირს.

კრიმინალური კარიერა მან გასული საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო მაშინდელი შავი სამყაროს ავტორიტეტის - მონგოლის ბანდაში. პირველად 26 წლის ასაკში დააპატიმრეს ჯიბის ქურდობისთვის. როგორც ამბობენ, "კანონიერ ქურდობაზე" ბავშვობიდან მეოცნებემ ქურდობა ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში დაიწყო, არასოდეს უმუშავია და თავისი ოცნების ასახდენად ნებისმიერ რისკიან საქმეზე მიდიოდა.

უკანასკნელად იგი საბჭოთა სასამართლომ 41 წლის ასაკში, 1981 წელს გაასამართლა და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა ყაჩაღობისთვის. ირკუცკის ოლქის კოლონიაში 10-წლიანი პატიმრობის შემდეგ "იაპონჩიკი" რუსეთის ზოგიერთი გავლენიანი პირის დახმარებით გაათავისუფლეს. როგორ მოიპოვა ყაჩაღმა მაღალი მფარველების ნდობა, ამის თაობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება, თუმცა უკვე პოსტსაბჭოთა სივრცეში გათავისუფლებულმა ივანკოვმა ზღაპრულ ძალაუფლებას მიაღწია და არა მარტო რუსეთში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის არაერთ რესპუბლიკაში უკვე თავად უწევდა მფარველობას პოლიტიკური თუ ბიზნესწრეების წარმომადგენლებს.

ციხიდან გამოსვლიდან ძალიან მალე "იაპონჩიკი" ცნობილი რუსი მსახიობისა და რეჟისორის როლან ბიკოვის გადამღებ ჯგუფთან ერთად ამერიკაში გაემგზავრა და ოკეანის გაღმიდანაც შესანიშნავად ახერხებდა თავის თანამზრახველთა მართვას.

ნიუ-იორკში კი, ბრუკლინში, ივანკოვის გამოჩენისთანავე მნიშვნელოვნად იმატა იმ შეკვეთილი მკვლელობების რიცხვმა, რომლის მსხვერპლნიც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან გამოსული პირები ხდებოდნენ. როგორც წესი, ეს ის ადამიანები იყვნენ, რომლებმაც რაღაცით შეუშალეს ხელი ავტორიტეტულ კრიმინალს.

FBI იაპონჩიკს ამერიკაში ჩასვლის დღიდან ადევნებდა თვალყურს, თუმცა მისი დაპატიმრება მხოლოდ 1995 წელს მოხერხდა. მაშინ ახლობლებმა ივანკოვს ფულთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარება სთხოვეს. მათი თქმით, ორმა მეწარმემ, რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ ბანკ "ჩარასთან", დიდი ოდენობით თანხა გამოიტანეს და ამერიკაში გამოიქცნენ. იაპონჩიკმა ბიზნესმენებს ფულის დაბრუნება მოსთხოვა და "ჩავარდა".

საქვეყნოდ ცნობილია მისი მეგობრობის ამბავი 1996 წელს ვენაში მოკლულ დათო სანიკიძესთან. გავრცელებული ინფორმაციით, დავით სანიკიძე "იაპონჩიკის" თანაშემწის სტატუსით სარგებლობდა. ამბობენ, რომ რუსული მაფიოზური კლანების "ნათლიმამამ" ამერიკაში დაპატიმრების შემდეგ თავის მემკვიდრედ სწორედ დავით სანიკიძე გამოაცხადა. "იაპონჩიკის" სიტყვას ვერავინ გადაუხვევდა, ვენის ქუჩაში გასროლილ ტყვიას სანიკიძისთვის სიცოცხლე რომ არ მოესწრაფა.

სხვათა შორის, ივანკოვის მიმართ მკვლელობის ბრალდებით რუსეთის პროკურატურამ მის დაუსწრებლად 2000 წელს აღძრა საქმე. გამოძიების ვარაუდით, 1992 წელს "იაპონჩიკმა" მოსკოვის ერთ-ერთ რესტორანში თურქეთის სამი მოქალაქე ჩაცხრილა. ორი შემთხვევის ადგილზევე დაიღუპა, მესამე კი უმძიმეს მდგომარეობაში საავადმყოფოში გადაიყვანეს. საქმე აღიძრა, თუმცა გამოძიებამ მომხდარი ფაქტი ივანკოვს ვერ დაუკავშირა.

*24 საათი*

# თემურ ხაჩიშვილს დღეს სამთვიან პატიმრობას მიუსჯიან

რუსთავში დაკავებულ ყოფილ "მხედრიონელს", პოლიტიკური გაერთიანება "დათვის" თავმჯდომარეს თემურ ხაჩიშვილს წინასწარი პატიმრობის შეფარდების შემდეგ ორთაჭალის საგამოძიებო იზოლატორში გადაიყვანენ.

არასამთავრობო ორგანიზაციის "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" ხელმძღვანელის ნანა კაკაბაძის განცხადებით, დაკავებულ ხაჩიშვილს ამავე ორგანიზაციის რუსთავის წარმომადგენელი შეხვდა. ხაჩიშვილმა წარმომადგენელს სპეციალური განცხადება გადასცა. **"ჩემი დაკავება არის პოლიტიკური ანგარიშსწორება, თუმცა გაუგებარია ჩემი დაკავების სამართლებრივი მიზეზი, რადგან პოლიტიკური სიმპათიების გამო ადამიანები არ უნდა იდევნებოდნენ,"** - ნათქვამია განცხადებაში, რომლითაც თემურ ხაჩიშვილი მისი დაკავების მიზეზების ობიექტურად გამოძიებას ითხოვს და ირწმუნება, რომ იარაღი, რომლის უკანონო შენახვასაც სამართალდამცველები ბრალად უყენებენ, რუსთავის პოლიციის თანამშრომლებმა ჩაუდეს.

რუსთავის შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტი თემურ ხაჩიშვილის მიმართ აღკვეთი ღონისძიების - სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ შუამდგლომლობით რუსთავის სასამართლოს დღეს მიმართავს. სავარაუდოდ, სასამართლო თემურ ხაჩიშვილის დაპატიმრების ბრძანებას დღეს გასცემს. გავრცელებული ინფორმაციით, წლების წინ ტერორისტული აქტების ორგანიზატორობისთვის გასამართლებული და შემდეგ პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ შეწყალებული თემურ ხაჩიშვილის საეჭვო კავშირების შესახებ შსს-სა და უშიშროების სამინისტროს ოპერატიულ სამსახურებს ინფორმაციები მოეპოვებოდათ, რომლის საფუძველზეც მოხდა მისი დაკავება. საუბარია სხვა ქვეყნის სპეცსამსახურების მაღალჩინოსნებთან, ტერორისტობისთვის ძებნილ უშიშროების გენერალთან იგორ გიორგაძესთან და აჭარის ლიდერთან ასლან აბაშიძესთან მის "საქმიან" ურთიერთობებსა და მათ მიერ დამუშავებულ გეგმაზე, რომლის განხორციელებაც თბილისში უნდა მომხდარიყო. სხვათა შორის, პატიმრობიდან გათავისუფლებული თემურ ხაჩიშვილი პირველად სწორედ ასლან აბაშიძესთან გაემგზავრა. მათი მეგობრული ურთიერთობა გასაიდუმლოებული არასდროს ყოფილა. სწორედ ამიტომაც, შესაძლოა, თემურ ხაჩიშვილისთვის წაყენებულ ბრალდებას სხვა დანაშაულის კვალიფიკაციაც დაემატოს.

შეგახსენებთ, რომ ყოფილი "მხედრიონელი", პოლიტიკური გაერთიანება "დათვის" თავმჯდომარე თემურ ხაჩიშვილი გუშინწინ დააკავა რუსთავის პოლიციამ. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას სამართალდამცველებმა "აკს"-ის სისტემის ავტომატი და "ფ-1" -ის ტიპის ხელყუმბარა ამოიღეს. თემურ ხაჩიშვილის სახლის ჩხრეკასა და მის დაკავებას წინ უძღოდა მისი ძმის, როგორც ნარკოტიკების მოხმარებაში ეჭვმიტანილის, თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში რამდენიმე საათით დაკავება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის ოპერატიული დეპარტამენტის სამეგრელოს განყოფილებამ ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა "პალიტრის" წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ფინანსური პოლიცია ამ ქარხანას ნავთობის ულიცენზიოდ გადამუშავებას ედავება. პოლიციის თანამშრომლებმა ქარხნის ტერიტორიაზე 20 ტონა ნედლი ნავთობის გადამუშავების ფაქტი აღმოაჩინეს. ასევე, "პალიტრაში" ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ ლიცენზიის გარეშე მუშაობის საფუძველზე ფირმის ხელმძღვანელებს მოგება ჰქონდათ მიღებული. "პალიტრის" წინააღმდეგ საქმე "უკანონო სამეწარმეო საქმიანობის" მუხლით აღიძრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისის ავეჯის ქარხნის - სააქციო საზოგადოება "ივერიისა" და სააქციო საზოგადოება "ავეჯის" ხელმძღვანელობის მიმართ სისხლის სამართლის საქმეები აღძრა. "ივერიის", რომელიც სახელმწიფოს კუთვნილი ავეჯის საწარმო იყო, პრივატიზება წლების წინათ მოხდა. სახელმწიფოს იქ მცირე წილი აქვს. "ივერიის" ბაზაზე შეიქმნა კერძო საწარმო "ავეჯი", რომელიც "ივერიას" გამოეყო. "ავეჯის" ხელმძღვანელობამ გამოყოფის შედეგად "ივერიიდან" ქონება წაიღო, ვალები კი "ივერიას" დაუტოვა. საჭირო დანადგარები ორივე საწარმოს ჰქონდა, თუმცა ხელმძღვანელები მხოლოდ "ავეჯს" ამუშავებდნენ, რის შედეგადაც "ივერია" გაკოტრდა. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, "ივერიის" გაკოტრებამ დააზარალა ბიუჯეტი და კერძო აქციონერები. ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე საწარმოს ხელმძღვანელების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით არის აღძრული. საწარმო "ავეჯს" ბიუჯეტის სასარგებლოდ 6000 ლარზე მეტი დაერიცხა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციელებმა დააკავეს ლილე პირველი, რომელსაც ავტომანქანის გატაცებაში ადანაშაულებენ. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, პირველმა სხვა პირთან ერთად, რომლის ვინაობა უკვე დადგენილია, ვლადიმერ მღვდლიშვილს დანის მუქარით გასტაცა ავტომანქანა "ვაზ 2106". გამტაცებლებმა ამ ავტომანქანით, დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში, გორგასლის ქუჩაზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოახდინეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მხედრიონელი" ნიკოლოზ რაზმაძე, მეტსახელად "წიოკა" თბილისში პოლიციელებმა დააკავეს. რაზმაძის ბინიდან სამართალდამცავებმა ამოიღეს "ნაგანის" სისტემის პისტოლეტი შვიდი ცალი საბრძოლო ვაზნით, ასევე სამედიცინო სასწორი, 19 გრ კრისტალური იოდი, 120 გრ კალციუმის ტუტე, 14.4 გრ წითელი ფოსფორის ფხვნილი, 5 მგ მედიკამენტი "სოლუტინი", რისგანაც იგი ნარკოტიკულ მედიკამენტ "პერგიტინს" ამზადებდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სენაკელი ლევან ზარანდია, მეტსახელად "წიე" პოლიციელებმა ასაფეთქებელი მოწყობილობის შენახვისა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონოდ მოხმარების ბრალდებებით დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, "წიეს" ჩხრეკისას "ფ-1" ტიპის ხელყუმბარა აღმოაჩნდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თაღლითობისათვის ძებნილი ნათელა მღებრიშვილი სამართალდამცველებმა სარფის საბაჟო-გამშვებ პუნქტზე დააკავეს. როგორც თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში განაცხადეს, მღებრიშვილს 2003 წლის მარტიდან თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიცია ყალბი ვიზის დამზადებისათვის ეძებდა. მღებრიშვილმა მოქალაქე ცინული ქვლივიძეს პასპორტში აშშ-ს ყალბი ვიზა დაუმზადა და ამაში 12 ათასი აშშ დოლარი გამოართვა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გლდანის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ინტერნეტკაფედან ყაჩაღური გზით ცხრა კომპიუტერის გატაცებისთვის პოლიციელებმა გლდანელები, ძმები, 19 წლის დავით და 18 წლის გიორგი სეთურიძეები, ასევე 18 წლის დავით სულიაური და 24 წლის პაატა ახალაძე დააკავეს. თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს ცნობით, სეთურიძეები, ახალაძე და სულიაური შეიარაღებულნი, ნიღბებით თავს დაესხნენ ინტერნეტკაფეს, საიდანაც კომპიუტერები "ვაზ 2105" მარკის ავტომანქანით გაიტაცეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა გოგი კუთხაშვილი, რომლის ავტომანქანა "ვაზ-2121"-დან ამოიღეს ხელყუმბარა "რგდ"-5, "სტეჩკინის" სისტემის პისტოლეტი ერთი მჭიდით და 21 ვაზნით, ავტომატი "აკს" ერთი მჭიდით და 12 ვაზნით, ხოლო ბინიდან ამოღებულია პისტოლეტი "ტტ" ორი მჭიდით და ცხრა ვაზნით. პისტოლეტ "მაკაროვის" ორი ვაზნა და პისტოლეტ "სტეჩკინის" ორი მჭიდი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა სოფელ არბოში მცხოვრებ ბიკენტი ხადურის ავტოფარეხში დააკავეს სოფელ მერეთში მცხოვრები რევაზ მეცხვარიშვილი, რომელიც ხადურის ავტომანქანა "ვაზ- 2106" მოპარვას ცდილობდა. დაკავებისას მისგან ხელყუმბარა "ფ"-1 ამოიღეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დააკავეს კასპის რაიონის სოფელ მეტეხში მცხოვრები, ოთხჯერ ნასამართლევი ვლადიმერ გორბინი, რომელიც რამდენიმე თანამზრახველთან ერთად სოფელ გიორგიწმინდაში თავს დაესხა რობერტ ასტაშკინის ოჯახს და საოჯახო ნივთები გაიტაცა. დადგინდა, რომ გორბინმა და მისმა თანამზრახველმა ილია ქარელმა, 2003 წლის ნოემბრიდან 2004 წლის მარტამდე, რამდენიმე მოქალაქის ბინა გაქურდეს. **მედია-ნიუსი**

# გზა ევროკავშირისაკენ

10 ახალი წევრი, ძირითადად ყოფილი აღმოსავლური ბლოკიდან, ევროკავშირს ოფიციალურად 1 მაისს შეუერთდება და მის წევრთა რაოდენობას 25-მდე გაზრდის. 1951 წელს ქვანახშირისა და ფოლადის სავაჭრო შეთანხმებიდან დაწყებული ორგანიზაცია, დღეს მსოფლიოში უდიდეს სავაჭრო ალიანსად გადაიქცა – 455 მილიონიან ზესახელმწიფოებრივ ორგანოდ.

### ადრეული დღეები



1946 წლის სექტემბერი: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ევროპული ოჯახის განახლების ინიციატივით გამოდის. მან შესთავაზა ისეთი სტრუქტურა, რომელიც მშვიდობის უსაფრთხოებისა და თავისუფლების გარანტია იქნებოდა. "ჩვენ უნდა ავაშენოთ ევროპის შეერთებული შტატების მსგავსი რამ".

1947-48 წწ.: ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები აყალიბებენ საერთო საბაჟო ტარიფების მქონე საბაჟო და ეკონომიკურ კავშირს.

1949 წლის მაისი: სტრასბურგის ხელშეკრულების საფუძველზე იქმნება ევროპის საბჭო – 41 სახელმწიფოსაგან შექმნილი ორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანიც დემოკრატიის, ადამიანთა უფლებებისა და კანონმორჩილების გაძლიერებაა.

### პირველი სერიოზული ნაბიჯები



1951 წლის აპრილი: პარიზის ხელშეკრულება, რომელსაც "ექვსეულმა" – დასავლეთ გერმანიამ, საფრანგეთმა, იტალიამ, ნიდერლანდებმა, ბელგიამ და ლუქსემბურგმა მოაწერა ხელი. შეიქმნა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის თანამეგობრობა – საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის ჩანაფიქრის ნაყოფი. დაფუძნდა ოთხი ძირითადი ინსტიტუტი: უმაღლესი ხელისუფლება (მომდგომში ევროკომისია); მინისტრთა საბჭო; ევროსასამართლო; და საერთო ასამბლეა (შემდგომში ევროპარლამენტი)

1957 წლის მარტი: ექვსეული ხელს აწერს რომის ხელშეკრულებას. დაარსდა ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობა (ასევე ცნობილია საერთო ბაზრის სახელწოდებით) და ევროპის ატომური ენერგიის თანამეგობრობა (ევროატომი)

1960: დიდი ბრიტანეთი, ირლანდია და დანია აკეთებენ განაცხადს საერთო ბაზარში გაწევრიანებაზე.

### CAP –ის სტიმულირება



1962: შეთანხმება სოფლის მეურნეობის ერთიანი პოლიტიკის ძირითად მიმართულებებზე. საფრანგეთისა და გერმანიის შეთანხმებით, გერმანული სამრეწველო საქონელი დაიშვება ფრანგულ ბაზარზე, ხოლო გერმანული არხები სუბსიდირებას უწევენ ფრანგ ფერმერებს ბრიუსელის გავლით. CAP შემდგომში ყველაზე ხანგრძლივი და ძვირი პროექტია ევროპის ეკონომიკური თანამეგობრობის პროექტებს შორის.



1963 წლის იანვარი: ცნობილი "არა". საფრანგეთის პრეზიდენტი შარლ დე გოლი ვეტოს ადებს დიდი ბრიტანეთის გაწევრიანებას. მიზეზად სახელდება ის გარემოება, რომ დიდი ბრიტანეთი აშშ-ს ინტერესების გამტარებელი იქნება. ოთხი წლის შემდეგ დე გოლი მეორედ ადებს ვეტოს ბრიტანეთის აპლიკაციას.

### შერწყმის ხელშეკრულება

1965 წლის აპრილი: დაიდო ხელშეკრულება, რომლის შედეგად გაერთიანდა ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის კავშირის, ევროპის ეკონომიკური კავშირის და ევროატომის აღმასრულებელი ორგანოები, რის შედეგადაც შეიქმნა ერთიანი მინისტრთა საბჭო და ევროკომისია.

1968 წლის ივლისი: დასრულდა საბაჟო კავშირის ფორმირება – ყველა საბაჟო გადასახადი და კვოტა მოხსნილია. ვაჭრობის მოცულობა ექვსეულს შორის 1958წ. დაფიქსირებული 7 მლრდ დოლარიდან 1972წ. 60 მლრდ-მდე გაიზარდა.

### მესამე წარმატებული ცდა



1969 წლის ივლისი: პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ აცხადებს, რომ საფრანგეთი აღარ იქნება ბრიტანეთის გაწევრიანების წინააღმდეგი. ბრიტანეთი, ირლანდია და დანია უერთდებიან საერთო ბაზარს 1973 წლის იანვარში.

1970: ვერნერის მოხსენება სთავაზობს ეკონომიკური და მონეტარული კავშირის ათ წელიწადში შექმნის სამსაფეხურიან გეგმას.

### მონეტარული სტაბილურობა

1972: სავალუტო გაცვლითი კურსების ჰარმონიზების პირველი მცდელობა. "მცოცავი" სისტემით დაკავშირებულმა ვალუტებმა უნდა შეზღუდონ ერთმანეთის მიმართ გაცვლითი კურსების რყევა 1%-მდე. ბრიტანულ ფუნტს, იტალიურ ლირას და ფრანგულ ფრანკს მალე აძევებენ.





1978: მხოლოდ გერმანული მარკა, ჰოლანდიური გულდენი და დანიური კრონა რჩებიან "მცოცავ" სისტემაში. საფრანგეთის პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დესტენი (ზემოთ მარცხნივ) და გერმანიის კანცლერი ჰელმუტ შმიდტი (ზემოთ მარჯვნივ) გამოდიან ევროპული მონეტარული სისტემის იდეით. ევროპულ მონეტარულ სისტემას საფუძველი ჩაეყარა 1979 წელს – მისი სავალუტო გაცვლითი კურსების მექანიზმი, მონაწილე ვალუტებს მხოლოდ დადგენილ საზღვრებში რყევის უფლებას აძლევს. შემოღებულია ევროპის სავალუტო ერთეული (ეკიუ).

1979: პირველი პირდაპირი არჩევნები ევროპარლამენტში – ევროპარლამენტი უარყოფს ევროკომისიის ბიუჯეტს.

1981: საბერძნეთი ოფიციალურად ხდება ევროპული თანამეგობრობის წევრი. პორტუგალია და ესპანეთი უერთდება 1986წ. ევროპული თანამეგობრობის წევრთა რიცხვი 12-მდე იზრდება.



1983: თევზჭერის საერთო პოლიტიკაზე შეთანხმება მიღწეული.

### რკინის ლედი



1984: მზარდ საბიუჯეტო დანახარჯებზე ხუთწლიანი დავის შემდეგ ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი ბიუჯეტის შემცირებას ითხოვს თავისი ცნობილი ფრაზით: "დამიბრუნეთ ჩემი ფული უკან".

### ევროს შემქმნელი



კომისიის პრეზიდენტი ჟაკ დელორი ამზადებს ევროპის მონეტარული კავშირის პროექტს. შემდგომში მაასტრიხტის ხელშეკრულებაში ასახული ეს გეგმა ერთიანი ვალუტის – ევროს შექმნით მთავრდება.

### მაასტრიხტის ხელშეკრულება

ევროპის კავშირის შესახებ სადავო ხელშეკრულება მაასტრიხტის სამიტზე იქნა გატანილი. შეიქმნა ევროკავშირი, როგორც ევროპის თანამეგობრობის მემკვიდრე. სწორედ მაასტრიხტში დადგინდა ევროპის მონეტარული კავშირის გრაფიკი და განისაზღვრა ევროკავშირში გასაწევრიანებლად მზადმყოფი ქვეყნის კრიტერიუმები.

1992 წლის სექტემბერი: შავი ოთხშაბათი – ბრიტანეთის ფუნტი სტერლინგი "სავალუტო გაცვლითი კურსების მექანიზმიდან" გამოჰყავს.

### 12-დან 15-მდე

1995: შვედეთი, ფინეთი და ავსტრია გაწევრიანდა, რითაც წევრთა რიცხვი 15-მდე გაიზარდა.

1998: ფრანკფურტში ჩამოყალიბდა ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ევროს შემოღებაზე.

### ევროკავშირის "თაღლითობის საქმე"



1999 წლის მარტი: მთელი ევროკომისია, 20 კაცის შემადგენლობით, მათ შორის პრეზიდენტი ჟაკ სანტერი გადადგა, მას შემდეგ რაც დადანაშაულებულნი იქნენ თაღლითობასა და კორუფციაში.



2002 წლის იანვარი: ევროს ბანკნოტები და მონეტები მიმოქცევაში შედიან ევროკავშირის 15 წევრიდან 12-ში. ბრიტანეთმა, დანიამ და შვედეთმა უარი თქვეს ევროზე 1999 წელს.

### ევროკავშირის კონსტიტუცია

2003 წლის დეკემბერი: ევროკავშირის კონსტიტუციის პროექტის შესათანხმებლად ჩატარებული სამიტი მწვავე ურთიერთბრალდებების ფონზე ჩაიშალა. ახალ თარიღად დადგენილია 2004 წლის 17 ივნისი.







| მოსახლეობა (მილიონი) ახალი წევრი ● | | ხმების რაოდენობა ევროკავშირის საბჭოში |
|---|---|---|
| გერმანია | 82.4 | 29 |
| საფრანგეთი | 61.7 | 29 |
| დიდი ბრიტანეთი | 59.2 | 29 |
| იტალია | 57.0 | 29 |
| ესპანეთი | 40.4 | 27 |
| პოლონეთი ● | 38.6 | 27 |
| ნიდერლანდები | 16.0 | 13 |
| საბერძნეთი | 10.6 | 12 |
| პორტუგალია | 10.3 | 12 |
| ბელგია | 10.3 | 12 |
| ჩეხეთი ● | 10.2 | 12 |
| უნგრეთი ● | 10.2 | 12 |
| შვედეთი | 8.9 | 10 |
| ავსტრია | 8.1 | 10 |
| სლოვაკეთი ● | 5.4 | 7 |
| დანია | 5.4 | 7 |
| ფინეთი | 5.2 | 7 |
| ირლანდია | 3.9 | 7 |
| ლიტვა ● | 3.6 | 7 |
| ლატვია ● | 2.4 | 4 |
| სლოვენია ● | 2.0 | 4 |
| ესტონეთი ● | 1.4 | 4 |
| კვიპროსი ● | 0.76 | 4 |
| ლუქსემბურგი | 0.45 | 4 |
| მალტა ● | 0.39 | 3 |

### ევროკავშირის მთავარი ინსტიტუტი



ევროპარლამენტი

გაფართოებულ ევროპარლამენტს 2004-2009წწ. 732 წევრი ეყოლება. 10-13 ივნისს 25 ქვეყნის დაახლოებით 349 მლნ. ამომრჩეველს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ევროპის ყველაზე მასშტაბურ არჩევნებში.



ევროკავშირის საბჭო

გენერალური მდივანი: ხავიერ სოლანა.

ევროკავშირის ძირითადი გადაწყვეტილებების მიმღები ორგანო, წარმოდგენილია წევრ-სახელმწიფოთა მთავრობებით. თავმჯდომარეობა ექვსთვიანი როტაციის პრინციპით ხორციელდება.



ევროკომისია

პრეზიდენტი: რომანო პროდი.

აღმასრულებელი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ევროპარლამენტისა და საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებაზე.

ევროსასამართლო - ევროკავშირის უმაღლესი სასამართლო ორგანო, უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობების შესაბამისობას ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

აუდიტორთა სასამართლო - კონტროლს ახდენს ევროკავშირის ბიუჯეტის მიზნობრივ და კანონიერ მართვაზე.

Sources: Europa, European Union, EuroParl Pictures: Associated Press © GRAPHIC NEWS

# საქართველოსკენ დაძრული ევროკავშირი

2004 წლის პირველი მაისი ევროპის გაფართოების დღეა. ევროკავშირი მისი არსებობის ისტორიაში ყველაზე მასშტაბური გაფართოების და ინტეგრაციის უმნიშვნელოვანესი პროცესის წინაშე დგას. ეს აისახება ევროკავშირის შესაძლებლობებსა და მის ურთიერთობებზე გარე სამყაროსთან. გაფართოება პოტენციურად გააუმჯობესებს ევროკავშირის გავლენას. გაფართოების პროცესი სამხრეთ კავკასიასთან გეოგრაფიულ სიახლოვეს განაპირობებს, რაც ევროკავშირისათვის რეგიონის მნიშვნელობას ზრდის.

საქართველოში მომხდარი "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისაკენ ჩვენი სწრაფვა უკვე მკაფიოდ არის გამოხატული. ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში ამ საკითხის პრიორიტეტულობა ხელისუფლების პირველი პირებისაგან არაერთხელ დაფიქსირებულა. თუ რევოლუციამდე გამეფებული კორუფცია და უდანაშაულობის სინდრომი ევროკავშირში გაწევრიანებისათვის არანაირ იმედს არ გვიტოვებდა, დღეს შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ორგანიზაციის აპლიკანტისათვის აუცილებელ კრიტერიუმებს, მართალია, ნელ-ნელა, მაგრამ მაინც ვუახლოვდებით. დემოკრატიზაციის მიმართულებით განხორციელებულ ძვრებს საქართველოს გარეთაც ამჩნევენ და ყურადღებით აკვირდებიან. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ გამოვიჩენთ თავს. ფაქტი ერთია - თუ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებისათვის აუცილებელი ნიხრი, შესაძლოა, პოლიტიკური მოსაზრებებით ვინმემ ჩვენთვის "დაწიოს", ევროკავშირის შემთხვევაში ამას არავინ გააკეთებს.

დღეს სამხრეთ კავკასია, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ე.წ. "ბუფერად" მოიაზრება და მისი ბედი, გარკვეულწილად, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით შეასრულებს იგი ევროკავშირისათვის "ბუფერის" ფუნქციას, რაც ევროკავშირის არსებული და მომავალი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ ბუნებრივი საზღვრების უსაფრთხოების უზრუნველყოფაში მდგომარეობს.

**"საქართველო მთელი რეგიონისათვის მაგალითი უნდა გახდეს,"** - ეს სიტყვები საგარეო ურთიერთობების საკითხებში ევროკომისარს ქრისტოფერ პატენს ეკუთვნის, რომელიც მან ბრიუსელში პრეზიდენტ სააკაშვილის ვიზიტის დროს წარმოთქვა.

**"საქართველო მზად არის, აიღოს ის დიდი პასუხისმგებლობა, რაც ევროპაში ინტეგრაციისათვის არის საჭირო. ჩვენ მზად ვართ, ევროპისაკენ გადავდგათ ნაბიჯები, მაგრამ ასევე მოველით, რომ ევროპაც წამოვა ჩვენსკენ,"** - აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი.

1 მაისს ევროკავშირში ახალი სახელმწიფოების გაწევრიანება ნებისმიერ ქართველს, ერთგვარ შურთან ერთად, იმედსაც უნდა უსახავდეს. ერთ მშვენიერ დღეს ხომ ჩვენი დროშაც იფრიალებს ევროკავშირის შტაბ-ბინის თავზე. ეს დღე კი არც თუ ისე შორსაა.

www.24hours.ge 24 B

ნომრის სტუმარი

# მსოფლიოს ბედს ელიტები წყვეტენ

პირველი გვერდიდან

**კშიშტოფ ძანუსი: დაიბადა ვარშავაში, 1939 წელს. იყო ვარშავის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტი, შემდეგ კრაკოვის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი; 1966 წელს დაამთავრა ლოძინის კინოსკოლა. მისმა სადიპლომო ნამუშევარმა მანგეიმის ფესტივალის პრიზი მოიპოვა; 1987 წლიდან თეატრშიც მუშაობს. ძანუსი იყო პოლონეთის კინემატოგრაფისტთა კავშირის ვიცე-პრეზიდენტი; ასწავლის კინოს, ტელევიზიისა და თეატრის უმაღლეს სახელმწიფო სკოლაში; გახლავთ რეჟისორი იტალიის, საფრანგეთის, გერ'მანიის და რუსეთის თეატრებში; 1994 წლიდან კი ვატიკანის კულტურის საქმეთა კომისიის კონსულტანტია. გახლავთ EUROVISION-ის პრეზიდენტი; პოლონეთის პენ-კლუბის წევრი.**

**ძანუსი ყველა საკუთარი ფილმის სცენარის ავტორი ან თანაავტორია.**

**- როგორც ვიცი, თქვენთან საუბარი ნებისმიერ თემაზე შეიძლება. კარგია, როცა ბევრი იცი?**

- როგორ გითხრათ... თქვენი გადასაწყვეტია, ღირს თუ არა ეს.

**- რამდენ ენაზე საუბრობთ?**

- 6-7 ენაზე. მამაჩემი, რომელმაც ჩემზე ერთით ნაკლები ენა იცოდა, ყოველთვის ამბობდა, მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ენაზე საუბრობ, რადგან ასეთები საერთაშორისო სასტუმროს სერვისშიც მუშაობენ. მთავარია, რას კითხულობ და რას ამბობ.

**- ალბათ, მას ჰგავხართ.**

- შეიძლება. ჩვენი თაობისთვის ენების შესწავლა დიდი სირთულე იყო, რადგან საზღვარგარეთის ქვეყნებთან არანაირი კონტაქტები არ გვქონდა. ომამდელ ინტელიგენციას მოგზაურობის საშუალება ჰქონდა და ეს დიდი ინტერესი ჩემი მშობლების ნაამბობიდან გაგვიჩნდა.

მამა მეწარმე იყო. პროფესიით მშენებელი ინჟინერი გახლდათ. სახლებს აშენებდა, ქალაქებს, გზებს. ჩემი ოჯახის ხუთი თაობა რკინიგზას აშენებდა. სამხრეთ პოლონეთი ავსტრიის იმპერიის ნაწილი იყო და პირველი რკინიგზა იქ შენდებოდა. ამიტომაც წარმოშობით იტალიელები პოლონეთში ალმოვჩნდით. ჩემი წინაპრები რკინიგზის მშენებლობით ადამიანების დაახლოებას უწყობდნენ ხელს. მე რაღაც მსგავსს ვაკეთებ, ოღონდ, სხვა დარგში, კინოც აახლოებს ადამიანებს.

**- დიდი ინტერესების სფერო გაქვთ. მაინც რა არის თქვენთვის მთავარი თემა, როგორ დაასათაურებდით თქვენს ცხოვრებას?**

- რთულია საკუთარ თავზე თქვა, რა არის მთავარი თემა. დღევანდელობის თვალსაზრისით, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაშიც სამყაროს არ ვეთანხმები, ეს არის გრძნობა, რომ ადამიანი ან იზრდება, ან მცირდება. ცხოვრებაში ეს დინამიკა მუდმივად არის და ვალდებულნი ვართ, ნებისმიერ ასაკში ვიბრძოლოთ ზრდისთვის. ეს სამყაროს ავიწყდება.

ყველაზე რეაქციული, საზიზღარი ლოზუნგი იმ დროისა და თაობების, რომელიც მე მინახავს, 60-იანი წლების საშინელი ამერიკული ლოზუნგია - I'm O.k, you're O.K. ამაზე ცუდი არაფერია, რადგან ჩვენ არასდროს მიგვაჩნია, რომ ვართ O.K. ასე ფიქრი არასდროს არ უნდა გავბედოთ. ყოველთვის უკეთესისკენ უნდა ვისწრაფოთ.

**- ამ დასკვნამდე ახლა მიხვედით, თუ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვრად ფიქრობდით?**

- ეს არც თუ ისე დიდი ხნის წინ ვიფიქრე. აქამდე არავინ მითხრა, რომ უკვე კარგად ვარ. არავინ თვლის, რომ ის კარგად არის. იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციებით, იმ ცოდვის კონცეფცია, რომელიც ჩვენს თავზე ჰკიდია, ძალზე დადებითი გრძნობაა - სინანულზე მოგახსენებთ. ამ გრძნობისგან გათავისუფლება საჭირო არ არის. მაგრამ ამ კონცეფციით მთელი სამყაროს წინააღმდეგ მივდივარ.

**- საბჭოთა კავშირში, მათ შორის საქართველოშიც, თქვენი ფილმები იშვიათად ჩამოჰქონდათ. როგორ ფიქრობთ, დადგა ის დრო, როცა მაყურებელი ევროპულ კინოს უბრუნდება?**

- სამწუხაროდ, ეს დრო ბოლომდე არ დამდგარა. თუმცა, მსოფლიოს საზოგადოებებში ცვლილებები შეიმჩნევა. ამერიკული კულტურის ამგვარი ჰეგემონია ადრე არასდროს ყოფილა. ის ძალზე პოპულარულია, ძალზე სახალხო და პლებეურია. მაგრამ, მსოფლიოს ელიტები ქმნიან და არა მასები. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანი ელიტის დაბადებაა და არა მასებისა. ახლა კი მთელი ინტერესი სწორედ მასებისკენ მიდის. ეს ერთგვარ საშიშროებასაც შეიცავს, რადგან მსოფლიოს ბედს, ისტორიას მასები არ წყვეტენ, წყვეტენ ელიტები.

**- როგორ ფიქრობთ, რატომ დათმო პოზიციები ევროპულმა კულტურამ?**

- იმიტომ, რომ ევროპამ 2000 წელზე მეტი ხნის წინ შექმნა თავისი ეტიკეტი. ევროპა სხვადასხვა ელემენტებისგან შედგება - სიკეთისა და ბოროტების სპარსული ნაწილიდან, ბერძნული ტრაგიზმის კონცეფტიდან, რომელიც სხვა კულტურებს არ გააჩნიათ; შეიქმნა აგრეთვე რომის კანონებისგან და, რა თქმა უნდა, ქრისტიანობისგან - ამ ყველაფრისგან წარმოიშვა ევროპული კულტურა, რომელიც მსოფლიოს ყველა სხვა კულტურებისგან განსხვავდება. მას უზარმაზარი ავტოკრიტიციზმი შეეძლო. არც ინდოეთს, არც ჩინეთს (ჩვენს კონკურენტებს) ან ძველ ეგვიპტეს არ ჰქონია საკუთარი თვითდაჯერებულობის შემოწმების გამბედაობა, ევროპა ამას მუდმივად აკეთებდა.

მეოცე საუკუნეში ევროპა ადამიანის ცოდვილი ბუნების საშინელ გამოვლინებამდე მივიდა. სწორედ ევროპამ წარმოქმნა კომუნიზმი და ნაციზიმი, სოციალიზმის ორი ფორმა, რომელიც კრიმინალურ ფორმებში გამოიხატა. ეს საშინელი დაცემა იყო, თუმცა, იქაც ყოველთვის გამოჩნდებოდა ვიღაც ისეთი, კარგი რომ სურდა. მაგრამ ამან ვერ უშველა. მას შემდეგ ევროპა ამ მდგომარეობიდან არ გამოსულა. ამიტომაც, საკუთარი თავისადმი რწმენა დაეცა. ევროპა საკუთარ თავს კრიტიკულად უყურებს.

**- ყველაფრის მიუხედავად, ევროპა საზღვრებს აფართოებს. საქართველოც მიისწრაფვის ევროპისკენ. ჩვენთან ამბობენ, რომ საქართველო ოჯახში ბრუნდება. პოლონეთმა თითქმის ანალოგიური გზა გაიარა და პირველ მაისს ის ევროკავშირში გაწევრიანდება. ამ გზაზე რა იქნება მთავარი სირთულე ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა?**

- ამისთვის ძალიან ვემზადებოდით. რეფერენდუმიც ჩატარდა და ევროპის საწინააღმდეგო პროპაგანდაც იყო. ყველაზე მთავარი ისეთი სამოქალაქო საზოგადოების აშენებაა, რომელზეც ევროპა დგას. კავკასიაში კორუფციის დაუჯერებელი დონეა. სამოქალაქო ფენისთვის არაფრით არ შეიძლება იმასთან შეგუება, რომ ადამიანები ასე ატყუებდნენ ერთმანეთს.



კშიშტოფ ძანუსი

**- ჩვენში გავრცელებული აზრით, ნოემბრის მოვლენები სწორედ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარების დონემ მოიტანა.**

- ერთ ჯერზე ამას ვერ გააკეთებ, ეს ყოველდღიურად და ყველგან უნდა ხდებოდეს - სხვადასხვა სფეროების ერთმანეთთან დამოკიდებულებით, სამსახურებში, უფროსთან დამოკიდებულებებში. მე კი ვხედავ, რომ აქ ჯერ კიდევ კლანური ურთიერთობებია.

ძალიან მაშინებს ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება. პრეზიდენტის ასე გაღმერთება სახიფათოა. მისი დაპირებები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხშირად არარეალურია და ეს ყველამ იცის. ხელისუფლებას ისე უნდა მიუდგე, როგორც სამსახურს. არ არსებობს გენიოსი და არ არსებობს ბელადი. უბრალოდ, არის ადამიანი, რომელიც სამსახურს შეუდგა და მისი დათხოვნაც შეიძლება, რადგან ხალხს მთელი ცხოვრება ერთი პრეზიდენტის მეთაურობა არ უნდა უნდოდეს.

**- სამოქალაქო საზოგადოებამ ხელისუფლებას მსახურება როგორ უნდა აიძულოს?**

- ეს დამოკიდებულია სიმწიფის დონეზე და იმაზე, ხელისუფლებაზე ზეწოლის რა ხერხები გვაქვს. როგორ უნდა იარსებოს ხელისუფლებამ, თუ საკუთარი ამომრჩევლების ეშინია?!

**- ამ პროცესში ვინ არის მთავარი ფიგურა?**

- მთავარ ფიგურას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ძალიან მეშინია ხელისუფლების მლანძღველების. განსაკუთრებით, ახალგაზრდა ხელისუფლების მლანძღველებისა იმიტომ, რომ ახალგაზრდა ხელისუფლებას ლანძღვა კლავს. აგრეთვე სახიფათოა ძალიან ახლგაზრდების ხელისუფლებისკენ სწრაფვა. ყველა რევოლუციამ დაგვანახა, რომ ეს ცუდად მთავრდება.

ისიც არ არის დამამშვიდებელი, რომ ადამიანებს ასე სჯერათ. არ არის საჭირო ასეთი იმედები, სასწაულები არ ხდება. ოდნავ ნაკლები კორუფცია, ოდნავ მეტი სამუშაო, ოდნავ ნაკლები ქურდები - და ეს უკვე კარგია. დედამიწაზე კვლავ სამოთხის მოლოდინმა ერთხელ უკვე მიგვიყვანა კომუნიზმამდე, ფრთხილად უნდა ვიყოთ.

**- ამბობენ, რომის პაპი თქვენი ნათლიაა.**

- არა, უბრალოდ, მისთვის ნაცნობი ვარ. ერთხელ მკითხეს, ვიცნობ თუ არა რომის პაპს. ვუპასუხე - მე ვიცნობდი ამის წინა და იმის წინა პაპსაც, მაგრამ ეს პირველია, ვინც მე მიცნობს.

**- ერთხელ გითქვამთ, კათოლიციზმი უფრო მიმტევებელია, ვიდრე მართლმადიდებლობაო. კონკრეტულად?**

- ვერ ვიტყოდი, რომ სულ ასეა. ჩემთვის მართლმადიდებლობაც, კათოლიციზმიცა და პროტესტანტიზმიც ის დამატებითი ფორმებია, რომელიც ქრისტიანობაზე ჩვენს არასრულყოფილ ცოდნას ავსებს. ერთმანეთისგან სწავლა შეიძლება. ერთ ორგანიზაციად გაერთიანების არავითარი საჭიროება არ არის. უბრალოდ, ერთმანეთის მიმართ პატივისცემით, სიყვარულითა და ღირსებით უნდა ვიყოთ განმსჭვალული. მათი განსხვავებულობა ერთგვარი სიმდიდრეა.

მართმადიდებლებისგან შეიძლება რწმენის სიღრმე ვისწავლოთ და საერთოდ, მართლმადიდებლობაში შენარჩუნებულია ის, რაც სხვა დანარჩენში ნაკლებად მოიპოვება. ეს სიმდიდრე კი საუკეთესოს არჩევის საშუალებას იძლევა.

**- სხვა რელიგიური კონფესიებისადმი აგრესიას რას დაარქმევთ?**

- ეს რწმენის ნაკლებობით არის გამოწვეული. სუსტი რწმენა სწორედ ასეთ შედეგს გვაძლევს. არათუ სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების, არამედ, საერთოდ განსხვავებული რელიგიის ადამიანები ერთმანეთს არ მტრობენ, თუ მათი რწმენა ძლიერია.

**- გლობალიზაციის პროცესი გარდაუვალია, ამისთვის უნდა ვემზადოთ. როგორ ფიქრობთ, პიროვნება არ დაიკარგება?**

- ყველაფერი შესაძლებელია. შეიძლება ამისგან ახალი ტოტალიტარიზმიც წარმოიშვას.

მაინც ვფიქრობ, რომ პიროვნება არ უნდა დაიკარგოს. ვხედავ ამ პროცესის გარდაუვალობას. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გლობალიზაციამ ბევრი სიკეთეც შეიძლება მოგვიტანოს. პირველ რიგში, სამუშაო. წარმოება მიდის ისეთი ქვეყნებიდან, როგორიც ამერიკაა. მიდის ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, რაც მათ განვითარების შანსს აძლევს. თუ ეს გლობალიზაციის მემკვიდრეობაა, დადებითი მოვლენაა. მაგრამ თუ უნიფორმიზმი წარმოიშობა, ეს აბსოლუტურად არასასურველია. მრავალფეროვნება ხომ ერთგვარი ღირებულებაა.

**- საქართველოში მეგობრები გყავთ?**

- ჩემი პირველი კონტაქტი საქართველოსთან ოთარ იოსელიანი იყო. 70-იან წლებში მან ჩამომიყვანა. მოსკოვში, კინოფესტივალზე შევხვდით. მაშინ გვკითხეს, რომელი საბჭოთა ქვეყნის ნახვას ისურვებთო. ვუპასუხე, რა თქმა უნდა, საქართველოს-მეთქი. ოთართან ერთად ჩამოვედი და მაშინვე გამოვეყავით მთელ ჯგუფს. მახსოვს, სასტუმრო „ივერიაში" ვცხოვრობდი. ახლა იქ დევნილები ცხოვრობენ, მაშინ კი ყველაზე ფეშენებელური სასტუმრო გახლდათ. სხვათა შორის, ჩემი ნომრიდან ჩანაწერები მომპარეს...

**- ამას ნამდვილად „კაგებე" ჩაიდენდა.**

- კითხვაც არ უნდა. მახსოვს, ყვირილი ავტეხე და სკანდალი მოვაწყვე და მაშინ ვიღაცამ გაუბედავად მითხრა - ალბათ, ასლების გადაღებისას ქსეროქსი გაუტყდათო... მივხვდი, რომ ეს პრობლემებისადმი ქართული, ნაციონალური მიდგომა იყო. ამის შემდეგ აღარ გავბრაზებულვარ, მაგრამ ჩანაწერები სამუდამოდ დაიკარგა.

**- ცნობილია თქვენი მეგობრობა ანდრეი ტარკოვსკისთან. რით იყო უნიკალური ეს მეგობრობა?**

- ის თავად იყო უნიკალური ადამიანი და ამის დამადასტურებელ ერთ შემთხვევას გიამბობთ. ტარკოვსკი პარიზში, ჩემს სახლში ცხოვრობდა. ეს ბინა დღემდე მაქვს. სახლში სტუმრებისთვის წიგნი მაქვს შემოღებული - ვინც ჩემთან სტუმრობს, ყველას ჩანაწერის და ფოტოს დატოვებას ვთხოვ. მან დატოვა სურათი, რომელიც რომელიღაც ფრანგული საბუთიდან ამოხია. ამ საბუთში არის ასეთი გრაფა - „განსაკუთრებული ნიშნები," სადაც ეწერა - „არა". ანდრეიმ ეს ამოხია და მიაწერა - „მე თავად ვარ განსაკუთრებული."

იგი არ იყო უბრალო ადამიანი. მას მხურვალედ უყვარდა სიმართლე, მხურვალე და ძლიერი რწმენა ჰქონდა. ჩვენი კინოფილმები განსხვავებულია, მაგრამ ის აფასებდა ჩემს შემოქმედებას, მე კი - მისას. ვენეციის კინოფესტივალზე ძალიან იბრძოლა, რომ ჩემთვის პრიზი მოენიჭებინათ. ასე რომ, ჩვენ შორის განსაკუთრებული კავშირი დამყარდა. ჩვენ ტემპერამენტითაც განსხვავებულები ვიყავით, სხვადასხვა შეხედულებები გვქონდა. ეს მეგობრობა კი დიდხანს გაგრძელდა. ის ჩემს სახლში იქამდე ცხოვრობდა, ვიდრე ფრანგული საბუთი არ მიიღო. მერე კი საავადმყოფოში დაწვა. ის მხურვალე ადამიანი იყო და იყო გენიოსი.

**- სტუმრების წიგნი ახსენეთ, უმეტესი ჩანაწერი კინორეჟისორებისა არის?**

- ვინც არ უნდა მოხვდეს ჩემთან, ყველა ტოვებს ჩანაწერს. იქ რომ შეგხვედროდით, თქვენც აუცილებლად მოხვდებოდით ამ წიგნში.

**- რას უკავშირდება თქვენი ახლანდელი ვიზიტი?**

- ჩემი აზრით, შვეიცარიის მთავრობის მიერ ორგანიზებული სემინარი „ავანთი" ძალზე წარმატებულია. ამ სემინარის მიზანი კინოსა და ტელევიზიის დარგში თანამშრომლობისთვის კავკასიის სამი ერის დაახლოებაა. სემინარზე სამივე ქვეყნის წარმომადგენლებმა წაიკითხეს სრულმეტრაჟიანი სცენარების მთელი დასტა. შვეიცარიელები ამ სცენარების განხორციელებაში მატერიალურადაც მიეხმარებიან. მე კონსულტანტად მომიწვიეს.

**- ქართველ ახალგაზრდებს გაეცანით?**

- რა თქმა უნდა. ძალიან საინტერესოა რუსუდან ჭყონია.

**- რა არის საჭირო კინოს განვითარებისთვის?**

- კინოს ევროსტრუქტურებთან დაახლოება სჭირდება. აქ გამეფებულია საბჭოთა ჩვევები, ამას თავი უნდა დააღწიოთ. ამ სემინარზე ეს გამოუვიდათ, სულ სხვაგვარად დაიწყეს მუშაობა. სცენარები საბჭოთა პოეტურობით და კონკრეტიკის გარეშე იწერებოდა. აქ ახლა სწავლობენ, როგორ უნდა დაიწეროს სცენარი, როგორ უნდა გაკეთდეს ზუსტი სტრუქტურა. უნდა გენახათ, თავიდან რა ენაზე მეტყველებდნენ - მგრძნობიარე საბჭოთა ენაზე ყოველგვარი კონკრეტიკის გარეშე. ეს ახლა ნამდვილ სცენარად იქცა. სხვადასხვა ქვეყნების კონსულტანტებისგან სწავლობენ დრამატურგიული ხაზის ზუსტად გამოკვეთას. ისინი ახლა სწავლობენ, რომ სცენარს წაკითხვა არ უნდა. სცენარის მოყოლა უნდა შეგეძლოს - 15 წუთში, 10 წუთში, ნახევარ საათში... ამ ფესტივალის ეგიდით მალე ჩამოვლენ მსოფლიოში ყველაზე გავლენიანი ადამიანები, ვინც ამ ადამიანების ბედზე უდიდეს გავლენას იქონიებენ. მათ შეუძლიათ, საქართველო-აზერბაიჯან-სომხეთის ერთობლივი ნამუშევრები შეუკვეთონ და ეს გენიალურია. ამისთვის შვეიცარიელებს მადლობა ეკუთვნით.

**- თქვენი ცოლი ძველი და დიდი გვარის წარმომადგენელია. იტალიური რა შეიტანეთ ამ ოჯახში?**

- დიახ, ჩემი ცოლი პროფესიით მხატვარია და უძველესი პოლონური ოჯახის წარმომადგენელია. მას 7 ძმა და ორი და ჰყავს. ის ყველაზე ახალგაზრდაა ამ ჯგუფში.

მამაჩემს უფრო ჰქონდა ხმელთაშუა ტემპერამენტი. ამიტომაც სტალინის დროს მას ხშირად აპატიმრებდნენ. მაშინ მივხვდი, რომ ყველა სპონტანური გამოხტომისგან უნდა გავთავისუფლდე. ამიტომაც, ყველა ჩემს სიტყვას ვწონი.

**- ადრეულ ასაკშივე აკონტროლებდით ქმედებებს, თუ ეს ჩვევა დროსთან ერთად მოვიდა?**

- 10-12 წლიდან. მახსოვს, 50-იან წლებში მამასთან მშენებლობაზე საბჭოთა სტუმრები ჩამოვიდნენ. რა თქმა უნდა, ჭკუის დარიგება დაუწყეს. მამამ ისინი მაშინვე გააგდო და უთხრა, ჩემი ჭკუის დარიგებას, გირჩევნიათ, ისწავლოთო... ამის გამო 2 კვირა სახლში აღარ დაბრუნებულა... ჩვენ სულ იმედი გვქონდა, რომ სადღაც რესტორანში შემორჩა, ან სმა გადააბა... მაგრამ, მსგავსი არაფერი მომხდარა.

ბევრჯერ დამეხმარა ჩემი ეს თვისება - ქმედებების კონტროლი. ისე მოვახერხე ცხოვრება, რომ კომუნისტებთან შეხება არასდროს მქონია.

**- სოციალისტურ პოლონეთში ეს როგორ გამოგივიდათ?**

- შესაძლებელი იყო, ოღონდ დიპლომატიურად უნდა გეკეთებინა. სწორედ ამიტომ მიზიდავს ახლა დიპლომატია. ხშირად ვიღებ მონაწილეობას სხვადასხვა დიპლომატიურ მისიებში. ახლა კი ვამზადებ სურათს დიპლომატებზე, რომელსაც რუსეთთან ერთად გადავიღებთ. ნიკიტა მიხალკოვი იქნება ჩემი თანაპროდიუსერი და ფილმშიც ითამაშებს.

**- თქვენი ფილმებით ჩამოსვლას ხომ არ აპირებთ, ეს ინტერესი საქართველოში ვერ დაინახეთ?**

- ქეთი დოლიძის ფეტივალზე „საჩუქარი" პრიზი მივიღე - თქვენი არაჩვეულებრივი რეჟისორის, მიხეილ თუმანიშვილის პატარა ქანდაკება, რომელიც სახლში მაქვს და ყველა მომსვლელს ვუხსნი, რა პრიზია ეს და საიდან არის.

**- საქართველოს პროპაგანდას ეწევით. ესეც თქვენი მორიგი გატაცება - დიპლომატია. ქართული კულტურის შესახებ რა გსმენიათ?**

- ქართული კულტურა ევროპულ ტრადიციებს მიეკუთვნება. შოთა რუსთაველი სკოლაში წავიკითხე პოლონურად. ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ საქართველო შოთა რუსთაველი და თამარ მეფეა.

ჩემი სიმამრი 1913 წელს საქართველოში, მეფის არმიაში მსახურობდა. საინტერესო ჩანაწერები შემოგვინახა. მან დატოვა პოემა, რომელშიც საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებებია აღწერილი. ეს თაობა პროზას არ იყენებდა. და მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნე იყო, როგორც არისტოკრატმა, პოემის სახით დატოვა ჩანაწერები. საქართველოში პოემა შარშან ჩამოვიტანე და პოლონურ დიასპორასთან შეხვედრაზე წავიკითხე. ამ მოგონებებში აღმოვაჩინე პიროვნება, რომელთანაც შეხება დღესაც მაქვს. გამოჩნდა თავადი შალიკაშვილი, რომლის შვილიშვილიც ამერიკელი გენერალი ჯონ შალიკაშვილია. ეს პოემა მას გავუგზავნე, თუმცა, პასუხი არ მიმიღია. როცა მისი კარგი მეგობარი გენერალი შვარცკოფი შემხვდა და ამის შესახებ ვუამბე, მითხრა - ჰო, ჩვენი ცნობილი ქართველიაო... შალიკაშვილი პოლონურად საუბრობს. პირველად სწორედ პოლონეთში წავიდნენ ემიგრაციაში და ამის შემდეგ გადავიდნენ ამერიკაში.

როდესაც ჩემი სიმამრი სამეფო არმიაში მსახურობდა, თავის გენერალს უთხრა - სამხედრო საქმეს იმიტომ ვსწავლობ, რომ თავისუფალი პოლონეთისთვის ვიბრძოლოო. საბედნიეროდ, მას ისეთი გენერალი შეხვდა, მაშინვე რომ არ გადაასახლა.

**- ევროპულმა კულტურამ რა აიღო ახალი საუკუნიდან?**

- ვფიქრობ, რომ ევროპული კულტურა, კოლონიზაციის გამოცდილების მიუხედავად (რომელიც ზნეობის თვალსაზრისით საბოლოოდ შეცდომა აღმოჩნდა), უკანასკნელ ათწლეულში გაიხსნა, გამჭვირვალეა. მეორე მხრივ კი, საკუთარი სურვილების მიღწევაში ქვეყნებს არანორმალურად მიეხმარა.

ევროპაში დღეს დავიწყეთ სამყაროს მრავალფეროვნების და იმის აღქმა, რომ ჩვენ ერთადერთი კულტურა არ გვაქვს. მეორე მხრივ, მაინც დავკარგეთ რწმენა, რომ ჩვენი კულტურა მაღალგანვითარებულია. ეს ისეა, როგორც ოლიმპიური თამაშები - კულტურა შეჯიბრია და ყოველთვის უნდა მიიღო მონაწილეობა ამ შეჯიბრში, რათა ამორჩევა შეგეძლოს.

**- გისმენთ და ვფიქრობ, რომ თქვენთვის მთავარი თემა მაინც არჩევანია...**

- თავისუფლება - ეს არის მთავარი. ეს კი არჩევანიცაა.

> ძალიან მაშინებს ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება. პრეზიდენტის ასე გაღმერთება სახიფათოა. მისი დაპირებები, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ხშირად არარეალურია და ეს ყველამ იცის. ხელისუფლებას ისე უნდა მიუდგე, როგორც სამსახურს. არ არსებობს გენიოსი და არ არსებობს ბელადი. უბრალოდ, არის ადამიანი, რომელიც სამსახურს შეუდგა და მისი დათხოვნაც შეიძლება.

> არათუ სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიების, არამედ, საერთოდ განსხვავებული რელიგიის ადამიანები ერთმანეთს არ მტრობენ, თუ მათი რწმენა ძლიერია.



## აფიშა

### თეატრები

**თეატრალური სარდაფი**
მაიკლ ფრეინი
"ხმაური სცენის მიღმა"
რეჟისორი: ოთარ ეგაძე
დას: 20.00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
გურამ დოჩანაშვილი
ფიროსმანი
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

### კინოთეატრები

**რუსთაველი**
ქრისტეს ვნებანი
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
მონსტრი
დას: 15:00; 17:30 სთ.

მომხიბლავი პოლი
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ.

### გამოფენა

**კოპალა**
გიორგი ხუციშვილის ნამუშევრების გამოფენა
გახსნა: 17 საათზე

**თბილისის გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანელი ფოტოხელოვანის ახიმ რიხერსისა
და სტუდენტების ნამუშევრების ერთობლივი გამოფენა
გახსნა: 17 საათზე

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
სტუდენტ მხატვართა გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
XIX-XX საუკუნეების ქართველ და უცხოელ მხატვართა
ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა

**"ქარვასლა"**
ქრისტინე რობაქიძის ნამუშევართა პერსონალური
გამოფენა "ევოლუცია"

**"ჰობი"**
ახალგაზრდული შემოქმედებითი სტუდიის გამოფენა

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

## ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ

**სამშაბათს,** 27 აპრილს, 16 საათზე წიგნის 15 საუკეთესო მოთხრობა პრეზენტაცია

წამყვანი - ლაშა ბუღაძე

**ხუთშაბათს,** 29 აპრილს, 17 საათზე ზაალ სამადაშვილის ციკლი ახალი განზომილება, აკაკი ბაქრაძის 8 ტომეულის პირველი ტომის (ბიოგრაფიული რომანები: ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე) პრეზენტაცია.

*მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50*

### საბა

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია საბას 2004 წლის ლაურეატების დაჯილდოება გაიმართება ფუნიკულიორზე, 27 აპრილს, საღამოს 7 საათზე. დასწრება თავისუფალია. ავტობუსები ფუნიკულიორზე საჯარო ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიიდან გავა 6 საათზე.

## ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ
*ოზურგეთიდან*

ოზურგეთში დამთავრდა ვიდეოფილმების ფესტივალი გურიის გაზაფხული - 2004, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სააქციო საზოგადოება ქართული ფილმის გურია-იმერეთის სამმართველო, განათლების გურიის საოლქო სამმართველო, ინტელექტკავშირი ერუდიტი და შპს ოზურგეთის კინოთეატრი.

ფესტივალში მონაწილე გურიის რაიონების ცალკეული საშუალო სკოლების, კოლეჯებისა და უმაღლესი სასწავლებლების კინომოყვარულებმა 11 დოკუმენტური და 6 მხატვრული ფილმი წარუდგინეს ჟიურის. დოკუმენტურ ფილმებში საუკეთესოდ იქნა მიჩნეული ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირთან არსებული კინოდოკუმენტალისტთა კლუბის ფილმი და სხვას არა ჰგავს ჩემი ქალაქი, ხოლო მხატვრულ ფილმებში გრან-პრი გაინაწილეს: ოზურგეთის მე-5 საშუალო სკოლის მოსწავლეთა ფილმმა სამი ამბავი და ოზურგეთის ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტთა ფილმმა თეთრი მთები, ანუ აუხდენელი ოცნება. სპეციალური პრიზებით აღინიშნა საუკეთესო სცენარის ავტორის, რეჟისორისა და ოპერატორის ნომინაციები.

ფესტივალზე წარმოდგენილი ყველა ფილმი ნაჩვენები იქნა ადგილობრივი ტელეკომპანიების მიერ.

## ᲮᲐᲢᲕᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲢᲐᲚᲝᲒᲘ

თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი დედაქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხატვის მასწავლებელთა მიერ შექმნილ ექსპონატებს მასპინძლობს. წარმოდგენილია ფერწერული, გრაფიკული, ჭედური, გობელენისა და ბატიკის ნამუშევრები. მალე ხატვის მასწავლებელთა ნამუშევრების სპეციალური კატალოგი გამოიცემა.

*მედია-ნიუსი*

# ᲘᲛᲘᲯᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲚᲐᲓ

## საბიბლიოთეკო კვირეული თბილისში

*მომსახურების განვითარება 21-ე საუკუნის მსოფლიო ტენდენციებისა და საქართველოს მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად; ბიბლიოთეკების, როგორც ცოდნის, საინფორმაციო, სამოქალაქო განათლების, კულტურის, დასვენების ცენტრებად ჩამოყალიბება; ფონდებში დავანებული საგანძურის შეუფერხებლად მიტანა ფართო საზოგადოებამდე; ბიბლიოთეკების დაფინანსების გაზრდა, მეცენატობისა და სპონსორობის ინსტიტუტის შექმნა; საბიბლიოთეკო საზოგადოების ერთიანობის განმტკიცება, - ასეთია თბილისში მიმდინარე საბიბლიოთეკო კვირეულის ძირითადი მიზნები. მათ მისაღწევად ერთი კვირის განმავლობაში თბილისში გაიმართება კონფერენციები, გამოფენები, შეხვედრები მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, ასევე - სემინარები და დისკუსიები.*

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

თბილისში ტრადიციადქცეულ კვირეულს ორგანიზატორობენ: საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია, ინფორმაციის სპეციალისტთა ასოციაცია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ტურიზმის მუშაკთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი. კვირეულის ფარგლებში, ბიბლიოთეკარები ერთმანეთს გაუზიარებენ საერთო პრობლემებსა და იმსჯელებენ მნიშვნელოვან პროფესიულ საკითხებზე. ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ასეთი გზა ამ პრობლემებისგან გათავისუფლების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. პრობლემები რომ ქართულ ბიბლიოთეკებში მრავლად დაგროვდა, ამაზე, ალბათ, წერაც ზედმეტია. რადგანაც, წერა იმაზე, რასაც ფუნქცია დაკარგული აქვს, არაფრის მომცემია. საინტერესო ის არის, რომ დაწყებულია მუშაობა არამარტო ფუნქციის დაბრუნებაზე, არამედ თვითგანვითარებაზეც. ამაზე მეტყველებს თავად საბიბლიოთეკო კვირეულის ორგანიზებაცა და საბიბლიოთეკო რეორგანიზაციის სახით დაწყებული ცალკეული პროექტები.

ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა პროექტი "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის (eIFL), რომელიც 1999 წელს ღია საზოგადოების ინსტიტუტმა ("სოროსის ფონდი") დაიწყო; პროექტის მართვა 2001 წლიდან საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმს გადაეცა. პროექტის დახმარებით, საქართველოს ნებისმიერ ბიბლიოთეკასა და საინფორმაციო ცენტრს ეძლევა საშუალება, მიიღოს ინფორმაცია მსოფლიოს ყველაზე ცნობილი და მნიშვნელოვანი საინფორმაციო წყაროებიდან: ებსკოს, (EBSCO), ჰაივაიარ პრესის (HighWire Press), ქემბრიჯ იუნივერსითი პრესის (Cambridge University Press), ამერიკის ფიზიკოსთა საზოგადოების (The American Physical Society), ბრიტანეთის ფიზიკის ინსტიტუტის (Institute of Physics Publishing) ელექტრონული საინფორმაციო ბანკიდან. იგულისხმება საკმაოდ მოცულობითი ინფორმაცია, მაგალითად: ებსკოს საინფორმაციო ბანკი ინახავს 7200 ინგლისურენოვან სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონულ ვერსიებს ბიზნესის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების, მედიცინისა და სხვა დარგებში; ასევე, 1200 ინგლისურ და 2000-მდე რუსულენოვან გაზეთს. მის მონაცემთა ბანკში შესულია 1965-2003 წლებში გამოქვეყნებული სტატიების სრული ტექსტები. ჰაივაიარ პრესი მომხმარებელს სთავაზობს პროფესიონალურ სამეცნიერო ჟურნალებს ისეთ დარგებში, როგორებიცაა: მედიცინა, ფსიქოლოგია, ქიმია, ბიოლოგია, ბიოქიმია, ფარმაკოლოგია და ა. შ. იმისათვის, რომ საქართველოს ბიბლიოთეკებისთვის ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდეს, აუცილებელია საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმში გაწევრიანება.



*წიგნი, მკითხველი, ბიბლიოთეკა...*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

იმედია, საბიბლიოთეკო კვირეული ხელს შეუწყობს საქართველოს ბიბლიოთეკებში დაწყებულ თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვას. და ჩვენი ბიბლიოთეკებიც უფრო კომფორტული და კეთილმოწყობილი მომსახურებით მიიზიდავს მომხმარებელს.

# ᲰᲘᲛᲜᲨᲘ ᲞᲝᲔᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲓᲔᲕᲠᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲘᲐ

## დათო მაღრაძის ლექსი ჰიმნის ტექსტისთვის საჭირო მოთხოვნებს აკმაყოფილებდა, - ამბობენ ჟიურის წევრები

ᲕᲔᲠᲐ ᲜᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔ

*სადა, იოლად დასამახსოვრებელი და ცოტათი ამაღლებული, - ალბათ, არც იყო საჭირო კომპეტენტური ადამიანების დაკითხვა, რადგანაც, ისედაც ცხადია, რომ სწორედ ასეთი უნდა იყოს ნებისმიერი ჰიმნის ტექსტი. ჰიმნის თავისებურება (როგორც მუსიკის, ასევე ტექსტის) ხომ ისაა, რომ მასამ უნდა მიიღოს: იყოს ყურისთვის სასიამოვნო და შესასრულებლად იოლი.*

როგორც მოსალოდნელი იყო, გაჩაღდა ცხარე დებატები ჯერ არმიღებული, მაგრამ უალტერნატივო საქართველოს ჰიმნის ტექსტის ავკარგიანობასთან დაკავშირებით. ეს კი მოსალოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც ასეთი მნიშვნელოვანი საკითხები თუ გადაწყვეტილებები ყოველთვის ხდება ხოლმე საზოგადოების განსჯის საგანი. თუმცა, ამ შემთხვევაში ჰიმნის თემის აჟიტირებას რამდენიმე ობიექტური მიზეზი მაინც ჰქონდა.

როგორც ჰიმნის ტექსტის მოწინააღმდეგეები ამბობენ, „გაიპარა შეცდომა“, როდესაც ერთ-ერთი სატელევიზიო სიუჟეტით გაშუქდა პოეტ დათო მაღრაძის ჰიმნის ლექსზე მუშაობის პროცესი. ძნელია ამას შეცდომა უწოდო. ასეთი რამ მხოლოდ „ყრუ-მუნჯების“ საზოგადოებაში შეიძლება დაიგეგმოს. ალბათ, უფრო სავარაუდოა, რომ ეს ყველაფერი - სიუჟეტის გმირად დათო მაღრაძის შერჩევაცა და გამარჯვებული ლექსის ავტორობაც, უბრალოდ, დაემთხვა ერთმანეთს. სხვაგვარად, ეს იქნებოდა უზარმაზარი ტყუილი (და არა მარტო კონკურსში მონაწილე 209 ტექსტის ავტორებისთვის), რომელსაც კონკურსის ორგანიზატორებს არავინ აპატიებდა. **„დაუწერელი კანონია, ჟიურის რაოდენობა კენტი უნდა იყოს, რომ ხმები გაიყოს. მაგრამ, ჩვენ დაახლოებით 200-ზე მეტი ნაწარმოები ვნახეთ და არ ყოფილა შემთხვევა, ხმების გაყოფა გაგვჭირვებოდა. თანაბრად, ან არ მოგვწონდა, ან მოგვწონდა. ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები რომ დგებოდა, მწვრთნელმა თქვა, ბრაზილიაში 80 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ყველას საკუთარი ვარიანტი აქვს ნაკრების შემადგენლობასთან დაკავშირებითო. ასეა საქართველოში. ყველას საკუთარი აზრი უჩნდება - ზოგიერთს ობიექტურად, ზოგიერთს ბოღმის გამო და ა.შ. რას ჰქვია, რომ დათო მაღრაძე უნდა ყოფილიყო აუცილებლად ჰიმნის ტექსტის ავტორი? იქ მოხდა ერთი შეცდომა, როდესაც დათომ სატელევიზიო სიუჟეტში წაიკითხა საკუთარი ლექსიდან ორი ფრაზა. ის სულ სხვა ლექსი იყო. სხვათა შორის, დათოს წაკითხული რომ მახსოვდა და ჟიურის მუშაობისას ასეთი ფრაზა ვერსად ვნახე, გაკვირვებული დავრჩი, რომ არსად ჩანდა დათოს ტექსტი. მერე გაირკვა, რომ ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც ჩვენ მოგვწონდა, თურმე დათოსი იყო. რაც შეეხება მიუკერძოებლობას, მე ვერ დავდგები და დავიწყებ ყვირილს, რომ მე, რეზო სირაძე, მანანა ახმეტელი და ვახუშტი კოტეტიშვილი პატიოსანი ადამიანები ვართ. ან შეიძლება მიუკერძოებლობაზე რაიმე ეჭვის შეტანა? თქვენ თუ ამას აჰყევით საქართველოში... 4 მილიონი ქართველი რაღაცას აუცილებლად იტყვის. არავითარ შემთხვევაში არ მოეთხოვება ჰიმნის ტექსტს, იყოს პოეზიის საუკეთესო ნიმუში. რაც კი ჩემს არეალში მომეპოვება, არც ერთი ჰიმნის ტექსტი არ არის ასეთი. ის ნამდვილად უნდა იყოს სადა, იოლად დასამახსოვრებელი და ცოტათი ამაღლებული. მათ შორის, რაც ჟიურის წევრებს გვქონდა განსახილველად, ყველაზე მეტად დათოს ტექსტი შეესაბამებოდა ამ მოთხოვნებს. როგორ შეიძლება ჰიმნის ტექსტი იყოს მაღალი პოეზიის ნიმუში? პოეტური შედევრის ძიება ჰიმნში აბსურდია“**, - ამბობს ჟიურის წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **რევაზ თვარაძე**.

ჰიმნზე მუშაობისას აუცილებელი პირობაა ტექსტისა და მუსიკის თანხვედრა. სწორედ ამ მნიშვნელოვანი დეტალის გასათვალისწინებლად მიიწვიეს ჟიურის შემადგენლობაში მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე მანანა ახმეტელი. ამას გარდა, გამარჯვებული ტექსტის კორექტირებაზე (მუსიკასთან შესაბამისობის თვალსაზრისით) თავად მუსიკის ავტორმა, კომპოზიტორმა იოსებ კეჭაყმაძემაც იმუშავა. **„ჰიმნზე მუშაობისას მთავარი ამოცანაა, იყოს თანხვედრა მუსიკალურ და პოეტურ ინტონაციებს შორის. რაც ამ ჰიმნში უდავოდ მიღწეულია. დათო მაღრაძის ლექსის უპირატესობა ისაა, რომ ადვილად დასამახსოვრებელია. ჰიმნის ამღერება ლექსიდან იწყება. ამას ხელს უწყობს მისი რვამარცვლიანობა, დაბალი შაირის ფორმა. ეს ყველაფერი კი ჩვენ მიერ მოწონებული ლექსის შექმნისას, ჩანს, გათვალისწინებული იყო. ყველაფერია საიმისოდ, რომ ჰიმნი ხალხმა აიტაცოს და იმღეროს“**, - ამბობს **მანანა ახმეტელი**.

როდესაც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა ჟიურის შედეგები გვაცნობა, აღნიშნა, რომ ორგანიზატორების სურვილი იყო, ჟიურიში მიეწვიათ ცნობილი მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე, რაც, ბატონი ბაჩანას შეუძლოდ ყოფნის გამო, ვერ მოხერხდა. ის კი აღარ დაკონკრეტებულა, რატომ არ მოხდა ჟიურის მეხუთე წევრის ჩანაცვლება. ამით ხომ ორგანიზატორები გარკვეულ ობიექტურ შენიშვნებს თავიდან აიცილებდნენ. იმის მიუხედავად, რომ, როგორც ჟიურის წევრები ამბობენ, შერჩევისას ხმების გაყოფის პრობლემა არ ჰქონიათ. ხომ შეიძლებოდა, გამარჯვებულ ტექსტს ღირსეული მეტოქეც გამოსჩენოდა და, ამ თვალსაზრისით, ჟიურის წევრების ერთსულოვნებას ობიექტური საფრთხე დამუქრებოდა? თუმცა, „გაგვიმართლა“ და ორგანიზატორების დაშვებულ ამ უნებლიე შეცდომას სერიოზული გართულებები არ მოჰყოლია; და იმედია, ეს კონკურსი შემდეგისთვის ერთგვარ გაკვეთილადაც გამოდგება.

# ᲞᲐᲜᲢᲝᲛᲘᲛᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲪ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲡ ᲔᲚᲘᲡ

ᲗᲔᲝᲜᲐ ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

წლების მანძილზე ჩინოვნიკებისადმი მიწერილ ოფიციალურ წერილებზე დადებული რეზოლუციები, - სასწრაფოდ გადაჭერით პანტომიმის სახელმწიფო თეატრის პრობლემაო, - კლასიკური სცენარით ერთი ინსტანციიდან მეორეს გადაეცემოდა. წერილი ყოველთვის ერთი მიმართულებით - ზემოდან (პრეზიდენტიდან) ქვემოთ (რიგით კურატორამდე) მოძრაობდა და მასზე შესაბამისი ხელმოწერები და რეზოლუციები მრავლდებოდა. ცოტა ხანში კი ყველაფერი თავიდან იწყებოდა.

შედეგი კი ისაა, რომ დღეს ნახევრად დანგრეულ მაყურებელთა დარბაზის ქვეშ სახინკლეა გახსნილი; თეატრის მიმდებარე ტერიტორიას (1000 კვ.მ.) კი შპს აისბერგი აკონტროლებს; თეატრს არა აქვს სარეპეტიციო დარბაზი და სველი წერტილები; ირგვლივ ანტისანიტარია იგრძნობა.

ასეთი სურათი ვიხილეთ და ეს ინფორმაცია მივიღეთ დღეს პანტომიმის თეატრში პრესკონფერენციაზე მისულმა ჟურნალისტებმა. თეატრის დირექტორი ბატონი ამირან შალიკაშვილი იმედს ამჯერად ახალ ხელისუფლებაზე ამყარებს, მაგრამ პრესკონფერენციაზე მიწვეული ოფიციოზიდან თეატრის გასაჭირს მხოლოდ მერიის კულტურის საქალაქო სამსახური და ბატონი დავით ოქიტაშვილი გამოეხმაურნენ. ხარჯთაღრიცხვიდან ჩანს, რომ თეატრის მწყობრში ჩადგომას 500 ათასი ლარი სჭირდება, მაგრამ გამორიცხულია, რომ მერიამ ბიუჯეტიდან ამხელა თანხა გაიღოს. ჩვენ შეგვიძლია, მხოლოდ დარბაზი შევაკეთოთ, - აცხადებს დავით ოქიტაშვილი და თეატრს მეცენატისაკენ მიუთითებს. ასეთ მეცენატს კი თბილისი და, განსაკუთრებით, თეატრალური თბილისი კარგად იცნობს. მის სახელს რუსთაველის, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის, რუსული მოზარდმაყურებელთა, თოჯინების თეატრებისა და, როგორც დღეს შევიტყვეთ, გრიბოედოვის თეატრის რეკონსტრუქციაც უკავშირდება. მაშინ რა გახდა პანტომიმის თეატრი, რომელიც, თავისთავად, ისტორიული ძეგლია, დგას ზედ რუსთაველის პროსპექტზე და თითქმის 100 წლის წინათ ამ შენობაში ქართული მოზარდმაყურებელთა თეატრი გაიხსნა? ამ კითხვას ბატონი ამირან შალიკაშვილი, სავარაუდოდ, იმით ხსნის, რომ თეატრის მიმდებარე ტერიტორიები თავის დროზე გაყიდულია და, ალბათ, მეცენატი გარკვეულ გაუგებრობას არიდებს თავს.

თეატრის დასი დღეისათვის შესანიშნავ ფორმაშია: რეპერტუარში შვიდი სპექტაკლია, რომლებიც უკვე იხილა დასავლელმა მაყურებელმა და რომლებსაც კვლავ გასტროლები ელით. 80 მოწაფე კი ამ გაუსაძლის პირობებში მაინც შეუპოვრად ეუფლება პანტომიმის ხელოვნებას. არადა, პანტომიმის მსახიობებზე მოთხოვნები დიდია - ალბათ, დრამის რეჟისორები დიდი სიამოვნებით გამოიყენებენ პედაგოგის პროფესიონალიზმსაც და მოწაფეების პლასტიკასაც; არის მიწვევებიც, მაგრამ დასიც და მისი ხელმძღვანელიც კატეგორიულად მიგვითითებენ, რომ ერთადერთ პანტომიმის თეატრს დამოუკიდებლად არსებობის უფლება აქვს. თეატრი სახელმწიფო დოტაციაზეა, რაც იმას ნიშნავს, რომ წყლის, განათების ფულსა თუ მიზერულ ხელფასებს ქალაქის მერია იხდის. ბატონი ამირან შალიკაშვილი შორსაა იმ აზრისაგან, რომ თეატრმა თავად შეინახოს თავი და კერძო დაფინანსებაზე გადავიდეს. დღეს კვლავ დაიწერა წერილები ქალაქის ახალი მერისა და ახალი პრემიერის სახელებზე; გადაწყდა, რომ ღია წერილი ცნობილ მეცენატსაც გაეგზავნება.



*პანტომიმის თეატრს პრობლემები აქვს*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ევროპის ქვეყნებს ერთმანეთთან ამერიკული კულტურა უფრო აკავშირებს

*„ნიუ იორკ ტაიმსის“ გუშინდელ ნომერში გაზეთის ვეტერანი მიმომხილველის ალან რაიდინგის წერილი გამოქვეყნდა, რომელშიც ერთ საინტერესო ტენდენციაზე იყო ყურადღება გამახვილებული. ავტორის აზრით, ევროპას, რომელსაც გაერთიანების ამბიცია აქვს, სინამდვილეში ამერიკული პოპკულტურა აერთიანებს. მაშინ, როცა ევროპის ქვეყნებმა ერთმანეთის თანამედროვე კულტურული მიღწევების შესახებ მასობრივად არაფერი იციან, მშობლიურივით აქვთ გათავისებული ყოველივე ამერიკული - მუსიკა, ბესტსელერები, ფილმები... რადგანაც „ევროპულ სახლში დაბრუნება“ საქართველოსთვისაც პრიორიტეტული საკითხია, ალბათ, ინტერესმოკლებული არ იქნება, ამერიკულ-ევროპული კულტურების „დიალოგის“ შესახებ ალან რაიდინგის მოსაზრებას გავეცნოთ.*


ბრიტნი სპირსი – ევროპული კულტურის საფრთხე


ლუსიან ფროიდის („დედოფალი“) – აუღიარებელი ევროპული ტალანტი

პარიზი, 22 აპრილი - 1 მაისს ევროკავშირში გასაწევრიანებლად 10 ახალი ქვეყანა ემზადება. რით დაიმსახურეს მათ რეგიონულ ბლოკში გაერთიანება? ჩემი აზრით, ამის მიზეზი არც მათი შთამბეჭდავი ეკონომიკური წონაა და არც პოლიტიკური ტრადიციები. პირიქით, ამ ქვეყნებს ევროკავშირისკენ საერთო კულტურული სახე იზიდავთ; სახე, რომელიც დროთა განმავლობაში ქრისტიანობამ და ხელოვანების მიერ დატოვებულმა მემკვიდრეობამ ჩამოაყალიბა. ანუ, გამოდის, რომ გაფართოებული ევროპის ლიგნვა-ფრანკად დღესაც რჩება შექსპირის, ლეონარდოს, მოცარტისა და წარსულის სხვა ბუმბერაზების ენა.

თუმცა, როდესაც საქმე თანამედროვე ხელოვნებას ეხება, სრულიად სხვა სურათს ვიღებთ. ირკვევა, რომ კავშირის როგორც ძველი, ისე ახალი წევრები გასაოცრად მწირ ინფორმაციას ფლობენ ერთმანეთის თანამედროვე ხელოვნების შესახებ.

მეტიც, მაშინ, როცა ევროპის მასშტაბით შემოქმედებითი ცხოვრება დუღს, რეგიონის კულტურულ დამაკავშირებელ ძაფად ამერიკული პოპკულტურა გვევლინება - უფრო ზუსტად კი, ის ერთგულება და ინტერესი, როგორც ევროპელები ამერიკულ ფილმებს, ტელევიზიასა და მუსიკას ეკიდებიან.

ევროპას, რომელიც „არნახულად მჭიდრო კავშირის“ ამბიციით შეჰყურებს მომავალს, და სადაც ათზე მეტ ქვეყანას ერთი ვალუტა აერთიანებს, როგორც ჩანს, მოვლენების სინქრონიზმიდან კულტურა გამორჩა. ახალ სპექტაკლებში, ლიტერატურაში, ფილმებში, პოპმუსიკაში, სახვით ხელოვნებაში დომინანტური სულისკვეთება ყოველთვის ნაციონალურია და ეს მაშინ, როცა ევროპელები საოცარი სიხშირით სტუმრობენ ერთმანეთის ქალაქებს თუ პლაჟებს.

თუმცა, ისმის კითხვა - თამაშობს კი მნიშვნელოვან როლს მსგავსი ლაფსუსები საერთო პროცესში? თუ ევროპული კულტურისთვის ისიც კმარა, რომ ის სავსეა იტალიური რენესანსის შედევრებით, ესპანური ოქროს ხანით, ფრანგული იმპრესიონიზმით, კომპოზიტორებით ბახიდან - იანაჩეკამდე; სერვანტესის, გოეთეს, ვოლტერის დონის მწერლებით; ერასმუსის, ლოკის და ჰეგელის მსგავსი მოაზროვნეებით? თუ ის გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავიანთ ეპოქებშიც ამ „მძიმეწონიან“ ფიგურებს მხოლოდ ელიტური აუდიტორია ჰყავდათ და არა მასობრივი?

ის, რასაც კულტურის „მასიფიკაციას“ ვეძახით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიწყო. ევროპული ქვეყნების რეაქცია ამ ტენდენციაზე ის იყო, რომ მათ საკუთარი ეროვნული და რეგიონული თვისებების გაძლიერება-წარმოჩენა დაიწყეს - საკუთარი ენების, ფოლკლორული ტრადიციების და სამზარეულოს დაცვას მიჰყვეს ხელი.

მაგრამ, როდესაც, ალტერნატივის სახით, გაჩნდა ამერიკული სტილის გართობა, ევროპელებმა ერთმანეთის ხელოვნებისადმი ინტერესი კიდევ უფრო დაკარგეს.

შესაძლოა, ამის მიზეზი ინფორმაციის ნაკლებობა იყოს: ევროპული გაზეთები ხომ თავიანთი მეზობლების კულტურულ ახალ ამბებს სრულყოფილად არ აშუქებენ. თითქმის, იგივე სიტუაციაა ტელევიზიაშიც, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ფრანგულ-გერმანულ „არტეს“. თუმცა, რაც უნდა იყოს მიზეზი, ფაქტია, რომ შემოქმედებითი ინიციატივები ევროპული ქვეყნების საზღვრებს კი კვეთს, მაგრამ მაინც ძლივს აღწევს საზოგადოების უმცირესობამდე.

თუ ამ პრობლემას კინემატოგრაფის კუთხით განვიხილავთ, მაშინ ევროპელმა ხელოვანებმა მშვენივრად იციან, ვისკენ გაიშვირონ თითი - ჰოლივუდო, ყველაფერში დამნაშავე შენ ხარ! ამ ბრალდებას, ცხადია, საფუძველიც აქვს - კინოფილმით „დაავადებულთა“ ქვეყნების (მაგალითად, იტალია, გერმანია) კინოსალაროებშიც კი ამერიკული ფილმები ადგილობრივ ნაწარმს მხოლოდ 15-პროცენტიან ნიშას უტოვებენ. საფრანგეთი კი, თავის მხრივ, ჰოლივუდს იმ მსუყე სამთავრობო სუბსიდიებისა და სხვა პრივილეგიების გასამართლებლად იყენებს, რომლებიც ფრანგულ კინოინდუსტრიას საშუალებას აძლევს, ლოკალური ბაზრის ერთი მესამედი აკონტროლოს.

და მაინც, ფელინის, ბერგმანისა და ტრიუფოს ეპოქიდან 30 წლის თავზე ევროპელები სულ უფრო იშვიათად ესწრაფვიან ერთმანეთის ფილმების ნახვას. მაგალითად, 2002 წელს (არ დაგავიწყდეთ, რომ ეს ერთ-ერთი საუკეთესო პერიოდი იყო ფრანგული კინოსთვის) კინო-თეატრების სალაროების შემოსავლებიდან 50 პროცენტი ამერიკულ ფილმებს ეკუთვნოდა, 35 პროცენტი - ფრანგულს, მხოლოდ 4.9 პროცენტი - ბრიტანულს, 0.8 პროცენტი - გერმანულს და 0.2 პროცენტი - იტალიურს.

შარშან ესპანეთში ჰოლივუდს კინობაზრის 67 პროცენტი ეკავა, ესპანურს - 15.8 პროცენტი, ბრიტანეთს - 5.7 პროცენტი, საფრანგეთს - 2.6 პროცენტი და გერმანიას - მხოლოდ 1.2 პროცენტი.

იმაზე ლაპარაკი, რომ ევროპის თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები მეინსტრიმში ვერ ხვდება, ევროპული ფესტივალების მდგომარეობასაც გვახსენებს; ვგულისხმობთ არა მხოლოდ კანის, ვენეციისა და ბერლინის კინო-ზეიმებს, არამედ ცეკვის და მუსიკის ურიცხვ ფესტივალსაც. მაგალითად, ზაფხულის თეატრალური ფესტივალები ედინბურგსა და ავინიონში. იქაც მთელი ევროპაა ხოლმე წარმოდგენილი, მაგრამ კომერციულ წარმატებას უცხოური ნამუშევრები იშვიათად აღწევენ. 1996 წელს იასმინა რეზას „არტი“ გახლდათ ცოცხალი ფრანგი მწერლის პირველი პიესა, რომელიც მთელი 40-წლიანი ინტერვალის შემდეგ ლონდონის უესტ-ენდში დაიდგა.

პრობლემის გამოსწორებაზე და თავიანთი კულტურების პოპულარიზაციაზე ბრიტანეთის საბჭო, საფრანგეთის ხელოვანთა ფრანგული ასოციაცია, გერმანიის გოეთეს ინსტიტუტი და ესპანეთის სერვანტესის ინსტიტუტი ზრუნავენ. შესაბამისად, ევროპული საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუშები დროდადრო ჩნდება ლონდონის ბარბიკანის სცენაზე, ბელემის კულტურულ ცენტრში, ლისაბონში, პარიზის ოდეონის ნაციონალურ თეატრში. თუმცა, როგორც ჩანს, ეს ყველაფერი საკმარისი არ არის. ევროპული კულტურით დაინტერესებული ევროპელები კვლავაც უმცირესობაში რჩებიან.

იგივე პრობლემა დგას სახვით ხელოვნებაშიც. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული მუზეუმები მუდამ ხალხითაა სავსე, ბევრს მაინც გაუჭირდება დიდი ცოცხალი ფრანგი მხატვრის დასახელება (კრისტიან ბოლტანსკი) ან - ესპანელის (ანტონი ტაპიესი, მიგელ ბარსელო) ან - გერმანელის (ზიგმარ პოლკე, გეორგ ბაზელიცი, ანსელმ კიფერი.). თვით ლუსიენ ფროიდსაც კი, რომელსაც ბრიტანეთის უდიდეს თანამედროვე მხატვრად თვლიან, თანაკონტინენტელების მხოლოდ მცირე პროცენტი თუ იცნობს.

ალბათ, ისევ ცნობილი კოლექციონერის ჩარლზ საათჩის ჭკვიანური მარკეტინგის დამსახურებაა ის, რომ ბრიტანეთში სმენიათ მაინც ე.წ. Y.B.A-ის (ახალგაზრდა ბრიტანელი ხელოვანების) შესახებ. თუმცა, იგივე ბრიტანეთშიც დემიენ ჰირსტს - თავისი გაფატრული ვეშაპითა და ტრეისი ემინს - თავისი არეული ლოგინით უფრო Enfant Terrible-ად იცნობენ, ვიდრე - ნამდვილ შემოქმედებად.

რაც შეეხება წიგნებს კვლავინდებურად ყველგან შეხვდებით „ჰარი პოტერს“. მაგრამ, ევროპულ ქვეყნებში ბესტსელერთა სიებში მაინც ადგილობრივი, ასე ვთქვათ, „ნაციონალური“ ავტორების ჭარბობენ - საფრანგეთში ფრანგები, იტალიაში იტალიელები... სრულიად ევროპული მკითხველი მხოლოდ რამდენიმე ავტორს ჰყავს - იტალიიდან უმბერტო ეკოს და გერმანიიდან - გიუნტერ გრასს. ბოლო ხანს კი მათ ესპანელი კარლოს რუის ზაფონიც შეემატა, რომლის „ქარის ჩრდილიც“ მალე ინგლისურ ენაზე გამოვა.

წიგნების სფეროშიც ეროვნული ავტორების შემდეგ მეორე ადგილზე ისევ ამერიკელი მწერლები დგანან. ამ დროისთვის პოპულარული ბესტსელერია დენ ბრაუნის „და ვინჩის კოდი“, ასევე - მაიკლ მური, ჯონ გრიშემი და პატრისია კორნველი.

რაც ყველაზე საოცარია, ამერიკული „ჟღერადობით“ ჩამოყალიბებული ევროპული პოპ-მუსიკაც კი იშვიათად კვეთს რეგიონის საზღვრებს. მართალია, „როლინგ სტოუნზის“ ხსენებაზე სტადიონები ევროპის ყველა ქალაქში პირთამდე ივსება, მაგრამ დანარჩენი ევროპული როკ-ჯგუფები ამას თავიანთი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ვერასდროს აღწევენ. როკვარსკვლავის, ჯონი ჰალიდეის მიმართ ფრანგების გაუხუნარი სიყვარული კი ბევრ სხვა ევროპელს ანცვიფრებს.

დაბოლოს, კვლავაც გავიმეოროთ თავში დასმული კითხვა - აქვს თუ არა გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ „განცალკევებას“ საყოველთაო და მჭიდრო ევროპული კავშირის შექმნის პროცესში? სავარაუდოდ, ეს ფენომენი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ ევროპელები ჯერაც აფასებენ და ესწრაფვიან კულტურული მრავალფეროვნების ტენდენციას.

თუმცა, ერთიც არის, თუ ისინი კვლავაც მდიდარი ევროპული წარსულის „ჩრდილში“ დარჩებიან და ერმანეთის თანამედროვე მიღწევებს უგულებელყოფენ, ალბათ, საამისოდ საფასურის გადახდაც მოუწევთ - თუ „არნახულად მჭიდრო ევროპული კავშირი“ კულტურაზეც არ გავრცელდება, პოპულარული გემოვნება სულ უფრო მეტად გახდება ამერიკული.

# ”ხელოვნება უიერარქიოდ”

## პოლონური პლაკატი თბილისში

თამარ ბაბუაძე

თბილისის სამხატვრო აკადემიაში ბევრი გამოფენა გახსნილა, მაგრამ იშვიათად ისეთი დიდი სტუმრის მიერ, როგორც გუშინ. „რუსული არც ჩემი მშობლიური ენაა და არც თქვენი, მაგრამ ამ ენაზე დღეს ჩვენ ყველაზე თავისუფლად ვისაუბრებთ. ამიტომ რუსულად მოგახსენებთ, გამოფენას გახსნილად ვაცხადებ“ - გუშინ ეს სიტყვები პოლონური პლაკატების ორდღიანი გამოფენის ლენტის გაჭრაზე ცნობილმა რეჟისორმა ქშიშტოფ ძანუსიმ წარმოთქვა. ღონისძიების ორგანიზება აკადემიის რექტორის იდეა იყო, თეატრისა და კინოს დიდი პოლონელი რეჟისორის მოწვევა კი უკვე პოლონეთის საელჩომ ითავა.

გამოფენას ორგანიზატორებმა „ხელოვნება ხელოვნებაში: ფილმის, თეატრისა და ოპერის პოლონური პლაკატები“ უწოდეს და გუშინ, ძველი თუ ახალი პოლონური ნამუშევრების დათვალიერებისას, არც დამსწრეთაგან შეჰპარვია ვინმეს ეჭვი, რომ პლაკატი, მართლაც, ხელოვნებაა - ფერწერის, გრაფიკისა და ფოტოს სინთეზი. პუბლიკამ ის ცნობაც გაუსაჩივრებელ ფაქტად მიიღო, რომ პოლონეთს პლაკატის ხელოვნების ყველაზე გამოცდილი და დიდი სკოლა აქვს.

და მართლაც, როგორც „რივერდენსი“ ირლანდიისთვის, ანდა იმპრესიონისტები ფრანგებისთვის, პლაკატიც პოლონეთისთვის ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ექსპორტია, რომელსაც ზურგს ათწლეულების განმავლობაში მოპოვებული სახელი უმაგრებს. ეს ის არის, რითაც პოლონელები ამაყობენ; რასაც მათ მსოფლიოში პირველი მუზეუმი მიუძღვნეს (1968 წ., ვარშავა) და პირველი საერთაშორისო ბიენალე გაუმართეს. ეს ის არის, რაც ქშიშტოფ ძანუსის ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების თანმხლებ ყველაზე ლაკონურ, მახვილგონივრულ, ინტელექტუალურ და ესთეტიკურ თანამგზავრად მიაჩნია...

ნამუშევრები, რომელთა დათვალიერების შანსი აკადემიის დარბაზში გაქვთ, პოლონური პლაკატის შეძლებისდაგვარად ყველა დიდ სახელს მოიცავს. პოლონური პლაკატის სკოლის დამფუძნებლიდან - ჰენრიკ ტომაშევსკიდან მის მოწაფეებამდე და მიმდევრებამდე.

წარმოდგენილი პლაკატების უმრავლესობა თეატრის, ოპერისა და კინოს კონკრეტულ ნიმუშებზეა შექმნილი:

მარლოუს „ედვარდ მეორე“ თეატრის სცენაზე - ოღონდ ისეთი, როგორსაც მას ტომაშევსკი ხედავს;

იან ლენიცას ფანტაზიაში „გატარებული“ ვაგნერის „პარსიფალი“ (ლენიცამ შემოიღო ტერმინი პოლონური პლაკატის სკოლა);

ვარშავაში სიუზენ სონტაგის მიხედვით დადგმული პიესა Death Kit და მისი ვიესლავ როსინასეული ვარიანტი;

ვალდემარ სვიერჟის ბილი ჰოლიდეი (სხვათა შორის, ჯაზის და ზოგადად მუსიკის მოყვარულებმა ეს სახელი და გვარი აუცილებლად მოიძიეთ ინტერნეტში. სვიერჟის ჯაზის დიდოსტატების მთელი სერია აქვს დიუკ ელინგტონიდან მაილს დევისის ჩათვლით, მასთან ხშირად შეხვდებით „ბითლზსაც“).

ვიესლავ ვალკუსკი და მისი შექსპირი - „მეფე ლირი“, „იულიუს კეისარი“, „რომეო და ჯულიეტა“, მეტად შთამბეჭდავი პლაკატი შექსპირის სონეტების რეციტალისთვის. ვალკუსკისვე „ვერთერი“, „იდიოტი“ და „კალიგულა“.

თუმცა, ნუ შეშინდებით, ვალკუსკის იგივე „კალიგულას“ ავტორობა საგანგებოდ მივაწერეთ, რადგან მისი პლაკატები (ისევე, როგორც ყველა სხვა) მართლაც არის ხელოვნების კონკრეტული ნიმუშის შთაგონებით შექმნილი, თუ დამოუკიდებელი არა, მაინც სრულიად ორიგინალური და უნიკალური ნიმუშები. - ანუ, როგორც გამოფენის სახელწოდება გვეუბნება - ეს, მართლაც, ხელოვნებაა ხელოვნებაში.


პოლონური პლაკატები აკადემიაში

მისი განვითარების და გავრცელების აუცილებლობას კი, კიდევ უფრო მწვავედ იგრძნობთ, თუ აკადემიაში წარმოდგენილ ნამუშევრებს ჰოლივუდის კონვეირში გამოშვებული ფილმების სარეკლამო პლაკატებს შეადარებთ - მაღალი პოლიგრაფიული ხარისხის, მაგრამ ხელოვნებისგან რადიკალურად შორს მდგარ ნამუშევრებს. ქშიშტოფ ძანუსი ყველაზე უფრო ემოციურად სწორედ მათ შესახებ საუბრობს. „პლაკატი მახვილგონივრული, ინტელექტუალური, საინტერესო და სასიამოვნო სანახავი უნდა იყოს. და ძალიან ვბრაზდები ხოლმე, როცა პოსტერებში ბანალურობას ვხედავ; როცა სულელური, კომერციული მიზნების გამო, პოსტერებით სექსსა და ძალადობას ჰყიდიან და არა - ხელოვნებას“, - ჰყვება ის.

თბილისში გახსნილ გამოფენაზე არ არის წარმოდგენილი ძანუსის ფილმების პლაკატები, თუმცა, არიან ავტორები, რომლებიც მის ფილმებზე მუშაობდნენ. თვითონ რეჟისორი მათგან ფრანჩიშეკ სტაროვიეისკის იხსენებს - სიურეალისტური იმიჯებით სავსე პლაკატების ავტორს, რომელიც დრამისა და ტრაგედიის აღქმის გასამძაფრებლად ხშირად თავისი პერსონაჟების გარეგნობას მიზანმიმართულად ამახინჯებდა.

ერთი სიტყვით, ცალ მხარეს დგას ხელოვნების ნიმუში პლაკატები და მეორე მხარეს - მდარე ხარისხის პლაკატები, რომელთაც ჩვენი მასობრივი ცნობიერება ლამისაა, წალეკონ. ამ ფონზე შეიძლება, ეჭვიც კი გაჩნდეს, არის კი პლაკატი ნამდვილი ხელოვნება? თუ ძანუსის კითხვას ასე დავუსვამთ - თქვენ, როგორც თეატრისა და კინოს რეჟისორი, განიხილავთ, თუ არა პლაკატს იმავე რანგის ხელოვნებად, როგორიც ვთქვათ, კინოა, ძანუსი გიპასუხებთ: „როდესაც ხელოვნებაზე ვსაუბრობთ, არ მიყვარს იერარქიების გაკეთება, მაგრამ ფაქტია, რომ პლაკატის ხელოვნება თანამედროვე ქალაქების ცხოვრებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ადამიანებს სურთ, რომ პლაკატი მათი კულტურული გარემოს ნაწილი იყოს, რადგან მხოლოდ არქიტექტურა ამ გარემოს ვიზუალურად ვერ გვილამაზებს. ჩვენ გვსურს, ფერწერა და გრაფიკული მხატვრობა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი იყოს. ამ სივრცეს ყოველდღიური დოზებით კი, სწორედ პლაკატი გვივსებს. რაც მთავარია, ხელოვნების ამ ფორმას მომავალი აქვს. მას ვერც ციფრული ფოტოგრაფია უქმნის საფრთხეს და ვერც სხვა თანამედროვე სიკეთეები - პლაკატი იცოცხლებს და მათ ისევ სათავისოდ გამოიყენებს“.

ასე რომ, ალბათ, დროა, სექსითა და ძალადობით მოვაჭრე სარეკლამო პლაკატები, როგორმე იმ ინტელექტუალური და დიდი შემოქმედებითი მუხტით შექმნილი ნამუშევრებით შევცვალოთ, როგორების მაგალითსაც, ისევ და ისევ, პოლონური სკოლა გვაძლევს. მით უფრო, რომ იყო დრო, პოლონელები „უოლ სტრიტსაც“ უკეთებდნენ მსგავს სარეკლამო დაფებს, „კაბარესაც“, „შუაღამის კოვბოისაც“ და იგივე „კინგ კონგსაც“.

მანამდე კი, პოლონეთის საელჩო და სამხატვრო აკადემია კიდევ ერთ საინტერესო პროექტს გეგმავენ. ოქტომბერში თბილისს ეწვევა და მასტერკლასს გამართავს პლაკატების ცნობილი ავტორი რაფალ ოლბინსკი. და, როგორც გია ბულაძე ამბობს, ეს, მართლაც, ახალი გზის დასაწყისია, სადაც, სასიამოვნოა, რომ, ჩვენთან ერთად, ქშიშტოფ ძანუსიც იდგა.

მოკლედ

# სანდერსი კრივიდან მიდის



კორი სანდერსი: „ჩემი საქმე წასულია"

კორი სანდერსი, რომელიც შაბათს, WBC-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლაში ვიტალი კლიჩკოს წინააღმდეგ დამარცხდა, მიიჩნევს, რომ მისი საკრივო კარიერა დასრულდა. „ვფიქრობ, ჩემი საქმე წასულია. მგონი კარიერის დასრულების აუცილებლობის წინაშე ვდგავარ. ჩემი მთავარი პრობლემა ჩემი ასაკია - მალე 39 წლის გავხდები. კრივიდან დროულად უნდა წავიდე და ვფიქრობ, რომ ჩემი დროც მოვიდა," - განაცხადა სანდერსმა, რომელმაც კლიჩკოს წინააღმდეგ ბრძოლაში ცხვირი გაიტეხა.

მიუხედავად კრივიდან წასვლის სურვილისა, სანდერსი მაინც ინარჩუნებს იმის იმედს, რომ კლიჩკოსთან რევანშის საშუალება მიეცემა. მისი განცხადებით, ის კვლავაც გავა რინგზე, თუ კლიჩკოს წინააღმდეგ ბრძოლის უფლებას მისცემენ. „ვიტალი ბევრად უფრო ჭკვიანი მოკრივეა, ვიდრე ვლადიმირი. სულაც არ მრცხვენია, რომ მის წინააღმდეგ დავმარცხდი. უბრალოდ, მე არ მომეცა მისთვის ჩემი საფირმო დარტყმის მიყენების საშუალება. ადამიანები ამბობენ, რომ ლომივით ვიბრძოდი. ძალიან ვამაყობ, რომ კლიჩკოს ბოლომდე არ დავნებდი. მან ვერ მოახერხა ჩემი დაგდება და ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს," - ამბობს სანდერსი.

სანდერსის მენეჯერმა ვერნონ სმიტმა განაცხადა, რომ კლიჩკოსთან შეხვედრამდე სამი კვირით ადრე, კორიმ ზურგის ტრავმა მიიღო, რომლის გამოც ბრძოლის გადადებაზეც კი იყო საუბარი. სმიტის თქმით, ამ ტრავმამ მეტად უარყოფითი გავლენა იქონია სანდერსის მზადების პროცესზე. მენეჯერი აცხადებს, რომ ზურგის ტრავმა კლიჩკოსთან დამარცხების მნიშვნელოვანი მიზეზიც იყო.

# მარადონა და კუბა განუყრელები არიან

როგორც ჩანს, დიეგო მარადონას მთავარ ნავსაყუდელად კვლავინდებურად კუბა რჩება. არგენტინის საინფორმაციო წყაროები იუწყებიან, რომ გასულ შაბათს, ბუენოს-აირესში სამი კუბელი ექიმი ჩაფრინდა, რომლებიც ჯერ კიდევ 2000 წელს მკურნალობდნენ მარადონას.

პრესის ინფორმაციით, კუბელი ექიმები თავიანთ არგენტინელ კოლეგებთან ერთად აპირებენ მარადონას მკურნალობას. ყოფილი ფეხბურთელის ჯამრთელობის მდგომარეობის გამოსწორების შემთხვევაში, კუბელები აპირებენ, რომ მარადონა ჰავანაში გადაიყვანონ და იქ გააგრძელონ მკურნალობის კურსი.

2000 წელს მარადონა ურუგვაიში იმყოფებოდა დასასვენებლად, როდესაც რეანიმაციაში ამოჰყო თავი. ექიმებმა მას ჰიპერტონიური კრიზი დაუდგინეს. აღმოჩნდა, რომ გულის შეტევა კოკაინის გადამეტებული დოზის მიღებას მოჰყვა.

2000 წლის 8 იანვარს, მარადონა ფიდელ კასტროს პირადი მიწვევით გაემგზავრა კუბაში, სადაც ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულებისგან განსაკურნავად სარეაბილიტაციო კურსი გაიარა. კუბის ნაცვლად, მაშინ მას აშშ-ში და კანადაშიც შეეძლო მკურნალობა, თუმცა ფიდელ კასტროს ქვეყანა აირჩია.

მას შემდეგ მარადონა კუბაში დასახლდა და დღემდე იქ ცხოვრობს. ერთი თვის წინათ, ის არგენტინაში დაბრუნდა ოჯახის წევრებისა და ახლობლების მოსანახულებლად. შემდეგ კი ყველასთვის კარგად ცნობილი ამბავი დაემართა და ისევ საავადმყოფოში ამოჰყო თავი. ამჟამად 43 წლის მარადონას, ალბათ, ისევ კუბაში მოუწევს დაბრუნება.



მარადონა „თავისუფლების კუნძულზე" აფარებს თავს

ფეხბურთი

# "ტრაპის" სიურპრიზები



რობერტო ბაჯო ბრუნდება

იტალიის ნაკრების მწვრთნელი ესპანეთის ნაკრებთან თამაშს აფასებს, როგორც მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს, ამიტომ სარეზერვო ფეხბურთელებსაც თავის გამოჩენის შანსს აძლევს.

ტრაპატონიმ ამ ჯერზე შეკრებაზე არ გამოიძახა ნესტა, ინძაგი და დელ პიერო. მან იცის, როგორ გააოცოს მეტოქე. შემადგენლობის შერჩევისას ის სპეციალისტებს პრაქტიკულად შანსს არ უტოვებს გამოიცნონ, თუ ვის წაიყვანს იტალიელი მწვრთნელი ევროპის ჩემპიონატზე. ამან პორტუგალიასთან მატჩში შედეგი გამოიღო. ფაბრიციო მიკოლიმ, რომელიც არ არის „სკუადრა აძურას" ძირითადი შემადგენლობის ფორვარდი, პორტუგალიელთა კარში გადამწყვეტი გოლი გაიტანა. არც სხვა ახალ სახეებს გაუფუჭებიათ თამაში.

...მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დაწყებამდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება და ტრაპატონიმ უკვე შემადგენლობის დასახელებაზე უნდა იფიქროს. თუმცა, „ტრაპი" ასე არ ფიქრობს და კიდევ ერთხელ აოცებს საფეხბურთო საზოგადოებას, როცა ესპანეთის ნაკრებთან შეხვედრისთვის შემადგენლობას ასახელებს. მატჩი ხვალ გენუაში გაიმართება.

„ტრაპის" სიურპრიზი მეკარის პოზიციიდანვე დაიწყო. იტალიის ნაკრებში პირველობას ჯანლუიჯი ბუფონს, ალბათ, ვერავინ შეეცილება. აი მეორე მეკარის პოზიცია კი ჯერჯერობით ვაკანტურია. ეს, ბოლო დროს, „ინტერის" მეკარის ფრანჩესკო ტოლდოს არასტაბილურმა თამაშმა განაპირობა, რომელმაც ამ ცოტა ხნის წინათ მოიშუშა ტრავმა. ამიტომ ტრაპატონიმ ესპანელებთან მატჩზე რომის „ლაციოს" გოლკიპერი ანჯელო პერუცი გამოიძახა. რბილად რომ ვთქვათ, ეს გადაწყვეტილება საოცარია. პერუციმ ბოლოს იტალიის ნაკრების ღირსება 1999 წლის 31 მარტს დაიცვა. მაშინ იტალიელებმა ვერ მოუგეს ბელორუსებს - 1:1.

თავად პერუციმ განაცხადა, რომ უაღრესად ბედნიერია, მაგრამ ილუზიებს არ აწყობს და კარგად მოეხსენება, რომ ის ნაკრების ღირსებას მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში დაიცავს.

ამ უიქ-ენდის უმთავრესი მოვლენა კი, რასაკვირველია, რობერტო ბაჯოს გამოძახებაა. ტრაპატონი დიდხანს არ უსმენდა გულშემატკივრებს და ბაჯოს გამოძახებისგან თავს იკავებდა, მაგრამ მან პოზიცია შეიცვალა. ალბათ, „ტრაპის" პოზიციის შეცვლა ბაჯოს განცხადებამ გამოიწვია, რომელმაც აღნიშნა, რომ მიმდინარე სეზონის ბოლოს საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს. თუმცა, ბაჯო ყოველთვის სიურპრიზია და არავინ უწყის, როდის გამოაცხობს ლეგენდარული ფეხბურთელი დიდ მატჩს და დამშვიდობების ნაცვლად თავის გუნდს ხელს ჩამოართმევს.

ესპანელთა წინააღმდეგ ნამდვილად არ ითამაშებს ხუთი ფეხბურთელი, რომლებმაც პორტუგალიაში მოსინჯეს ძალები. პანკარო, ადანი, გატუზო, კამორანეზი და ტოტი. ამათ გარდა, გუნდში არ იქნებიან ნესტა და კასანო, მაგრამ ტრაპატონის უზარმაზარი არჩევანი აქვს. ამ ფეხბურთელთა გარდა შეიძლება ალესანდრო დელ პიერო და ფილიპო ინძაგი გავიხსენოთ. თუმცა, ესპანელებთან შეხვედრაში არც ისინი ითამაშებენ.

სამაგიეროდ „ტრაპიმ" შეიგულა 9 ფეხბურთელი, რომლებსაც ბოლო ამხანაგურ მატჩში მონაწილეობა არ მიუღიათ. პერუცისა და ბაჯოს გარდა შანსი აქვთ - ამბროზინის, დიანას, დი ვაიოს. დიანასთვის ნაკრებში გამოძახება სადებიუტოა. კიდევ ოთხი ფეხბურთელი, რომელმაც გამოძახება მიიღო, თამამად შეგვიძლია იმათ სიაში ჩავწეროთ, ვინც პორტუგალიაში გაემგზავრება - კანავარო, ლეგროტალიე, ძამბროტა და მატერაცი. აღსანიშნავია, რომ შემადგენლობაში მოხვდა კრისტიან ვიერი, რომელსაც ცუდი ურთიერთობა აქვს თავისი კლუბის, „ინტერის" მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან და კლუბში თამაშის რეგულარული პრაქტიკა აკლია. ამის მიუხედავად, „ტრაპიმ" „ბობოს" ნაკრებში უხმო.

# ბექჰემის მალაიზიური საქმე

## „ბარსელონასთან" მატჩის დროს ტაბლოზე ბექჰემის საყვარლის სურათებს უჩვენებდნენ

დევიდ ბექჰემისთვის მადრიდში ცხოვრება სულ უფრო გაუსაძლისი ხდება. ესპანური პრესის ყურადღება ინგლისელი ჟურნალისტების ცნობისმოყვარეობას შეჩვეული ბექჰემისთვისაც კი ძნელად ასატანია. მადრიდში მისი ყველა საიდუმლო გამომზეურდა, რის გამოც ბექჰემების ოჯახი დანგრევის პირასაა.

სულ ცოტა ხნის წინათ, მთელმა მსოფლიომ შეიტყო, რომ ვინმე რებეკა ლუსის სახით ბექჰემს საყვარელი ჰყავდა. ერთი თვეც არ გასულა და გამოჩნდა კიდევ ერთი ქალი, რომელიც ამტკიცებს, რომ მადრიდის „რეალის" ვარსკვლავთან სექსუალური ურთიერთობები ჰქონდა.

მალაიზიაში დაბადებული, ამჟამად კი ავსტრალიის ქალაქ პერტში მცხოვრები, 29 წლის სარა მარბეკი აცხადებს, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ბექჰემთან სასიყვარულო ურთიერთობები ჰქონდა. ამ ქალბატონთან ინტერვიუები უკვე არაერთ ბულვარულ ჟურნალში დაიბეჭდა. სარა მარბეკი დაწვრილებით აღწერს ბექჰემთან ურთიერთობის დეტალებს, თუ როგორ უგზავნიდა მას დევიდი ათასობით ეროტიკულ მესიჯს, რომელ პოზებს ანიჭებდა ის უპირატესობას სექსის დროს და ასე შემდეგ. მარბეკის ყველაზე ვრცელი ინტერვიუ ინგლისურმა News of the World-მა გამოაქვეყნა. ამბობენ, რომ ამ ინტერვიუს საფასურად მან 800 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

და რა შუაში არიან აქ ესპანელები? - გასულ კვირას, მადრიდში „ელ კლასიკოდ" წოდებული დაპირისპირება შედგა, „რეალი" „ბარსელონას" მასპინძლობდა. სწორედ ამ მატჩის მსვლელობისას, ესპანურმა პრესამ ბექჰემს მეტად მტკივნეული დარტყმა მიაყენა - დარტყმა წელს ქვემოთ.

გაგანია მატჩის დროს, „ბერნაბეუს" სტადიონის ორი გიგანტური ტაბლოს ეკრანზე მინიმუმ ექვსჯერ უჩვენეს ესპანური ყოველკვირეული ჟურნალის, „ინტერვიუს" რეკლამა. ტაბლოებზე ამ ჟურნალის ცინცხალი ნომერის გარეკანს უჩვენებდნენ, ამ გარეკანზე კი სწორედ სარა მარბეკის ფოტო იყო გამოსახული, გვერდზე კი ტექსტი: „სარა მარბეკი - ბექჰემის მალაიზიური საქმე".

აღსანიშნავია, რომ „რეალი"-"ბარსელონას" მატჩს დევიდის მეუღლე ვიქტორია ადამსიც ესწრებოდა, რომელსაც თან ახლდა ორი მცირეწლოვანი ბავშვი...



ბექჰემს „სანტიაგო ბერნაბეუზე" გული გაუხეთქეს

ინფოთეკა

**ფეხბურთი.** ლონდონის „არსენალმა" უკვე გაინაღდა ინგლისის ჩემპიონის ტიტული, ხოლო „მეთოფეთა" ფრანგი თავდამსხმელი ტიერი ანრი ინგლისის წლის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. აღსანიშნავია, რომ ანრი ზედიზედ მეორედ ეუფლება ამ საპატიო ტიტულს. ფრანგი თავდამსხმელის კონკურენტები „ლივერპულელი" სტივენ ჯერარდი, ფრენკ ლამპარდი („ჩელსი"), ალან შირერი („ნიუკასლი"), აგუსტინ ოკოჩა („ბოლტონი") და მისი თანაგუნდელი პატრიკ ვიეირა იყვნენ, თუმცა ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციამ პირველობა მაინც ანრის მიანიჭა. წლის საუკეთესო ახალგზარდა ფეხბურთელად ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველი სკოტ პარკერი აღიარეს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** საუკეთესოებს ასახელებენ შოტლანდიაშიც. წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად, შოტლანდიაში თავად მოთამაშეებს შორის მოაწყვეს გამოკითხვა. შოტლანდიის წლის საუკეთესო მოთამაშედ გლაზგოს „სელტიკის" ინგლისელი თავდამსხმელი კრის სატონი აღიარეს, მეორე და მესამე ადგილები ასევე „სელტიკელებმა" ჰენრიკ ლარსონმა და სტილიან პეტროვმა დაიკავეს. „გლაზგო რეინჯერსის" გერმანელი მეკარე შტეფან კლოსი საპატიო მეოთხე ადგილზე გავიდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტრაგიკულად დასრულდა „ინტერისა" და „ლაციოს" მატჩი, რომელიც გასულ კვირას გაიმართა მილანის სტადიონ „სან სიროზე". მსაჯის ფინალური სასტვენის შემდეგ, სტადიონის მესამე იარუსიდან გულშემატკივარი გადმოხტა და თავი მოიკლა. ეს ადამიანი დაახლოებით 25 წლის ასაკის იყო. სიკვდილის წინ მან წერილიც დატოვა სკამზე, თუმცა პოლიცია მის შინაარსს არ ამხელს. თვითმკვლელობის ფაქტი გასული წლის ნოემბერშიც მოხდა, როდესაც 54 წლის ქომაგი მეორე იარუსიდან გადმოხტა. აღსანიშნავია, რომ ეს ამბავიც „სან სიროზე" მოხდა, როდესაც „ინტერი" „ანკონას" მასპინძლობდა.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** რომან აბრამოვიჩი მორიგი სატრანსფერო სეზონისთვის ემზადება. „ჩელსის" სასურველ ფეხბურთელთა სიაში ესპანური „ვალენსიას" არგენტინელი მცველის, რობერტო ფაბიან აიალას გვარიც გამოჩნდა. ამ ფეხბურთელის სანაცვლოდ აბრამოვიჩი „ვალენსიას" 11 მილიონ ევროს სთავაზობს. ესპანელების პასუხი ჯერ უცნობია. რუსი მილიარდერის მხრიდან ეს არ არის აიალას შეძენის პირველი მცდელობა. აბრამოვიჩს გასულ იანვარშიც სურდა არგენტინელი მცველის გადაბირება, თუმცა მაშინ „ვალენსიასგან" უარი მიიღო.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ლონდონის „ჩელსის" მცველ მარსელ დესაის სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში დესაიმ განზრახ ჩაარტყა „მონაკოს" ლიდერ ფერნანდო მორიენტესს, რის გამო დაისაჯა კიდეც. ამრიგად, ფრანგი მცველი გამოტოვებს „მონაკოსთან" განმეორებით ნახევარფინალურ მატჩს და ფინალსაც, იმ შემთხვევაში, თუ ლონდონური კლუბი ფრანგულ ბარიერს გადალახავს.

■ ■ ■

**ფეხბურთი.** ტრავმა, რომელიც „რეალის" წინააღმდეგ გუშინწინდელ მატჩში „ბარსელონელმა" კარლეს პუიოლმა მიიღო, საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა. კატალონიური კლუბის ექიმმა განაცხადა, რომ პუიოლი დაახლოებით 2-3 კვირით გამოეთიშება ფეხბურთს. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული ტრავმა პუიოლს ლუიშ ფიგუმ მიაყენა, რის გამოც, ფეხბურთელი ვერც იტალიის წინააღმდეგ მატჩში ითამაშებს ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში.

■ ■ ■

**კრივი.** ლეგენდარულმა პუერტორიკოელმა მოკრივემ ფელიქს ტრინიდადმა რინგზე დაბრუნება გადაწყვიტა. მოკრივის მამამ განაცხადა, რომ ტრინიდადი 2 ოქტომბერს გამართავს ბრძოლას ნიკარაგუელი რიკარდო მაიორგას წინააღმდეგ. ეს ბრძოლა 72.6 კგ. წონითი კატეგორიის ფარგლებში გაიმართება და მასში მონაწილეობისთვის ტრინიდადი 10 მილიონ აშშ დოლარს მიიღებს. ამას გარდა, პუერტორიკოელი მოკრივე მისი ბრძოლის საკაბელო არხებით ტრანსლაციის საშუალებით მიღებული შემოსავლების 60 პროცენტსაც ჩაიჯიბავს. შეგახსენებთ, რომ თავისი უკანასკნელი ორთაბრძოლა ტრინიდადმა 2002 წლის მაისში ჩაატარა, როდესაც ოთხ რაუნდში დაამარცხა ფრანგი ჰასინ შერიფი.

■ ■ ■

**მძლეოსნობა.** 24 წლის ბრიტანელი სპრინტერი, სემ ჰოგიანი ტრაგიკულად დაიღუპა. სამხრეთ აფრიკის დედაქალაქ იოჰანესბურგში ჰოგიანი ავტო-ავარიაში მოჰყვა, რის შედეგადაც სასიკვდილო ტრავმები მიიღო. ბრიტანელი მძლეოსანი უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ აფრიკაში ვარჯიშობდა, ათენის ოლიმპიური თამაშებისთვის მომზადების მიზნით. ინგლისის მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი დევიდ მურკროფტი მომხდარით შეშფოთებულია: „ეს არის დიდი ტრაგედია, რომლის დაჯერებაც ძალიან მიჭირს. სემი საოცრად ნიჭიერი ათლეტი და შესანიშნავი პიროვნება იყო", - განაცხადა მურკროფტმა.

■ ■ ■

**ხელბურთი.** ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მამაკაც ხელბურთელებს შორის მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატი გერმანიაში ჩატარდება.

ჩოგბურთი

# ქართული ჩოგბურთიდან დიდ ჩოგბურთამდე

სანდრო ნავერიანი

*ჩვენი გაზეთის მკითხველს ემახსოვრება დაახლოებით თვენახევრის წინათ გამოქვეყნებული ინტერვიუ ლეილა მესხთან. მაშინ ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი თავის გეგმებზე გვესაუბრა.*
*ძნელია, იმუშაო ისეთ პირობებში, როცა ხელს არავინ გიწყობს. მე არავის ვაკრიტიკებ, არც ქათინაურებს ვუძღვნი, უბრალოდ, იმას ვამბობ, რასაც ვხედავ. სამწუხაროდ, ცუდი ბევრად სჭარბობს კარგს.*
*ბავშვობაში თავად გახლდით ჩოგბურთელი და მახსოვს, როგორ მიხაროდა, როცა ახალი ჩოგანი მაჩუქეს. ახალი ჩემთვის იყო, თორემ ისე კაი მოძველებული ჩანდა. მარკაც კი მახსოვს, „სტომილი“. მაშინ სხვა დრო იყო და ყველაფერი ახლიდან იწყებოდა. მას შემდეგ 10-12 წელი გავიდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართულ ჩოგბურთში ბევრი არაფერი შეცვლილა. ისევ ისე უხარიათ პატარა ჩოგბურთელებს, როდესაც მათ ახალ „სტომილს“ ჩუქნიან, დაახლოებით ერთი კილოგრამი წონის ჩოგანს. გთავაზობთ ინტერვიუს ლეილა მესხთან, რომელიც „24 საათის“ რედაქციაში დევისის თასზე იტალიის ნაკრებთან დამარცხების შემდეგ ჩავიწერეთ.*




ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ლეილა მესხი: „მომავალში მსოფლიო უფრო მეტ ქართველ ჩოგბურთელს გაიცნობს“*

**- რა იყო იტალიის ნაკრებთან განცდილი მარცხის მიზეზი?**

- პირველ რიგში, ის ფაქტი, რომ ირაკლი ლაბაძის გარდა, ჩვენი ნაკრების არც ერთ წევრს ასეთი მაღალი დონის ტურნირი ნათამაშები არ ჰქონია. მიმაჩნია, რომ შედეგის მიუხედავად, საქართველოს ნაკრები იტალიაში წარმატებით გამოვიდა. დეტალებზე საუბარი, ვფიქრობ, საინტერესო არ უნდა იყოს. მოკლედ გეტყვით, ჩვენი წარუმატებლობის ერთადერთი მიზეზი გამოუცდელობაა. გულშემატკივარი ბევრს ითხოვს, მაგრამ იმას არ აქცევს ყურადღებას, რა შესაძლებლობები გაგვაჩნია და ყველაფერს წარუმატებლობად აღიქვამს. არადა, ასე არ არის.

**- ჩიხლაძეზე და უშანგიშვილზე რას იტყვით. როგორ შეაფასებთ მათ თამაშს იტალიის ეროვნულ გუნდთან?**

- ლადო ჩიხლაძემ და ირაკლი ლაბაძემ წყვილთა თანრიგში უძლიერესი შეხვედრა ჩაატარეს. ლადომ, მართლაც, კარგად ითამაშა და ის, რომ შეხვედრა ვერ მოვიგეთ, ტრაგედია არ არის. იტალია ჩვენზე ძლიერი გუნდია. რაც შეეხება უშანგიშვილს, ტრავმის გამო, რვა თვის განმავლობაში არ უთამაშია. ამიტომ მიმაჩნია, რომ უშანგიშვილი ფორმაში შედის და ეგვიპტის ნაკრებთან გაცილებით უკეთ ითამაშებს, ვიდრე იტალიასთან.

**- რას გვეტყვით ეგვიპტის ნაკრებზე და რა მოხდება მათთან მოგების ან წაგების შემთხვევაში?**

- რომ გითხრათ, ეგვიპტეს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს-მეთქი, მართალი არ ვიქნები, მაგრამ მათ ჩვენზე გამოცდილი ჩოგბურთელები ჰყავთ. მოგეხსენებათ, ბულგარელებმა ეგვიპტელები გაანადგურეს - 5:0. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს აქვს შანსი, რომ ხუთიდან სამი შეხვედრა მაინც მოიგოს. თუ ეგვიპტის ნაკრები დავამარცხეთ, მაშინ „დევისის თასის“ ევროპა-აფრიკის ზონის მეორე ჯგუფში დავრჩებით. თუ არადა, ერთი საფეხურით დავქვეითდებით.

**- შესაძლებელია თუ არა ეგვიპტელთა წინააღმდეგ ახალი ჩოგბურთელი გამოჩნდეს?**

- ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ არ მგონია, შემადგენლობა შეიცვალოს. არიან ჩოგბურთელები, რომლებიც შეძლებენ ეგვიპტის ნაკრების წინააღმდეგ კარგი თამაშის ჩვენებას, მაგრამ ახლა შედეგი გვჭირდება და არა ლამაზად ჩატარებული მატჩები. ექსპერიმენტების დრო აღარ არის. გამოცდილი ჩოგბურთელები გვჭირდება. იმ მოთამაშეებმა (ლაბაძეზე არ მაქვს ლაპარაკი), ვინც იტალიაში იყო, გარკვეული გამოცდილება შეიძინეს. სწორედ ამ გამოცდილებამ შეიძლება ითამაშოს გადამწყვეტი როლი. რაც შეეხება ლაბაძეს, ის ძალიან კარგ ფორმაშია.

**- ფედერაციის თასზე თუ ვითამაშებთ და რომელი ჩოგბურთელებით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები?**

- საქართველოს ქალთა ნაკრები ფედერაციის თასზე მონაწილეობს. გუნდში მაკა ჩახნაშვილი, სალომე დევიძე, სოფო მელიქიშვილი და თინათინ ყავლაშვილი არიან. შეხვედრები მალტაში გაიმართება, მაგრამ ჯერ გაურკვეველია ვიზების საკითხი, ჩვენ ჯერჯერობით არ მიგვილია პასუხი, მოგვცემენ თუ არა ვიზებს. რაც შეეხება თავად ჩოგბურთელებს, მაკა ჩახნაშვილი, რეიტინგში, მე-400 პოზიციაზეა, სალომე დევიძე 290-ე პოზიციაზე. სოფო მელიქიშვილი 520-ე, თინათინ ყავლაშვილი კი ათასეულში ხვდება. თუ ჩვენი ჩოგბურთელების სარეიტინგო მდებარეობით ვიმსჯელებთ, ძნელია რაიმე წარმატებაზე ფიქრი, მაგრამ დამიჯერეთ, რეიტინგი არაფერ შუაშია. მთავარია, კარგი თამაში აჩვენონ და შეიძლება ნომერ პირველი ჩოგბურთელიც კი დაამარცხონ.

**- არსებობს თუ არა რაიმე პროექტი, რომელიც მომავალი ჩოგბურთელების აღზრდა-ჩამოყალიბებას ითვალისწინებს?**

- ასეთი პროექტი არსებობს, მაგრამ მის განხორციელებას მარტო ფედერაცია ვერ შეძლებს. დახმარება გვჭირდება. ერთი მაგალითი მინდა მოგიყვანოთ: იტალიაში 58 885 ჩოგბურთელია, აქედან 17 959 იუნიორი. ჩვენთან სამასი რეგისტრირებული ჩოგბურთელია და ამ სამასიდან სამოცი იუნიორი. იტალიაში 3 708 საჩოგბურთო კლუბია, ჩვენთან - 13. მათ 1 879 დახურული კორტი აქვთ, ჩვენ - 10. იტალიაში 11 578 ღია კორტია, ჩვენთან - 102. ამ 102 კორტიდან ნახევარზე მეტი ისეთ მდგომარეობაშია, ფაქტობრივად, შეუძლებელია თამაში. ამის მერე როგორ შეიძლება, რაიმე მოთხოვო ან ფედერაციას ან თუნდაც ჩოგბურთელს, რომელიც ვარჯიშით თავს იკლავს, თავისი ხარჯით შეჯიბრებებზე დადის, ინვენტარს თვითონ ყიდულობს, მაგრამ საშველი არ არის. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ გამოგვიგზავნა ათასი ბურთი, რომელიც უკვე, რა ხანია, აეროპორტში დევს და ვერ გამოგვაქვს. უფრო სწორად, არ გამოგვაქვს იმიტომ, რომ „დღგ“ არის გადასახდელი. მის გამოტანას დაახლოებით ათასი დოლარი სჭირდება. ათას დოლარად ჩვენც შეგვიძლია ვიყიდოთ ბურთები. თან შედარებით მეტი. დიღმის საჩოგბურთო კომპლექსის კორტებისთვის საზღვარგარეთ ოთხი ბადე შევიძინეთ. ბადეების აეროპორტიდან გამოტანას დაახლოებით იგივე თანხა დასჭირდა, რაც მათ შეძენას. ასი ბადე რომ ჩამომეტანა, კიდევ შეიძლებოდა ეფიქრათ, გასაყიდად მიაქვსო და საბაჟოზე დიდი თანხა გადაეხდევინებინათ, მაგრამ ოთხი ბადე?

**- დიღმის საჩოგბურთო კომპლექსი რა მდგომარეობაშია და საერთოდ, რა იქნება ეს, მხოლოდ კორტები თუ სპორტული კომპლექსი?**

- ჯერჯერობით საქმე ისე მიდის, როგორც ჩვენ გვინდა და იმედია, ბოლომდე ასე იქნება. რაც შეეხება თავად ბაზას, იქ არ იქნება მარტო კორტები, მაგრამ არც სპორტული კომპლექსი იქნება. სპორტულ კომპლექსში სხვადასხვა სპორტის სახეობებში იმართება შეჯიბრებები და ვარჯიშები. აქ კი მთლიანად ჩოგბურთს დაეთმობა ყველაფერი. კორტების გარდა ბაზაზე იქნება საცურაო აუზი, ფეხბურთის მოედანი, სატრენაჟორო დარბაზი და კიდევ ბევრი რამ. ასევე იქნება მაღალი დონის სასტუმრო. მინდა ხაზი გავუსვა, რომ კორტებზე დამონტაჟდება განათება, რაც ღამით ვარჯიშის და შეჯიბრების გამართვის საშუალებას მოგვცემს. ეს ძალიან კარგია, რადგან საზღვარგარეთ ხშირად, მატჩები ღამით მიმდინარეობს. პირადად მე, ერთხელ ფინალიც კი წავაგე იმის გამო, რომ ღამით, განათებულ კორტზე არასოდეს მითამაშია.

**- სპორტის დეპარტამენტი თუ გეხმარებათ. სპორტის ახალ მინისტრთან, ბატონ გიორგი გაბაშვილთან ხომ არ გისაუბრიათ ჩოგბურთის განვითარების პერსპექტივებზე?**

- მინისტრთან ჯერ არაფერზე გვისაუბრია, მაგრამ სპორტის სამინისტროში შეიქმნა საბჭო, რომელიც სასარგებლოა როგორც ჩოგბურთისთვის, ისე სხვა სპორტის სახეობებისთვისაც. საერთოდ ჩვენი და სპორტის სამინისტროს თანამშრომლობა აუცილებლად უნდა აეწყოს. სხვანაირად არაფერი გამოვა.

**- რა შეგიძლიათ გვითხრათ ირაკლი ლაბაძეზე, რა არის მისი შედეგიანი თამაშის მიზეზი?**

- ერთხელ ევგენი კაფელნიკოვი მეუბნებოდა, ჩოგბურთს თავი უნდა დავანებოო. ვერაფერს ვიგებ, ერთი შეხვედრაც კი ვერ მოვიგეო. არ გასულა ერთი თვე და კაფელნიკოვმა ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო. მას შემდეგ მსოფლიოს ნომერი პირველი ჩოგანიც გახდა. ასე რომ, ყველა ჩოგბურთელის კარიერაში დგება ისეთი მომენტი, როდესაც თამაში წაგივა, თამაშს ტურნირი მიყვება, ტურნირს - სეზონი და ასე გრძელდება, ვიდრე ფიზიკური მდგომარეობა ხელს გიწყობს. რაც შეეხება ირაკლის, ალბათ, მასაც იგივე მოუვიდა. მართალია, ტურნირი არ მოუგია, მაგრამ ის თავის ძალებში დარწმუნდა და, ალბათ, ეს არის შედეგიანი თამაშის პირველი მიზეზი. ყოველთვის მჯეროდა, რომ ირაკლის გაცილებით ძლიერად შეეძლო თამაში, ვიდრე ამას აკეთებდა. მამამისი ყოველთვის ამბობდა, ირაკლი დიდ ჩოგბურთს ითამაშებსო და ვფიქრობ, ირაკლი სწორედ ახლა იწყებს თამაშს.

**- თანამედროვე ქართული ჩოგბურთის სახეს ირაკლი ლაბაძე წარმოადგენს. არის თუ არა პერსპექტივა, რომ მას კონკურენტი გამოუჩნდეს?**

- ახალგაზრდა, პერსპექტიული ჩოგბურთელები არიან, მაგრამ გამიჭირდება იმის თქმა, რომ მსოფლიო ასპარეზზე კონკურენტუნარიანი იქნებიან. მიმაჩნია, რომ ირაკლი ლაბაძემ სწორედ ახლა დაიწყო აღმავლობისკენ სვლა, რაც მის სახელს მსოფლიოს მასშტაბით გაზრდის. ამის შემდეგ მისი დიდების ჩრდილიდან გამოსვლა ნებისმიერ ქართველ ჩოგბურთელს გაუჭირდება. ჯერჯერობით ვისაც ამის გაკეთების შანსი აქვს, ეს ლაზარე კუხალაშვილია. ლაზარე ძალიან პერსპექტიული ჩოგბურთელია და მიმაჩნია, რომ მას ძალუძს, დიდი ჩოგბურთი ითამაშოს. ამჟამად კი შემიძლია ვთქვა, რომ მომავალში მსოფლიო უფრო მეტ ქართველ ჩოგბურთელს გაიცნობს.

**- დაბოლოს, როგორ ფიქრობთ, რა გზებით შეიძლება საქართველოში ჩოგბურთის პოპულარიზაცია მოხდეს?**

- ამისთვის ბევრი რამ არის საჭირო. პირველ რიგში, მედიამ უნდა გააშუქოს ქართულ ჩოგბურთში მიმდინარე პროცესები. საწყენია, როცა ყურადღებას არ გაქცევენ. შემდეგ ერთ მნიშვნელოვან შეხვედრას მოიგებ და შენს წარმატებას მხოლოდ მაშინ აშუქებენ. შემდეგ კი ისევ დაგივიწყებენ. ეს ფაქტი ჩოგბურთელებზე ცუდად მოქმედებს. მიმაჩნია, რომ ყურადღება, პირველ რიგში, მასმედიამ უნდა გამოიჩინოს. ეს არ არის ერთადერთი, რამაც შეიძლება ჩოგბურთის პოპულარიზაცია გამოიწვიოს. ჩოგბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამაც შესაქმნელია.

ჭიდაობა

# ანკარა ვერცხლი

გიგა გურასაშვილი

თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ევროპის ჩემპიონატი ისე გაილია, როგორც მოსალოდნელი იყო. ანკარაში, რომელსაც ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) კონტინენტის უმთავრესი ასპარეზობის გამართვის პატივი დასდო, პროგნოზები ნაწილობრივ გამართლდა. შვიდი წონითი კატეგორიიდან ჩემპიონატის მასპინძლებმა სამ ფინალში იჭიდავეს და სამივე სასურველი შედეგით დაასრულეს. უკეთესი შედეგი მხოლოდ რუსებს აღმოაჩნდათ, რომლებიც შვიდიდან მხოლოდ ერთ ფინალში არ გასულან ხალიჩაზე. თუმცა, თურქების დარად მათაც სამი ოქროს მედალი დაისაკუთრეს, დანარჩენი კი, ბუნებრივია, ვერცხლის. აქედან გამომდინარე რუსებს დარჩათ გუნდური პირველი ადგილიც. რაც შეეხება საქართველოს ნაკრებს, მისი ერთადერთი მონაგარი 84 კილოგრამ წონით კატეგორიაზე მოდის.

2003 წლის ევროპის ჩემპიონმა და 2002 წლის ამავე რანგის ასპარეზობის „ბრინჯაოსანმა“ რევაზ მინდორაშვილმა ევროპულ ყულაბაში ამჯერად „ნაკლული“ ვერცხლის მედალიც ჩააჩხრიალა. ფინალამდე გზის გასაკვლევად კი ბედის ირონიით პირველივე შერკინება გერმანიაში გადახვეწილი ქართული საჭიდაო სკოლის აღზრდილთან დავით ბიჩინაშვილთან მოუწია და 3:1 დაამარცხა. ქართველი-გერმანელის ძლევის შემდეგ მინდორაშვილი იოლად (4:0) გაუმკლავდა ბრიტანელ კამალ შალორუსსაც. ბიჩინაშვილისა და შალორუსის ძლევის შემდეგ ვითარება შედარებით დაიძაბა, რადგან მომდევნო ორთაბრძოლა საკმაოდ ძლიერ რუს ფალავანთან ვადიმ ლალიევთან მოუხდა. სამწუხაროდ, ეს შეხვედრა მინდორაშვილმა დათმო 1:3, მაგრამ ამით ქვეყანა მაინც არ დაქცეულა, რადგან ქვეჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და შესაბამისად ფინალური ორთაბრძოლებისკენ გააგრძელა გზა. ლალიევი მინდორაშვილთან საჭიდაოდ ორმაგი შემართებით რომ გავიდოდა, გასაგებიცაა. საქმე ისაა, რომ ვიდრე მომავალ ფინალისტს (მინდორაშვილს ვგულისხმობთ) ძლევდა, მანამდე ბიჩინაშვილისგან იწვნია მარცხი 0:3.

რაც შეეხება ნახევარფინალსა და ფინალს, ამ შემთხვევაში მინდორაშვილმა ორივე ბრძოლა მოიგო. ჯერ ბერძენ ლაზაროს ლოიზიდისს სძლია - 3:1, მერე ფინალში მასპინძელსაც გეკჰან იავასერსაც გაუსწორდა, მაგრამ, როგორც შევიტყვეთ, მსაჯებს ქართველი ფალავნისთვის გასაქანი არ მიუციათ და მოგების ნაცვლად 1:3 წაგება ჩაუთვლიათ. აკი, ჩემპიონატის დაწყებამდე ვაცხადებდით კიდეც, რომ ჭიდაობაზე გადარეულ თურქებთან შინაურ კედლებში ჭიდილი ერთობ რთულია-თქო.



*მინდორაშვილის გდებები ამჯერად ვერცხლისთვის აღმოჩნდა საკმარისი*

მიუხედავად ამისა, როგორც უნდა იყოს, მინდორაშვილმა დაამტკიცა, რომ მას ათენის ოლიმპიურ ხალიჩაზე სამეულში მოხვედრის რეალური შესაძლებლობა აქვს.

ისე, სხვა შემთხვევაში და სხვა ვითარებაში საქართველოს ნაკრების მიერ მოპოვებული ერთადერთი მედალი, შესაძლოა, წარუმატებლადაც ჩაგვეთვალა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ანკარას, ფაქტობრივად, მეორე შემადგენლობით ვეწვიეთ, მაშინ სასაყვედუროც ნაკლებია.

ვინაიდან წლეულს ოლიმპიური თამაშებია, რიგმა ნაკრებებმა სიფრთხილე გამოიჩინეს, რაც ჩვეული ამბავია და ძირითადები, ანუ პირველი ნომრები შინ დატოვეს. შინ დატოვეს იმის გამო, რომ უმთავრესი ასპარეზობების წინ შესაძლო ტრავმებისგან თავი დაეზღვიათ. ამიტომაც იყო, რომ საქართველოს ნაკრები მეორე ნომრებით ეწვია თურქეთის ევროპულ ხალიჩას. ერთადერთ გამონაკლისს ამ მხრივ ოლიმპიური საგზურების მფლობელნი: ოთარ თუშიშვილი (66კგ), გელა საღირაშვილი (74კგ) და რევაზ მინდორაშვილი წარმოადგენენ. თორემ რა დიდი მარჩიელობა უნდა იმას, რომ შინ დატოვებული ორგზის მსოფლიო და ევროპის ოთხგზის ჩემპიონი ელდარ კურტანიძე ჩემპიონობისთვის იბრძოლებდა?!

აქვე იმათ შედეგებზეც მოგახსენებთ, რომლებმაც ანკარაში იჭიდავეს: ბესარიონ გოჩაშვილი (55კგ) - მე-6 ადგილი; ლევან ჩაბრაძე (60კგ) - მე-8; ოთარ თუშიშვილი (66კგ) - მე-10; გელა საღირაშვილი (74კგ) - მე-10; თამაზ გეგეშიძე (96კგ) - მე-10 და დავით ოთიაშვილი (მძიმე წონა) - მე-6.

TV-სპორტი

**სამშაბათი. 27 აპრილი**

**НТВ + ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს მიმოხილვა
07:30 NBA TV. ყველაფერი NBA-ს შესახებ
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 1989. პირველი წრე. „PHILADELPHIA 76 ERS“ - „NEW YORK KNICKS“. მე-3 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
05:30 NBA TV. პლეიოფი. პირველი წრე. „NEW ORLEANS HORNETS“ - „MIAMI HEAT“. მე-4 თამაში. პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ + СПОРТ**
11:00, 14:00, 17:00, 20:15, 22:40 პრესცენტრი
11:20, 22:00 „ოლიმპის შვილები“
11:25, 14:15 „ფორმულის ჰარმონია“
11:45 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. „AMSTERDAM ADMIRALS“ - „FRANKFURT GALAXY“
14:30 „ორშაბათამდე მივატანთ“
15:00 „რკინის ფაქტორი“. ტელეჟურნალი
15:30 ძალოსნობა. ევროპის ჩემპიონატი კიევში. ვაჟები. 94კგ
17:15 ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. პირველი წრე. რუსეთი - ავსტრალია. გადამწყვეტი მატჩები
19:15 ბოულინგი. „ABC მასტერსი“
20:30 „ბილიარდის მეუფენი“
21:00 „ვარსკვლავური სამშაბათი“
22:05 ხვალინდელი პროგრამა
22:10 „ბორის მაიოროვის არქივი“
22:55 ბადმინტონი. ევროპის ჩემპიონატი შვეიცარიაში. პირადი ფინალები. შესვენებისას (01:15) - ახალი ამბები

**EUROSPORT**
11:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
12:00 „ოლიმპიური თამაშები“
12:30 მულტისპორტი.
13:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის საათი
14:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
17:00 ფეხბურთი. ევროგოლი
18:00 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა ახალი თაობა
18:30 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
21:30 ველორბოლები. რომანდის ტური შვეიცარიაში
23:00 სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი დიდ ბრიტანეთში
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. ნექსტელის თასის ეტაპი აშშ-ში
03:45 ფეხბურთი. ევრო-2004-ის ჩემპიონთა ახალი თაობა
04:15 ახალი ამბები

# „ბეემვე" „გოლფის" კლასს ითვისებს

მერაბ ლორთქიფანიძე

მიმდინარე წლის შემოდგომიდან გერმანული ავტოგიგანტი "ბეემვე" (ბაიერიშე მოტორენვერკე) ბაზრის მისთვის არატრადიციულ სეგმენტში, ეგრეთ წოდებულ "გოლფის" კლასში დაიწყებს მოღვაწეობას, რომელსაც ევროპაში ქვესაშუალო პრემიუმის კლასადაც მოიხსენიებენ. მიუხედავად იმისა, თუ წლიურად რამდენ ასეთ ავტომობილს დაამზადებენ ბავარიელები, აშკარაა – ევროპის წამყვან კლასს მალე ახალი ლიდერი გამოუჩნდება, რომელიც დიდ პრობლემებს შეუქმნის ამ კლასის ისედაც ერთობ შევიწროებულ ფავორიტს, "ფოლკსვაგენ გოლფს".

პარიზის ავტოსალონზე, რომელიც სექტემბრის დასაწყისში გაიმართება, შედგება "ბეემვეს" სრულიად ახალი, 1-ლი სერიის ჰეტჩბეკის დებიუტი. თუმცა, იმისათვის რომ პოტენციური მყიდველის წინასწარი დაინტერესება გამოიწვიოს და დებიუტისთანავე შეკვეთების სოლიდური პაკეტი გაინაღდოს, ბავარიულმა კომპანიამ დებიუტამდე რამდენიმე თვით ადრე, მედიას ოფიციალურად წარუდგინა თავისი მომავალი სიახლის ფოტოსურათები და მწირი ტექნიკური მახასიათებლები.

პირველი, რაც მათი გაცნობისას გხვდება თვალში, ისაა, რომ ამ კლასის სხვა ავტომობილებისგან განსხვავებით, რომლებსაც წინა წამყვანი თვლები აქვთ, პირველი სერიის "ბეემვე" კლასიკური შეთანწყობით გამოირჩევა, რასაც მწარმოებელი ხაზსაც კი უსვამს და თავის დებიუტანტს უპირატესობადაც უთვლის. გასაგებია, ბავარიული კონცერნი ამ საკითხში დიდი კონსერვატიულობით გამოირჩევა და აქამდე მხოლოდ უკანაწამყვანთვლიან ავტომობილებს აწარმოებს.

გარეგნულად, ამ ახალ ავტომობილში თავისუფლად შეიცნობთ ბავარიული მოდელებისთვის დამახასიათებელ განმასხვავებელ ნიშნებს. თუმცა, იგი ტრადიციასაც არღვევს და რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, რაც ძირითადად ავტომობილის გვერდითა ხედშია საგრძნობი. თქმა არ უნდა, ყოველივე კომპანიისთვის ახალ კლასში დასამკვიდრებლად გაღებული ხარკია, რაც ავტომიმომხილველებს გამართლებულად მიაჩნიათ. საინტერესოა ისიც, რომ ავტომობილის აეროდინამიკის დასახვეწად აეროდინამიკურ მილში მისმა ხანგრძლივმა გამოცდებმა შესანიშნავი შედეგი მოიტანა – ავტომობილის წინააღმდეგობის კოეფიციენტმა მხოლოდ 0.29 შეადგინა, რაც ამ კლასის მანქანებისთვის შესანიშნავი მაჩვენებელია.

ზომების მიხედვით, ახალი ავტომობილი "ბეემვეს" სამოდელო გამაში პირველს და იმავდროულად ყველაზე დაბალ საფეხურს დაიკავებს. იგი მე-3 სერიის ავტომობილზე 23 სანტიმეტრით მოკლეა, თუმცა სიგანეში და სიმაღლეშიც მასზე დიდია. ამასთან, კონსტრუქტორების დიდი გარჯის შედეგად, მიღწეულია მასის თანაბრად განაწილება წინა და უკანა ხიდებს შორის, რაც ასევე დამახასიათებელია ბავარიული კომპანიის მიერ წარმოებული ავტომობილებისთვის და მათი მანევრულობის უმაღლეს დონეს უზრუნველყოფს.

ახალი ავტომობილი, რომლის პროტოტიპიც, სახელწოდებით CS1, პირველად ორი წლის წინ, ჟენევის ავტოსალონზე იქნა ნაჩვენები, მე-3 სერიის ავტომობილისგან მაკომპლექტებელი ნაწილების დაახლოებით 40 პროცენტს მიიღებს, რომელთა შორისაცაა ბენზინის ორი და დიზელის ამდენივე აგრეგატი. ოთხივე ძრავი ოთხცილინდრიანია, ერთ რიგში განლაგებული ცილინდრებით.

მათგან საბაზოა 1.6-ლიტრიანი ბენზინზე მომუშავე აგრეგატი, რომლის სიმძლავრეც 115 ცხენის ძალას შეადგენს. მისი წყალობით, ავტომობილი 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას 10.8 წამში ახერხებს, მაქსიმალური სიჩქარე კი 200 კმ/სთ-ს აღწევს. ორლიტრიანი ძრავის სიმძლავრე 150 ცხენის ძალაა და მისი საშუალებით ავტომობილი ადგილიდან 100 კმ/სთ სიჩქარის აკრეფას 8.7 წამში ასწრებს, მაქსიმალური სიჩქარე კი მისთვის 20 კმ/სთ-ია.

დიზელის ძრავებიდან ერთის მუშა მოცულობაა 1.8 ლიტრი, მეორისა კი – 2. მათი სიმძლავრე შესაბამისად, 122 და 163 ცხენის ძალაა და მათი საშუალებით, 100 კმ/სთ-მდე აჩქარებას ავტომობილი 10 და 7.9 წამში ახერხებს.

ბავარიელები აცხადებენ, რომ პირველი სერიის ჰეტჩბეკი პირველ რიგში, ევროპული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ახლო მომავალში მისი გაყიდვები აშშ-ის ბაზარზე ჯერ არ იგეგმება. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი სიახლის ფასების შესახებ. სამაგიეროდ, კომპანია წლიურად სულ 150 000 ცალი პირველი სერიის ავტომობილის წარმოებას აპირებს. ეს დაახლოებით ორჯერ ნაკლებია, ვიდრე მე-3 სერიის ავტომობილების წარმოება. სამაგიეროდ, ოდნავ მეტია, ვიდრე "აუდის" მიერ შარშან ევროპაში რეალიზებული უახლესი A3-ის რაოდენობა.

წინდაწინვე განსაზღვრულია, რომ ახალი ავტომობილი პირველ რიგში, კონკურენციას გაუწევს ბაზრის აღნიშნული სეგმენტის ისეთ მოდელებს (შედარებით ძვირადღირებულს), როგორებიცაა "აუდი A3" და "ალფა რომეო 147". აქედან გამომდინარე, ახალი "ბიმერების" ფასიც, კლასის ზედა ზღვართან ახლოს იქნება. შესაბამისად, ერთობ მდიდრული იქნება მისი აღჭურვაც, რაშიც შედის 5 და 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფები, დინამიკური სტაბილურობის სისტემა, ტრექშნ კონტროლი, მუხრუჭების კონტროლი და დიფერენციალის ბლოკირების ელექტრონული სისტემა.

პირველ რიგში, ბაზარზე გამოჩნდება ხუთკარიანი ჰეტჩბეკები, რომლებსაც მოგვიანებით შეუერთდება სამკარიანი ჰეტჩბეკი და ორკარიანი კუპე და როდსტერი, რომლებიც იმავე პლატფორმაზე კი დამზადდება, მაგრამ კომპანიის სამოდელო რიგში მე-2 სერიის სახელით დაიკავებენ ადგილს.







# "სრულიად ქალური" ავტომობილი შვედეთიდან

შვედური კომპანია "ვოლვოს" მიერ ჟენევაში წარმოდგენილი კონცეპტუალური ავტომობილი YCC (Your Concept Car) ბევრი რამით გამოირჩევა ჩვეულებრივი ავტომობილებისგან, მაგრამ მთავარი განმასხვავებელი "თვისება" ისაა, რომ მის შექმნაზე თავიდან ბოლომდე კონსტრუქტორი ქალები ირჯებოდნენ.

ავტომობილში ბევრი რამაა უცნაური. მაგალითად, გადაცემათა გადართვის ბერკეტი საჭის რგოლის სიახლოვესაა გადატანილი, სადგომი, ანუ ეგრეთ წოდებული ხელის მუხრუჭი ელექტრონულია, რისი წყალობითაც, წინა სავარძლებს შორის ადგილი გამოთავისუფლებულია და მასში შესაძლებელი ხდება მცირე მოცულობის საბარგულის განთავსება.

უკანა სავარძლებს რომ შეხედავთ, თავი კინოთეატრში გეგონებათ. ისინი განცალკევებულნი არიან და ამის წყალობით, მათი ინდივიდუალურად, მასზე მჯდომის სურვილისამებრ რეგულირებაა შესაძლებელი. სალონში მოხვედრას აადვილებს დიდი ზომის კარი, რომელიც ეგრეთ წოდებული "თოლიას ფრთის" სტილშია შესრულებული.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სისტემა "ერგოვიჟნ", რომელსაც მყიდველის კომფორტზე ზრუნვა ევალება. როცა ამ ავტომობილს ყიდულობთ, მის გასაღებზე განთავსებულ მახსოვრობის ბლოკში თქვენი მონაცემები იწერება. ჰოდა, ამ გასაღებით ავტომობილის დაქოქვისთანავე, მოქმედებაში მოდის პასიური უსაფრთხოების უნიფიცირებული სისტემა, რომელიც სავარძელს, საჭის რგოლს, სატერფულებს, საკისრესა და უსაფრთხოების ღვედებს მძღოლის მონაცემების მიხედვით დააყენებს.

ქალმა კონსტრუქტორებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ავტომობილის პარკირებას, რაც ბევრი ქალი მძღოლისთვის დიდ პრობლემას წარმოადგენს. სისტემა შემდეგნაირად მოქმედებს: მაგალითად, თქვენ გსურთ, თქვენი ავტომობილი ორ, პარალელურად მდგარ ავტომობილს შორის გააჩეროთ. პირველ რიგში, საჭიროა იცოდეთ, არის თუ არა მათ შორის თქვენი ავტომობილის დასატევად



აუცილებელი ადგილი. აჭერთ სპეციალურ ღილაკს და ელექტრონული სისტემა თავად გაარკვევს პარკირებისთვის აუცილებელ ინფორმაციას და დისპლეიზე გამოიტანს მას. თქვენ ისღა დაგრჩენიათ, საჭის რგოლისა და სატერფულების მანიპულირებით დაასრულოთ ელექტრონიკის მიერ თქვენივე ბრძანებით დაწყებული საქმე.

ყველა სიკეთესთან ერთად, ქალ კონსტრუქტორებს მეტად ტევადი, კომფორტული სალონი გამოუვიდათ, რომელიც რაღაცით მცირე ოთახსაც კი მოგვაგონებს. ამასთან, თავისუფლად შეიძლება ინტერიერის რადიკალურად შეცვლა, რისთვისაც სავარძლების შალითების შეცვლაც საკმარისია. სტილისტებმა სალონის გასაფორმებლად სულ რვა ფერის შალითა შეარჩიეს, რასაც შესაფერისი ქეჩაც მოჰყვება.

ავტომობილის დახასიათებისას არც მთავარი თემა, მისი აგრეგატები უნდა დავივიწყოთ. "ვოლვო YCC"-ს კაპოტქვეშ განთავსებულია 2.5-ლიტრიანი, 215-ცხენისძალიანი ძრავი, რომელსაც ერთ რიგში განლაგებული ხუთი ცილინდრი აქვს. ძრავი აღჭურვილია სისტემა "ინტეგრეიტიდ სტარტერ-გენერატორ"-ით (ISG), რომელიც თავისით გამორთავს ძრავს, როცა ავტომობილი ჩერდება (ვთქვათ, შუქნიშანთან). და როცა მძღოლი აქსელერატორის სატერფულს დააწვება, იგივე სისტემა ძრავის ამუშავებასაც უზრუნველყოფს. ყველაფერი ეს იმისათვისაა, რომ ძრავმა ნაკლები საწვავი მოიხმაროს და ეკოლოგიასაც ნაკლები ზარალი მიაყენოს. ძრავთან შეწყვილებულია 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფი სახელად "პაუაშიფტ", რომელიც, მძღოლის სურვილისამებრ, მუშაობს როგორც ავტომატურ, ასევე მექანიკურ რეჟიმში, თუმცა ორივე შემთხვევაში, საფეხურების შეცვლას პნევმოსისტემა ახორციელებს.

დაბოლოს, იმის შესახებ, თუ როგორ წარმოიქმნა ამ ავტომობილის ქალი კონსტრუქტორების მიერ დაპროექტების იდეა. 2001 წელს, აშშ-ის ქალ მომხმარებელთა ასოციაციის ექსპერტმა მარტი ბარლეტამ "ვოლვოს" ხელმძღვანელობას ასეთი ზოგადი რჩევა მისცა: "თუ თქვენი პროდუქცია ქალებს დააკმაყოფილებს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის გადააჭარბებს მამაკაცთა მოთხოვნილებებს". შვედურმა კომპანიამაც, რომელიც "ფორდის" ჯგუფში შედის, მაშინვე დაიწყო ქალ კონსტრუქტორთა გუნდის ჩამოყალიბება, რომელმაც სულ 15 თვეში შექმნა პირველი შედევრი.

# უგზოობის მეფე ხელახლა იბადება

ინგლისურ კომპანია "ლენდ როვერის" სამოდელო გამაში ავტომობლი სახელად "დისქავერი" 1989 წლიდან გამოჩნდა და მას შემდეგ, 15 წლის განმავლობაში, თითქმის ხელუხლებლად მოატანა დღემდე. ამ პერიოდში იგი ეტალონია უგზოობის ავტომობილების მწარმოებლებისთვის და ავტომოყვარულებშიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტი, რომ 15 წლის განმავლობაში მან ერთადერთხელ განიცადა მოდერნიზაცია ფეისლიფტინგის (გარეგნული შელამაზება) სახით, თუმცა, ამის მიუხედავად, 7 წლის წინ შელამაზებულ "დისქავერის" მაინც მეორე თაობას მიაკუთვნებენ.



ყველაფერს აქვს თავისი დრო და "დისქავერისაც" შეეხო თაობათა ცვლა – კომპანიამ, რომელიც დღეისათვის "ფორდის" ფრთასაა შეფარებული, წარმოებისთვის მოამზადა მესამე თაობის "დისქავერი", რომელიც ამერიკაში LR3 აბრევიატურით გაიყიდება. ავტომობილის დებიუტი 7 აპრილს, ნიუ იორკის საერთაშორისო ავტოსალონზე შედგა, რაც იმის ნიშანია, რომ ინგლისური კომპანია თავისი ახალი პროდუქტის გასაღების უმთავრეს ბაზრად სწორედ ჩრდილოეთ ამერიკას მიიჩნევს.

ჩრდილოეთ ამერიკაში კომპანიის პროდუქციის სახელების შეცვლა არ შეეხება მხოლოდ "რეინჯ როვერს". რაც შეეხება "ლენდ როვერის" ყველაზე უმცროს და მცირე ზომის ავტომობილ "ფრილენდერს", მოდერნიზაციის შემდეგ ამერიკაში მას სახელად LR2 დაერქმევა.

ახალი "დისქავერი" შესრულებულია კომპანიის ფლაგმან "რეინჯ როვერის" ეგრეთ წოდებულ კუთხოვან სტილში. აშკარაა მსგავსება კონცეპტუალურ მოდელ "რეინჯ შტორმერთან", რომელიც "ლენდ როვერმა" დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე წარმოადგინა. თუმცა, ეს კონცეპცია უფრო ახალი "რეინჯ როვერის" წინამორბედია, რომელსაც მყიდველი უახლოეს მომავალში მიიღებს.



ახალი "ლენდ როვერი" თავისი ზომებითაც "რეინჯ როვერს" მოგვაგონებს. აშკარაა, რომ ამ ავტომობილის შემქმნელებმაც გადაუხადეს ხარკი მოდას – დღეს აშკარაა მოდელების, ასე ვთქვათ, დამსხვილების ტენდენცია, რამაც თავისი დაღი დაატყო ისეთ პოპულარულ ავტომობილებს, როგორებიცაა მე-3 სერიის "ბეემვე", "ფოლკსვაგენ გოლფი" და სხვა.

"რეინჯ როვერის" მსგავსად, ახალ "დისქავერიში" იგრძნობა ზრუნვა მგზავრთა კომფორტისათვის. შესამჩნევად გაზრდილია მისი ტევადობა – სამ რიგად განლაგებული სავარძლებით ერთბაშად შვიდი მგზავრის გადაყვანაა შესაძლებელი. საჭიროების შემთხვევაში, იკეცება უკანა სავარძლები, რისი წყალობითაც სალონშივე წარმოიქმნება დიდი საბარგული, რომლის მოცულობითაც საშუალო ზომის პიკაპიც კი დაიკვეხნიდა.

ძრავების გამას "ხსნის" 190-ცხენისძალიანი დიზელის V6, რომლის მუშა მოცულობაა 2.7 ლიტრი. ეს აგრეგატი "ფორდისა" და "პეჟო-სიტროენის" კონსტრუქტორთა ერთობლივი მუშაობის ნაყოფია და "დისქავერის" გარდა, გამოყენებულ იქნება "იაგუარ S-ტაიპსა" და "პეჟო 407" სედანებზეც. დებიუტანტისთვის გათვალისწინებულია ბენზინზე მომუშავე სულ ორი აგრეგატი. ერთია ოთხლიტრიანი V6, 215 ცხენის ძალით, მეორე კი – 300 ცხენისძალიანი V8, რომლის მუშა მოცულობაა 4.4 ლიტრი. მოგვიანებით ავტომობილი ასევე დაკომპლექტდება V8 დიზელითაც.

ბენზინისძრავიანი ავტომობილის სტანდარტულ აღჭურვილობაში შედის ექვსსაფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი, რომელიც დიზელის ვარიანტებზე ოპციის სახით მიეწოდება პოტენციურ მყიდველს. რაც მთავარია, ახალი "დისქავერი" აღიჭურვება სისტემა "ტერაინ რესპონსით", რომელიც საჭიროებისამებრ, გზის საფარის მიხედვით, თავისით არჩევს ტრანსმისიის, დაკიდების და ძრავის მუშაობის რეჟიმებს და უნისონში მოჰყავს ისინი. ამასთან, ამ რეჟიმების ცვლა მძღოლის მითითებითაცაა შესაძლებელი.

ახალი "დისქავერის" გაყიდვები მიმდინარე წლის ნოემბრიდან დაიწყება. ევროპაში მისი ღირებულება 38 000 ევრო იქნება, აშშ-ში კი ის 50 000 დოლარად გაიყიდება.

# 300 000 შეკვეთა „ასტრაზე"



ჟენევის ავტოსალონის დღეებში კომპანია "ოპელმა" გამოაცხადა, რომ წლის დასაწყისიდან მიღებული აქვს 300 000-ზე მეტი შეკვეთა ახალი თაობის "ასტრაზე", რომლის დებიუტიც შარშან, ფრანკფურტის ავტოსალონზე შედგა. ამასთან, შეკვეთებს მესამედზე მეტი გერმანიაზე, კომპანიისთვის უმთავრეს ბაზარზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ მარტის დასაწყისისთვის ახალი "ასტრას" გაყიდვები ჯერ დაწყებული არც იყო. სპეციალისტები მოდელის ესოდენ პოპულარობას რამდენიმე მიზეზით ხსნიან. ჯერ ერთი, მას საკმაოდ "მკაცრი", მაგრამ, იმავდროულად, ეფექტური დიზაინი აქვს. მეორეც, აწყობის ხარისხითა და წარმოებაში გამოყენებული მასალების მიხედვით, ის პრაქტიკულად გაუტოლდა სეგმენტის ლიდერს, "ფოლკსვაგენ გოლფს", რომლის მე-5 თაობის მოდელის დებიუტი ასევე ფრანკფურტში შედგა.

ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაცილებით მდიდარი საბაზო კომპლექტაციის პირობებში, "ასტრა" შესამჩნევად იაფია "გოლფზე". მათთვის კი, ვინც ავტომობილში გაზრდილ კომფორტსაც აქცევს ყურადღებას, "ოპელს" აქვს დამატებით მოწყობილობათა სია, რომლებზეც ადრე ამ კლასის ავტომობილების მყიდველი ვერც ინატრებდა.

"ოპელის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, 2004 წლის ბოლომდე სულ 300 000 "ასტრა" აწარმოოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის პოტენციური მყიდველი, რომლებსაც კომპანიის დილერებთან "ასტრას" შეძენაზე წინასწარი განაცხადი ჯერ არ გაუკეთებია, წლეულს სასურველ ავტომობილს ვერ ეღირსება.

# ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის "საბას" ნომინანტები

## წლის საუკეთესო პროზაული კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ლაშა ბუღაძე** | მესამე სართული | "არეტე" |
| **ლაშა იმედაშვილი** | ბიოგრაფიები | "ლომისი" |
| **ირაკლი ლომოური** | ექსლიბრისი | "მერანი" |
| **აკა მორჩილაძე** | წიგნი | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| **ირაკლი სამსონაძე** | გარეუბანი | "სანი" |
| **დავით ქართველიშვილი** | დღიურები მირანდასათვის | "მერანი" |
| **გოდერძი ჩოხელი** | მოთხრობები | "მარსი" |
| **გიორგი ცოცანიძე** | ნაწერი ხანჯრის წვერითა | "თეთრი გიორგი" |

## წლის საუკეთესო რომანი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ჭაბუა ამირეჯიბი** | გიორგი ბრწყინვალე | "ბაკმი" |
| **ზაზა ბურჭულაძე** | მინერალური ჯაზი | "ლოგოს პრესი/მერანი" |
| **გურამ დოჩანაშვილი** | ლოდი ნასაყდრალი | "მარსი" |
| **აკა მორჩილაძე** | ძირს სიმინდის რესპუბლიკა | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| **ზურაბ ქარუმიძე** | თხა და გიგო | "მედიატორი" |
| **ოთარ ჭილაძე** | გოდორი | "რუსთავი 2 პრინტი" |

## წლის საუკეთესო პოეტური კრებული

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **შალვა ბაკურაძე** | წერილი ნინოს | "მერანი" |
| **ელა გოჩიაშვილი** | პარასკევი ჩემი დღეა | "მერანი" |
| **ბათუ დანელია** | მთვარის დღესასწაული | "მერანი" |
| **ზაზა თვარაძე** | ტან-ცზი სიცივეში | "კავკასიური სახლი" |
| **თემურ ჩხეტიანი** | ბუდე | "მერანი" |
| **ოთარ ჭილაძე** | კიბე | სანი |
| **ბესიკ ხარანაული** | წიგნი ამბა ბესარიონისა | "არეტე" |

## წლის საუკეთესო დებიუტი

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა | ჟანრი |
|---|---|---|---|
| **გიო მგელაძე** | გაილიმე, ჩიტი გამოფრინდება | "A.M.I." | პიესა |
| **ანი მოსულიშვილი** | კიპლინგის "სწორედ ასეთი მოთხრობები" | "დიოგენე" | თარგმანი |
| **თამარ ფხაკაძე** | სანამ დაგვიძახებენ | "დიოგენე" | პროზა |
| **ნიკა ჯორჯანელი** | განცდა ხავერდისაგან | "დიოგენე" | პოეზია |

## წლის საუკეთესო თარგმანი

| სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|
| გერმანულენოვანი პროზა და პოეზია, ალმანახი "აფრა" | **ნაირა გელაშვილი** | "კავკასიური სახლი" |
| ალბერ კამიუ გადასახლება და სამეფო | **გიორგი ეკიზაშვილი** | "სანი" |
| უილიამ შექსპირი ვენერა და ადონისი | **მედეა ზაალიშვილი** | "ლიტერა" |
| ტომაზო ლანდოლფი ხელები | **ნოდარ ლადარია** | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| ჯიბრან ხალილ ჯიბრანი იესო ძე კაცისა | **გიორგი ლობჟანიძე** | "დიოგენე" |
| აზერბაიჯანული ეპოსი ქოროღლი | **ზეზვა მედულაშვილი** | "კავკასიური სახლი" |
| ტუვე იანსონი "ჯადოქრის ქუდი", "უჩინარი ბავშვი" | **ბაკურ სულაკაური** | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| პინდაროსი ოდები | **ნანა ტონია** | "ლოგოსი" |
| კატულუსი 33 ლექსი | **მანანა ღარიბაშვილი** | "ლოგოსი" |

## წლის საუკეთესო პიესა

| ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|
| **ლაშა ბუღაძე** | ნუგზარი და მეფისტოფელი | "ახალი ქართული პიესები" (საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი) |
| **მანანა დოიაშვილი** | თამაში რემარკის გარეშე | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |
| **მამუკა დოლიძე** | თამაშგარეთ დარჩენილ თეატრში | კრებული "კვალი-პროზა, დრამატურგია" (გამომც. "მარსი") |

## წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა და ესსე

| ავტორი | წიგნი/გაზეთი |
|---|---|
| **ივანე ამირხანაშვილი** | "ტკივილის დიალექტიკა" "საგურამო" |
| **თეიმურაზ დოიაშვილი** | "დაბრუნება" "მერანი" |
| **ელგუჯა თავბერიძე** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **ნუგზარ მუზაშვილი** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **ნანა ტონია, ქეთი ნადარეიშვილი** | "პენელოპე" "ლოგოსი" |
| **მერაბ ღაღანიძე** | გაზ. "ჩვენი მწერლობა" |
| **მალხაზ ხარბედია** | გაზ. "24 საათი"; ჟურნ. "არილი" |




## სკანვორდი



## TV პროგრამა

27 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.10** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **19.10** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **23.00** ღამის კურიერი **23.50** მხ. ფილმი "აუზი". მთ. რ-ში: ფრანსუა ოზონი, შარლოტა რემპლინგი.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.45** მულტსერიალი "კუსტოს ფანტასტიკური თავგადასავალი" **10.10** მხ. ფილმი **12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "ფორსაიტების საგა" 3-4ს. **16.35** დოკ. ფილმი "სიკვდილს გადარჩენილნი" **17.30** საქართველო და გარესამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** დოკ. სერიალი "ბუნების სამყაროში" **18.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.00** და არს მუსიკა **19.25** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.05** ბასტი-ბუბუ **21.20** სერიალი "სოლედადი" **22.15** სათავეებთან **23.30** მხ. ფილმი "ჭამა სიკვდილამდე"

### პირველი სტერეო

**07.20** პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **16.00** ფილმი "მაღალი ქუსლები". მთ.რ-ში ედამ გარსია, სოფი ლი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **02.00** "ბრავო" "სპილო". რეჟ. გა ვან სენტი. **03.00** პაუზის გარეშე

### მზე

**09.00** არჩევანის ზღვარზე **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "რედვოლი" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "რექვიემი" (პატრიკ დელ მზოლა) **22.45** არჩევანის ზღვარზე **23.45** მხ. ფილმი "ბატონი "ნ" (ფილიპ ტოროტონი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი **19.30** კინოსეანსი "ჩემი ამერიკელი ბიძა" 13-14ს. **21.00** გაცოცხლებული ქვები **21.30** ისტორიანი **22.00** მხ. ფილმი "ათასი მილიარდი დოლარი"

### კავკასია

**12.00** მხ. ფილმი "მკვლელის ინსტინქტი" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "მგლის საძმო" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მულტფილმი "ბოლტო" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" **00.30** მუსიკა

### იმედი

**07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 11.05, 13.15, 14.35, 17.20, 02.20** იმედის მელოდიები **07.30** "იმედის" დილა **10.10** სერიალი "ტყუპები" **11.25** "მერიდიანი" **12.10** სერიალი "კლონი" **13.25, 01.50** ტვ-მარკეტი **14.05** სერიალი "ნირო ვულფის საიდუმლოება" **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ფეირევერკი" **17.25** ანიმაციური ფილმი: "სანდოკანი, მალაიზიის ვეფხვი" **18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.35** ქრონიკა **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.30** ქართ. სერიალი "27 დრაკონი" **21.30** ლარის მახე **23.00** ერთხელ ჰოლივუდში **23.30** მხ. ფილმი "გაზაფხულის 17 გაელვება" 1-ლი ს. **00.40** სპ. პროგრამა "გოლი სერია ფ"

### არხი

**09.00** საინფორმაციო დაიჯესტი **09.30** თრილერი "დაქირავებული მკვლელები" **11.40, 17.40, 19.45, 21.40** მუსიკა **12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.00, 00.00** საინფ. გამ. "დღეს" **12.10, 16.10, 18.10, 22.20, 00.20** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **12.20** კომედია "მე იქ ვიქნები" **14.10** დეტექტივი "რვა ქალი" **16.20** მულტფილმი **18.20** კომედია ""თქვენ გიხმობთ ტაიმირი" **20.10** მხ. ფილმი "დაუმარცხებელი" **22.40** პოზიცია **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** მხ. ფილმი "ვარსკვლავური ომები" მე-2 ს. **03.40** კომედია "რა სურთ ქალებს"

### ОРТ

**07.00** "Доброе утро" **10.00, 13.00, 16.00, 19.00** Новости **10.20, 22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей" 11.20, 19.50 Сериал "Клон" 12.20** МультСериал "Кошки-мышки" **12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Возврата нет" 15.10** Город женщин **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Кумиры". Ивар Калныньш **20.50** "Стирка на миллион" **21.00 Сериал "Евлампия Романова: Следствие ведет дилетант" 22.00, 00.30** Время **23.40** Тайны века. "Русская любовь Германа Геринга" **00.50** "Фабрика звезд" **01.10** Ударная сила. "Траектория огня" **01.40** "На футболе" **02.10** "В погоне за НЛО" **02.40 Худ.фильм "Головокружение" 05.10 Сериал "Мертвая зона"**

### НТВ

**07.00** Утро на НТВ **09.45 Сериал "Пятый ангел" 11.00** Сегодня утром **11.25** "Дикий мир". Экспедиция Т.Баженова **12.20** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.00** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "Красная жара" 15.35** Протокол **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Дальнобойщики" 19.35** Протокол **20.40 Сериал "Адвокат". 2 с. 21.45 Сериал "Пятый ангел". 14 с. 23.00** "Страна и мир" **23.35** Красная стрела **23.45 Сериал "Детектив Раш" 00.50 Сериал "Адвокат"**

# ბუში მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე გადასახადს აუქმებს




მამუკა ქირია

ამერიკის პრეზიდენტმა, ჯორჯ ბუშმა, კონგრესს მიმართა შეწყვიტოს ორი წლის წინ მიღებული გადაწყვეტილება მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის დაბეგვრის შესახებ და მოუხსნას დაბეგვრა ამ ტიპის ინტერნეტის მომხმარებელს. აშშ-ს პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ეს ხელშეწყობა იქნება ამერიკელებისთვის და 2007 წლისთვის თითქმის ყველა ოჯახი მაღალსიჩქარიან ინტერნეტს მოიხმარს, რაც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ამერიკელთა ცხოვრების დონეს.

დღეისათვის ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობა სარგებლობს Dial-up სერვისით, რომელიც ვერ უზრუნველყოფს იმდენად მაღალ ხარისხს, რომ შესაძლებელი იყოს თუნდაც ვიდეოკონფერენციების მოწყობა. თუ მთელ ამერიკაში მასიურად DSL-ის, საკაბელო მოდემების, რადიომოდემების ან თანამგზავრის საშუალებით ინტერნეტი დაინერგება, რა თქმა უნდა, გაცილებით დიდი სიჩქარის ინტერნეტი ექნება თითოეულ ამერიკულ ოჯახს და მსგავსი ვიდოეკონფერენციები და ინფორმაციის გაცვლის პროცესი უპრობლემოდ მოეწყობა.

ბუშმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს მოთხოვნა მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე ელვის სისწრაფით იზრდება. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ორ წელიწადში 7 მილიონიდან მომხმარებელთა რაოდენობა სწრაფ ინტერნეტზე 24 მილიონამდე გაიზარდა. ამიტომაც, ამ პროცესებს სახელმწიფოც აუცილებლად დადებითად უნდა გამოეხმაუროს.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა ბუშმა, კიდევ ორი განცხადება გააკეთა მაღალი ტექნოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით. პირველი ის, რომ ენერგეტიკის დეპარტამენტს 350 მილიონი დოლარი გამოუყო წყალბადის საწვავის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად და ამ უნიკალური მიღწევის დასანერგად. მეორე ის, რომ უახლოეს 10 წელიწადში ყველა სამედიცინო ცნობა თუ დოკუმენტი ელექტრონული ვარიანტით შეიცვლება, რაც, რა თქმა უნდა, გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურებას და ამერიკელთა მკურნალობას.

# ქალის ჭკუა მაინც სხვაა

შიმპანზე გოგონები ტერმიტების მოსანადირებელი ხელსაწყოს დამზადებას და მის მოხმარებას შიმპანზე ბიჭებზე სწრაფად სწავლობენ. გოგოები დედებს დელიკატესების მოპოვების დროს გულდასმით აკვირდებიან, ბიჭები კი თამაშობენ, მოკლედ, შტერები არიან. სამი ამერიკელი მკვლევარი, რომელიც ტანზანიაში მუშაობდა, ბრიტანულ ჟურნალ Nature-ში წერს, რომ ამ ცხოველების სწავლის უნარ-ჩვევები ადამიანებისას ძალიან ჩამოჰგავს, და სქესთა შორის განსხვავებაც ადამიანების მსგავსია (დაგამშვიდებთ და მოგახსენებთ, რომ სამივე მკვლევარი ქალი გახლავთ).

ამ დასკვნამდე მისასვლელად გომბეს ეროვნულ პარკში მცხოვრებ 14 მოზარდ შიმპანზეს მინესოტას უნივერსიტეტის მკვლევარები ოთხი წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ.

1-ლი ქართული საერთაშორისო გამოფენა
ტელეკომუნიკაციები და საინფორმაციო ტექნოლოგიები
28-30 აპრილი
თბილისი, საქართველო
შერატონ მეტეხი პალასი
GEORGIA TELECOM 04
www.caspianworld.com
შესვლა უფასოა
ITE Group Plc
Tel: +44 (0) 207 596 5221
Fax: +44 (0) 207 596 5167
E-mail: enquiry@ite-exhibitions.com
Iteca Caspian
Tel: +994 12 474774
Fax: +994 12 478998
E-mail: telecoms@iteca.az
Iteca Kavkasia
Tel: +995 32 552130
Fax: +995 32 552190
E-mail: office@ite.cdn.ge

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24

amara computers
„კამარა-კომპიუტერ"-თან
არსებული „კომპიუტერულ – ტექნოლოგიათა სასწავლო ცენტრი – ლიცეუმი" აცხადებს
მიღებას სპეციალობით
„კომპიუტერული ტექნოლოგიები".
(სწავლების ხანგრძლივობა 1 წელი).
აგრეთვე ფუნქციონირებს კომპიუტერული, საბუღალტრო აღრიცხვისა და ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები.
სწავლება მიმდინარეობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე.
ტელ: 95 29 99
მისამართი: ბაქოს ქ2

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
- კლავიატურაზე ბეჭდვის ათთითიანი მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა, საბუღალტრო-ეკონომიკური ამოცანები – MS Excel.
- ლოკალური ქსელი, ინტერნეტი, ელ-ფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70
ტელ: 29-48-61




სწავლა დიდ ბრიტანეთში
ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.
ენის სასწავლო პროგრამები:
- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სავალდებულო კურსები.
- საზაფხულო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეებისთვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, სათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.
საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:
- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.
MBA 1 წლიდან 2 წლამდე.
დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-ე სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78;
მობ.: 899 50 40 12
ელ-ფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

პროექტ-მენეჯერის ვაკანსია
აქსისი AXIS
ძირითადი მოთხოვნები
- განათლება: საინჟინრო
- სამუშაო გამოცდილება სამშენებლო მენეჯმენტში
- ინგლისური ენისა და კომპიუტერის კარგი ცოდნა
- ასაკი: 30-50 წლამდე
თუ თქვენი მონაცემები შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნებს, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი საბუთები აქსისის ოფისში
არაყიშვილის 14, ტელ: 25 34 34.
საკონტაქტო პირი ნესტან ზურაბიშვილი
- რეზიუმე (ავტობიოგრაფია)
- ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი
- რეკომენდაცია
საბუთების მიღების ბოლო ვადაა 2004 წლის 1 მაისი




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.